

გრიგოლ რობაჭიძის სახელობის ჰნივერსიტეტი

აკადემიური გაცევა

კუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

№ 1

თბილისი - 2015

## სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)  
გიორგი ლლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)  
ნინო ქემერტელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

|                          |                       |
|--------------------------|-----------------------|
| მიხეილ გოგატიშვილი       | (თბილისი, საქართველო) |
| თენგიზ ირემაძე           | (თბილისი, საქართველო) |
| რამაზ საყვარელიძე        | (თბილისი, საქართველო) |
| ხათუნა კაჭარავა          | (თბილისი, საქართველო) |
| უდო რაინჰოლდ იეკი        | (ბოსუმი, გერმანია)    |
| ჰელმუტ შნაიდერი          | (გასელი, გერმანია)    |
| ჯოვან შოპოვსკი           | (კოსანი, მაკედონია)   |
| დეივი მაროლოვი           | (ტობინენი, მაკედონია) |
| თოვეორ კარტლეჯი          | (ტობინენი, მაკედონია) |
| მარიკა პირველი           | (შექმანი, პოლონეთი)   |
| ჯოანა პიერვიაკ-ლამპრასკა | (ტორუნი, პოლონეთი)    |
| მარიანა პროკოპი          | (ტორუნი, პოლონეთი)    |

აღმასრულებელი რედაქტორი:

ნინო ქემერტელიძე (თბილისი, საქართველო)

წინამდებარე აკადემიურ მაცნეში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების  
ნაშრომები პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა აქტუალურ საკითხებზე.  
© გრიგორ რობაძის სახელობის უნივერსიტეტის ბამომცემლობა

ISSN 2298-0202

## სარჩევი

### პუმანიტარული მეცნიერებები

გიორგი ხუროშვილი

იერუსალიმი და ათენი შეა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში

ნინო ქემერტელიძე

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსების საკითხისთვის  
(ინგლისური და ქართული ენების მასალის შეპირისპირებითი ანალიზი

დალი ქადაგიშვილი

იმიჯისტები – ემი ლოუელი და მისი “რიკულები”

### სოციალური მეცნიერებები

გიორგი გიგაური

სუვერენიტეტი როგორც უცხოელთა გაძევების სამართლებრივი  
საფუძვლები

მარიანა პროკოპი

პიბრიდული პოლიტიკური რეჟიმი დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს  
შორის. ძირითადი კონცეპტუალური პრობლემები

რეზო კორინთელი

კომპლექსებისა და სულიერებაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპიის  
შესახებ

დავით ჩარკვიანი, დავით ძიძიგური

დისპოზიციონისტური მსჯელობის ეფექტი

გიორგი გოროშიძე

ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი მოდელის ფორმირების  
პერსპექტივები ქართულ ორანიზაციულ კულტურაში

ნათია ფანჯიკიძე

არტ თერაპიის ფერადი გზები

გულნარა მარუაშვილი

ტექსტი, კრიტიკული აზაროვნება და მისი წინაპირობები

კუმანიტარული გეცნივრებები

გიორგი ხუროშვილი  
რიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

019 სალიმი და ათენი შპა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში

ტრადიციულად, რწმენა და ცოდნა რელიგიური მრწამსის გამყარების გზებად მიიჩნევა. ფილოსოფოსებისა და ლიტერატურულების მზერა ოდითგანვე მათ შორის არსებული მიმართებისაკენ იყო მიპყრობილი. ცოდნა, როგორც წესი, რაციონალური აზროვნების დაფუძნებას ემსახურება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ბიბლიური ტექსტებიდან ყოველგვარი ჰქონის გვარი აირუოვნება და გვემცნო, რაციონალური განსჯამ თითქოსდა აზრი დაკარგა. მიუხედავად ამისა, გონება მაინც რჩება სულის იმ ნაწილად, რომლის გარეშეც ამა თუ იმ მოვლენის საღი განსჯა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, დღესაც აქტუალურია იმის გარკვევა, თუ რამდენად სიღრმისეული წინააღმდეგობა არსებობს რწმენასა და ცოდნას, რელიგიასა და ფილოსოფიას, იერუსალიმსა და ათენს შორის?!?

თანამედროვეობის ზოგიერთი გამოჩენილი მოაზროვნე (პერმან კოჭენი, ლეო შტრაუსი) მიიჩნევს, რომ თანამედროვე კულტურა სათავეს, ერთი მხრივ, პლატონისაგან, მეორე მხრივ კი, ბიბლიურ წინასწარმეტყველთაგან იდებს [7, 66]. მიუხედავად ამისა, ცალსახა უპირატესობას ისინი მაინც პლატონს ანიჭებდნენ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ჰქონის შეცნობა მხოლოდ ზუსტი მეცნიერული განსჯით არის შესაძლებელი [7, 68]. იერუსალიმისა და ათენის მიმართებამ დაპირისპირებისა და შერიგების უმაღლეს მწვერვალს შეა საუკუნეების აზროვნებაში მიაღწია [8, 165]. დღესდღეობით აღნიშნულ ეპოქას ანტიკურ ფილოსოფიასა და განმანათლებლობას შორის გადებულ ხიდად მოაზრებენ. ამ ეპოქის მოღვაწეებმა ანტიკურ მოაზროვნეთა იდები დავიწყებისათვის არ გასწირეს და მომდევნო თაობებს შემოუნახეს. პლატონის, არისტოტელეს და სხვა ანტიკურ მოაზროვნეთა იდები შეა საუკუნეებში მოღვაწე ფილოსოფოსებმა ხელახლა გადაამუშავეს და ისინი რელიგიური და საღვთისმეტყველო საკითხების გადაჭრისათვის გამოიყენეს. ეს ფაქტი იერუსალიმისა და ათენის შერიგების პირველ მასშტაბურ მცდელობად იქცა.

ჯერ კიდევ ადრექტისტიანულ სანაში ტერტიულიანე სვამდა საკითხს იმის შესახებ, თუ რა საერთო შეიძლება იყოს იერუსალიმისა და ათენს, ეკლესიასა და აკადემიას შორის?! [9, 12]. ერთი შეხედვით, ცხადია, რომ მათ შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. თუმცკი, ზოგიერთ კულტურაში, ამ ორი ხაზის ერთ დროსა და სივრცეში ჰარმონიული თანაარსებობა თითქოსდა მაინც მოხერხდა. ასე მოხდა შეა საუკუნეების საქართველოშიც. XII საუკუნის დასაწყისში, დასავლეთ საქართველოში, გელათში, აშენდა მონასტერი, როგორც სიმბოლო ერის კულტურული და სულიერი აღორძინებისა. ხოლო მის მახლობლად დაარსდა აკადემია, სადაც საფუძველი ჩაეყარა ანტიკური ფილოსოფიის, კერძოდ კი, ნეოპლატონიზმის შესწავლის საქმეს. გელათი დაარსებიდანვე იქცა „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვად სწავლულებისად, სხუად ათინად“. ქართულ კულტურაში იერუსალიმისა და ათენის, ფილოსოფიისა და რელიგიის შერიგების წამოწყებას სწორედ გელათში დაედო სათავე. ამ განზრახვის აღსრულება კი ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიშის სახელს უკავშირდება.

შეა საუკუნეების საქართველო მდიდარი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ტრადიციით გამოიჩინება; ამ პერიოდის მოღვაწეები (ეფრემ მცირე, არსენ იუალთოველი, პეტრე გელათელი და სხვ.) ინტენსურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ, რის შედეგადაც მრავალი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება ითარგმნა ქართულად. მეტიც, ქართველ მოაზროვნეებში, ფილოსოფიამ მყარად მოკიდა ფეხი; ივანე ჯავახიშვილის თანახმად, „ამ დროის მოწინავე ქართველთა გონებრივგამა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფოსო მწერლობას დაეწავა“ [1, 299]. მთარგმნელობითი საქმიანობის კვალდაკვალ იქმნებოდა ორიგინალური თხზულებებიც. აღნიშნულ ეპოქაში ქართული ფილოსოფიური აზროვნების უმაღლესი მწვერვალი არის იოანე პეტრიშის თხზულება: „განმარტებად პროკლესათუ დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათუ“. აღნიშნულ თხზულებას საფუძვლად უდევს ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის, პროკლეს „ოეოლოგიის საწყისების“ პეტრიშისეული თარგმანი. სწორედ პროკლეს აღნიშნულ ტექსტე

დაყრდნობით თხზავს პეტრიწი თავის ნაშრომს. შუა საუკუნეების ქრისტიან მოაზროვნეებს შორის პეტრიწმა ერთ-ერთმა პირველმა ჩათვალა საჭიროდ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება. მისი ღვაწლი განუზომლად დიდია საქართველოში ფილოსოფიის დამოუკიდებელ დარგად დაფუძნების საქმეში. იმდროინდელი ქართველობა ფილოსოფიის მადლს სწორედ პეტრიწის წყალობით ეზიარა; XVIII საუკუნის ქართველი სასულიერი მოღვაწე და მოაზროვნე, ანტონ კათალიკოსი (1720-1788), ხოტბას ასხამდა პეტრიწს, იგი პროკლეს პლატონის დირსეულ მემკვიდრედ მიიჩევდა, ხოლო პეტრიწს პროკლეს ჰემმარიტ მემკვიდრედ ასახელებდა [2, 120].

შუა საუკუნეების ქართული კულტურა მისი არსითა და ბუნებით ქრისტიანული კულტურის პირმშოა, რომელშიც იერუსალიმის ხაზი აზროვნების დომინანტი მიმართულება იყო, რაც ძველი ქართული მწერლობითაც დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურ მთარგმენტით საქმიანობას ჰქონდა ადგილი, ძირითადად, მაიც საღვთისმეტყველო ტექსტები ითარგმნებოდა, რაც ეკლესიის მოძღვრების გამყარებას, ქრისტიანული მრწამსის დასაბუთებას უწყობდა ხელს. წმინდა ფილოსოფიური აზრი მკრთალად თუ გამოსტკვივოდა ზოგიერთი თარგმანიდან ან ამა თუ იმ თარგმანს დართული წინასიტყვაობიდან. შუა საუკუნეების საქართველოში წმინდა ფილოსოფიური მიმართულების დამაარსებელი სწორედ იოანე პეტრიწია. პეტრიწმა „არამც თუ შექმნა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება, არამედ მთელი ფილოსოფიური სკოლაც“ [3, 270]. განსხვავებით იმ დროში მოღვაწე სხვა ქართველი მოაზროვნებისაგან პეტრიწის ფილოსოფია თავისუფალია ყოველგვარი დოგმატიზმისაგან. მისი ნეოპლატონიკოსობაც სწორედ ამით შეიძლება აისხას, მაშასადამე, მიით, რომ ის ყოველგვარ რელიგიურ მრწამსზე მაღლა იდგა. ნეოპლატონიზმი ერთგვარად „მოიცავდა ყველა ფილოსოფიას და ყველა რელიგიას“ [10, 93], ის თავის თავში პლატონის მოძღვრების საფუძველზე მთელი ანტიკური აზროვნების ერთგვარ სინთეზს გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თხზულებაში პეტრიწი არისტოტელესაც იმოწმებს, მისი მთავარი გზამკლევი მაიც პლატონი და ნეოპლატონიკოსი მოაზროვნები არიან.

შუა საუკუნეების საქართველოში დაწყებულ ფილოსოფიურ მოძრაობას, მკვლევართა ნაწილი ბიზანტიურ წარმოშობას მიაწერს. ზოგიერთი წყაროს თანახმად, პეტრიწი ბიზანტიაში, მანგანის აკადემიაში, ბიზანტიური რენესანსის ერთ-ერთ სულისხამდგმელთან, იოანე იტალოსთან განისწავლა. იტალოსის დევნის კვალდაკვალ, რამაც ბიზანტიაში ფილოსოფიური აზრის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა, საქართველოში, კერძოდ კი, გელათში, იოანე პეტრიწის თაოსნობით მდლავრი ფილოსოფიური მოძრაობა იწყება. მიიჩნევა, რომ ეს უკანასკნელი, ბიზანტიაში შეწყვეტილი ფილოსოფიური მოძრაობის ერთგვარი გაგრძელებაა. ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ ბიზანტიაში შეწყვეტილმა რენესანსმა პეტრიწის მეშვეობით საქართველოში ჰპოვა გაგრძელება [4, 182]. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ეთანხმება კ. აკადემიეც, რომელიც მიიჩნევს, რომ პეტრიწი ქართულ-ბიზანტიური ფილოსოფიის წინა ხაზს აგრძელებდა. მისი აზრით, პეტრიწი ფილოსოფიას ქრისტიანობის სამსახურში აყენებდა [3, 275]; ეს მოსაზრება ნაკლებ სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. პეტრიწის ფილოსოფიით დაინტერესება, თავად ფილოსოფიის აღმატებულობით, მისი სიდიადით უნდა ყოვილიყო განპირობებული. სავარაუდოა, რომ პეტრიწი უფრო მაღალ მიზანს ისახავდა, ვიდრე ფილოსოფიის წყალობით საღმრთო განაცხადის დასაბუთებას. თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში იგი იმის წარმოჩენას ცდილობს, რომ რელიგიასა და ფილოსოფიას შორის ფუნდამენტური განსხვავებების არსებობის მიუხედავად, ამ უკანასკნელს რელიგიას-თან თანაარსებობის სრული უფლება აქვს.

როგორც აღინიშნა, პეტრიწის მიზანი ფილოსოფიის დამოუკიდებელ, თვითმყოფად დარგად დაფუძნება იყო. მას სურდა, რომ ქართულ კულტურაში იერუსალიმისა და ათენის, რწმენისა და ცოდნის პარმონიზაცია განეხორციელებინა. ცხადია, ამ ამოცანის აღსრულება მათი ერთმანეთზე მორგების გზით შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც საჭირო იყო, რომ მათ შორის არსებული კველაზე სიღრმისეული განსხვავება მსგავსებად ქცევლიყო. ამგვარი პარმონიზაცია, შეუძლებელი გახდებოდა, თუკი იერუსალიმის, ისევე, როგორც ათენის ხაზი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი ურთიერთობების გარეშე არ იქნებოდა წარმოდგენილი. ქართულ კულტურასა და ცნობიერებაში იერუსალიმის ხაზს ოდითგანვე მყარად მოეკიდებინა ფეხი. შესაბამისად, პეტრიწისათვის ათენის დაფუძნება და მისი

სათანადო დონეზე ამაღლება უნდა ყოფილიყო საშური საქმე. სწორედ ამიტომაც განიზრახა მან პროკლეს თხზულების თარგმნა: ის ყოველგვარი რელიგიური დოგმატიზმისაგან სრულიად თავისუფალი იყო, რაც პეტრიწს ქართულ კულტურაში წმინდა ფილოსოფიური აზრის დაფუძნების და განვითარების საშუალებას აძლევდა.

იერუსალიმსა და ათენს შორის არსებული ყველაზე სიღრმისეული დაპირისპირება დმერთის საკითხს ეხება. კერძოდ, იერუსალიმის ხაზისათვის ჰეშმარიტება ერთია, ის იმთავითვე ცხადია და განსახიერებას ერთი, ყოვლისშემძლე, სამყაროს შემქმნელი დმერთისადმი უპირობო რწმენაში ჰპოვებს. ათენის ხაზისათვის კი ჰეშმარიტება იმთავითვე ცხადი როდია, არამედ ის იმგვარ რამედ აღიქმება, რომლის წვდომა სამარადეამო სწრაფვის, ცოდნისა და ძიების წყალობით არის შესაძლებელი, ის განსახიერებას, როგორც კოსმიურ, ისე ტრადიციულ დმერთებში შეიძლება ჰპოვებდეს. საქმე ისაა, რომ იერუსალიმის ხაზისათვის არსებობს ერთი დმერთი, რომელსაც სამყაროს საუფლოდ სხვა დმერთები არ შეუქმნია. ათენის შემთხვევაში კი პირიქით ხდება, ანტიკური ბერძენი მოაზროვნები ფიქრობდნენ, რომ სამყარო საუფლოდ მრავალ დმერთს შორის იყო განაწილებული. ცხადია, რომ ესოდენ სიღრმისეული განსხვავების ფონზე, სხვა ყველა მსგავსება ერთობ უმნიშვნელოა. საკუთარი ამოცანის აღსასრულებლად, ქართულ კულტურაში იერუსალიმისა და ათენის პარმონიზების განსახორციელებლად, პეტრიწს იმგვარი მოძღვრება სჭირდებოდა, რომელიც თავის თავში ქრისტიანობას და ფილოსოფიას, თუნდაც ეს უკანასკნელი წარმართული ყოფილიყო, ერთნაირად დაიტევდა.

მიიჩნევა, რომ ანტიკურ მოაზროვნებში ძველადთქმისეულ ტექსტებთან ყველაზე ახლოს პლატონი იდგა.<sup>1</sup> პეტრიწი განადიდებდა პლატონს და მას დვთაებრივს უწოდებდა. ანტიკურ მოაზროვნებში პლატონმა პირველმა დასვა საკითხი დვთაებრივი ერთის შესახებ, იგი თვლიდა, რომ სამყაროს დასაბამი, სწორედ ეს დვთაებრივი ერთია. თუმცი, აღნიშნული საკითხის პლატონისეული ხედვა ერთგარ სრულყოფას მოითხოვდა, რაც მოგვიანებით ნეოპლატონიკოსი მოაზროვნების მიერ განხორციელდა, რომელთაგან პეტრიწი უპირატესობას პროკლეს ანიჭებდა და მას დვთაებრივი პლატონის მონაცემედ მიიჩნევდა. პროკლეს თხზულება „თეოდორის საწყისები“ მიზნად ისახავს საწყისების, ე.ი. პირველსაფუძვლების, პირველი ერთის, დვთაებრივი რიცხვების, გონისა და სულის თავისებურებათა გარევევას [5, 183]. პეტრიწის მიზანიც სწორედ ესაა: დაასაბუთოს ერთის, როგორც პირველი საწყისის ნამდვილობა. პირველსაწყის, ერთს იგი უნაკლო, ყველაფრისგან დამოუკიდებელ, თვითყოფად და თვითკმარ მოვლენად განიხილავს, რომელსაც იგი ყოველგვარი სიმრავლის საწყისად მიიჩევს. მისი აზრით, „ერთი უზესთამდებარე“ და „არა არს სხეუად უპირველესი ერთი – უზადო, წმიდა, ზესთმდებარე თვთერთისასა“. დვთაებრვი ერთის საკითხის განხილვისას „პეტრიწი ათანხმებს ემანაციის ნეოპლატონურ თეორიას და სამყაროს არარადან შექმნის ქრისტიანულ პრინციპს“ [6, 85]. ემანაციის (გამომდინარეობის) თეორიის მიხედვით, სამყარო დვთაებრივი ერთისაგან წარმოიქმნა. მაგრამ ის უშუალოდ დმერთმა როდი შექმნა, არამედ ემანაციის გზით წარმოიქმნა. იერუსალიმსა და ათენს შორის არსებული დაპირისპირების აღმოსაფხვრელად პეტრიწი დვთაებრივ ერთს, ე.ი. აბსოლუტურ ერთს ბიბლიურ დმერთმან აიგივებს, რითაც ქართულ კულტურაში რელიგიისა და ფილოსოფიის პარმონიული თანაარსებობისათვის მყარ ნიადაგს ამზადებს.

1 შდრ. L. Strauss, Studies in Platonic Political Philosophy: Jerusalem and Athens, p. 165.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯავახიშვილი ივ. 1948. ქართველი ერის ისტორია. II, თბილისი.
2. ანტონ პირველი. 1990. წყობილსიტეკვათბა. ქართული მწერლობა. ტ. VIII, თბილისი.
3. გეგელიძე კ. 1941. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბილისი.
4. ნუცუბიძე შ. 1976. შრომები. ტ. IV, თბილისი.
5. ხიდაშვილი შ. 1988. ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბილისი.
6. თევზაძე გ. 1993. იოანე პეტრიწი ადამიანის დანიშნულების შესახებ. ივერია, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, № 3, თბილისი-ბრიუსელი.
7. Cohen H. 1993. Reason and Hope: The Social Ideal as Seen by Plato and by the Prophets. Hebrew Union College Press.
8. Strauss L. 1985. Studies in Platonic Political Philosophy: Jerusalem and Athens. University of Chicago Press.
9. Tertullian. 2004. The Prescription against Heretics, Chapter VII, Kessinger Publishing.
10. Mapp H. 1909. Иоаннъ Петрицкий – Грузинский Неоплатоникъ XI-XII вв. Записокъ Вост. Отд. Имп. Русского археологич. Общество, XIX.

ნინო ქემერტელიძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ზედსართავი სახელის მარტოვანელი სუვიქსების საპირისოთვის  
(ინდლისური და ქართული ენების მასალის შეკირისკირებითი ანალიზი)

ცნობილია რომ სიტყვათწარმოების სხვადასხვა ტიპი არსებობს. ახალი სიტყვა შეიძლება ვაწარმოოთ როგორც კონვერსიოთ (მაგ: “love” – არსებითი სახელი, “to love” - ზმნა), ისე აფიქსაციის მეშვეობით (მაგ: “to teach” - ზმნა “teacher” არსებითი სახელი) და ორი სიტყვის შეერთებით (მაგ: “kind-hearted”). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფიქსალური სიტყვათწარმოება უფრო ხშირი და მრავალფეროვანია.

სიტყვათმაწარმოებელი აფიქსები ფართოდ გამოიყენება როგორც ინგლისურ ისე ქართულ ენაში, მაგრამ კვლევამ დაგვანახა რომ ინგლისურ ენაში ისინი ბევრად უფრო მრავალფეროვანია ვიდრე ქართულში. მოცემულ ნაშრომში შევჩერდებით სუფიქსალურ წარმოებაზე.

თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებობს სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსების დიდი რაოდენობა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან პროდუქტიულობის ოვალსაზრისით. მათი საშუალებით შეიძლება ერთი მეტყველების ნაწილისგან სხვა მეტყველების ნაწილი ვაწარმოოთ. მაგ: არსებითი სახელები: “writer” – ზმნიდან “to write”, “happiness” ზედსართავი სახელიდან “happy” და სხვ; ზმნები: “to modernise” ზედსართავი სახელიდან “modern”, “to beautify” არსებითი სახელიდან “beauty” და სხვ.; ზედსართავი სახელები: “famous” არსებითი სახელიდან “fame” და სხვ. მაგრამ თანამედროვე ინგლისურ ენაში ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსების რაოდენობა ყველაზე მეტია.

ჩვენი კვლევის საგანსაც სწორედ სწორედ ზედსართავი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები წარმოადგენს. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ როგორ გადმოიცემა ამა თუ იმ სუფიქსით ნაწარმოები ინგლისური ზედსართავი სახელი ქართულში ლიტერატურის თარგმნისას.

კვლევა დავიწყეთ ემური დონიდან და გადავედით ეტურ დონეზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ შევისწავლეთ ლექსიკოგრაფიული მონაცემები ჩვენთვის კვლევის საგნის შესახებ და შემდეგ ისინი შევადარეთ მხატვრულილიტერატურიდან ამოკრებილ მასალას. ცნობილია რომ რაიმე საკითხის შესწავლა მხოლოდ ენის ან მხოლოდ მეტყველების დონეზე უბრალოდ შეუძლებელია.

ლია, საჭირო და აუცილებელია ენის ამ ორივე დონის მუდმივი დიალექტიკური ერთიანობის გათვალისწინება.

ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონიდან ამოვგრიბეთ ყველა სუფიქსალური წარმოების ზედსართავი სახელი და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია სუფიქსების მიხედვით. აღნიშნული ლექსიკონიდან ამოკრებილი და დამუშავებული მასალის მიხედვით ზედსართავი სახელის მაწარმოებელი 35 სუფიქსი არსებობს, რომელთაგანაც ზოგი ძალზედ პროდუქტიულია, ზოგი კი არაპროდუქტიული. აღსანიშნავია რომ ყველაზე მეტ ზედსართავ სახელს აწარმოებს სუფიქსი “-ed” (770 ზედსართავი სახელი); ასეთივე პროდუქტიულ სუფიქსებს მიეკუთვნება “-able/ ible” (470 ზედსართავი სახელი); “-al” (465 ზედსართავი სახელი) და ა.შ. ხოლო ყველაზე ცოტა ზედსართავ სახელებს აწარმოები “-ist”, “-most”, “-ese” და ა.შ.

ლექსიკონში მოძიებული მასალის დამუშავების შემდეგ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი შედარება მხატვრული ლიტერატურის მასალასთან. აღსანიშნავია რომ ეტურ დონეზეც, სადაც სიტყვათწარმოების ძალზედ დიდი შესაძლებლობებია და ემური დონისგან განსხვავებით არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, დიდად განსხვავებული სურათი ვერ მივიღეთ. მეტყველების დონეზეც პროცენტულად დაახლოებით იგივე სიხშირით ხდება მოცემული სუფიქსებით ზედსართავი სახელების წარმოება.

ყველაზე საინტერესო შედეგი და მრავალფეროვანი სურათი მოგვცა ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან ამოკრებილი მასალის შედარებამ შესაბამის ქართულ თარგმანთან. მოძიებულმა მასალამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო რამდენიმე შემთხვევა. სანამ ცალკეულ შემთხვევას განვიხილავდეთ აღვინიშნავთ რომ რომელიმე კონკრეტულ ინგლისურ სუფიქსს არ გააჩნია თავისივე შესატყვისი სუფიქსი. ერთიდაიგივე ქართული სუფიქსი შეიძლება შეესაბამებოდეს რამდენიმე ინგლისურ სუფიქსს. მაგ: ქართული სუფიქსი „-ულ“ შეესაბამება ინგლისურ სუფიქსებს “-ous”, “-ic”, “-al”, “-ate”, “-able/ible”; ქართული სუფიქსი „-ურ“ შეესაბამება ინგლისურ სუფიქსებს “-ic”, “-al”, “-ory”, “-ine”; ქართული სუფიქსი „-იან“ - ინგლისურ სუფიქსებს “-ful”, “-ate”, “-y”, “-ed”; ქართული სუფიქსი „-იერ“ – ინგლისურ სუფიქსებს “-ar”, “-ent” დას ხვ.

განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული ცალკეული შემთხვევა.

“We tell each other the most absurd stories with the most serious faces”.

(S. Maugham)

„მაშინ ჩვენ ერთმანეთს სრულიად სერიოზული სახით საოცარ ამბებს ვუყვებოდით.”

“My father was a sensible man”

(S. Maugham)

„მამაჩემი გონიერი კაცი იყო“.

როგორც ვხედავთ მოცემული ზედსართავი სახელები (serious, sensible - სერიოზული, გონიერი) როგორც ინგლისურ ისევე ქართულ ენაში სუფიქსებითაა ნაწარმოები. წარმოების ტიპის მიმართება ორივე ენაში ცალსახაა. ხდება სრული შესაბამისაობა.

ხშირია შემთხვევები როცა სუფიქსით ნაწარმოები ინგლისური ზედსართავი სახელი ქართულად ითარგმნება პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ზესართავი სახელით. აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ერთიდაიგივე პრეფიქსი ან პრეფიქს - სუფიქსი შეიძლება შეესაბამებოდეს სხვადასხვა ინგლისურ სუფიქსს ან პირიქით.

“A dangerous theory came from Sir Thomas’s tight lips”.

(S. Maugham)

„ფრიად საშიში თეორია გახლავთ! დაცდა სერ ტომასის მოკუმულ ბაგეებს“.

მოცემულ შემთხვევაში ინგლისური სუფიქსი “-ous” ქართულ ენაში გადმოიცემა პრეფიქსით „სა-“.

“I tried to imagine what had happened to drive the poor creature to the dreadful step”.

(S. Maugham)

„ვცდილობდი მივმხვდარიყავი რატომ გადადგა ასეთი საშინელი ნაბიჯი ამ საცოდავმა ქალმა“.

“It is a meaningless word too”.

(S. Maugham)

„ეს ფაზრო სიტყვაცაა”.

განხილულ მაგალითებში ინგლისური სუფიქსი “-ful” გადმოცემულია ქართულში პრეფიქს-სუფიქსით „სა-ელ“, ხოლო სუფიქსი “-less” „უ-ო“ პრეფიქს-სუფიქსით.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ახლა ჩვენ გვინდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები როდესაც ჩვენთვის საინტერესო ზედსართავი სახელები ან სხვა სიტყვებითაა გადმოცემული ქართულში თარგმანისას ან იკარგება.

“And the other things that he had required for his dreadful work”.

(S. Maugham)

„და მერე სხვა ხელსაწყოები რომლებიც ამ მძიმე საქმის დასამთავრებლად ესაჭიროებოდა.“

ზედსართავი სახელი “dreadful” რომელიც „საშინელს“ ნიშნავს გადათარგმნილია როგორც „მძიმე“ ე.ი. ცოტა სხვაგვარადაა თარგმნილი - სუფიქსიანი სიტყვა მარტივი სიტყვითაა გადმოცემული.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა როცა ინგლისურ ენაში მოცემული ზედსართაული ფორმა თარგმანისას სრულიად დაკარგულია.

“Then Monsieur Cohen said an admirable thing”.

(Oscar Wilde)

„ბოლოს კი მუსიე კუინმა ისეთი რამ თქვა რომ გული ამიჩუყდა“.

“It affords you then an inordinate amount of self - esteem”

(S. Maugham)

„ადამიანი პატივისცემით იმსჯვალება საკუთარი პიროვნებისადმი“.

როგორც ვხედავთ მოცემულ მაგალითების აღნიშნული წარმოებული ზედსართავების “inordinate” და “admirable” შესაბამისი სიტყვები არ ჩანს თარგმანში, თმცა მრავლად შეგვევდა მაგალითები სადაც “admirable” თარგმნილია როგორც “შესანიშნავი“.

ცალკე გვინდა გამოვყოთ ისეთი შემთხვევა როცა სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელი ნათარგმნია შესაბამისი არსებითი სახელით, ზმნით ან ზმნიზედით, ე.ი. სხვა მეტყველების ნაწილით.

“Then his face grew bitterly scornful”

(S. Maugham)

„მერე მის სახეზე საშინელი ზიზღი გამოიხატა“.

მოცემულ მაგალითში “-ful” სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელი “scornful”, რომელიც პრედიკატივის ფუნქციონალი წართულში გადმოცემულია აბსტრაქტული არსებითი სახელით „ზიზღი“.

“Strickland’s eyes rested on him and there was in them malicious expression”.

(S. Maugham)

„სტრიკლენდი მტრულად მიაშტერდა მას“.

მოცემულ მაგალითში ზედსართავი სახელი “malicious” წართულში თარგმნილია ზმნიზედით „მტრულად“. მიმართება ზედსართავსა და არსებით სახელს შორის თარგმნისას შეიცვალა მიმართებით ზმნიზედასა და ზედსართავს შორის.

ამგვარად ზემოხსენებული მაგალითების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ რომ ხშირ შემთხვევაში თარგმნისას შეუსაბამობა ხდება მორფოლოგიის დონეზე და შესაბამისად სინტაქსის დონეზეც.

განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა.

“He was a tall man of fifty with a drooping moustache and grey hair”.

(S. Maugham)

„იგი ორმოცდათი წლის, მაღალი, ხმელ-ხმელი, გრძელულფაშა და ჭადარა მამაკაცი გახლდათ“.

მოცემული მაგალითი საინტერესოა იმით, რომ ზედსართავი სახელი “drooping” არაა დაფიქსირებული ლექსიკონებში. მოცემულია ზმნა “to droop”, არსებითი სახელი “droop” და ზმნიზედა “droopingly”. ამგვარად, ენის დონეზე ჯაჭვში: ზმნა თვისობრივი ზედსართავი (ანუ ადიმქტური განსაზღვრება) “-ly” სუფიქსიანი სიტყვა (ანუ ადვერბიალური განსაზღვრება) აკლია ერთი რგოლი, კერძოდ „თვისობრივი ზედსართავი“. ამგვარად თითქოსდა ხდება სიტყვათწარმოებული ნახტომი: მოქმედების გამომხატველი ზმნიდან (to droop) პირდაპირ წარმოიქმნება სხვა მოქმედების გამომხატველი თვისება (drooping), მაგრამ მეტყველების დონეზე, როგორც ვნახეთ ეს ჯაჭვი შეივსო და გაჩნდა ეს რგოლიც (drooping) რომელიც მას ენის დონეზე აკლდა. თარგმნისას კი “-ing” სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელი რომელიმე შესაბამისი წარმოებული ზედსართავით კი არ არის ნათარგმნი, არამედ გადმოცემულია რთული ზედსართავი სახელით „გრძელულფაშა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ მსაზღვრელ - საზღვრულის (“drooping” და “moustache”) მიმართება წართულში გაერთიანდა ერთ სიტყვაში.

ამგვარად, კვლევამ დაგვანახა, თუ როგორი დიდი სხვაობაა აფიქსალურ წარმოებაში ინგლისურ და ქართულ ენებში, თუ რა მრავალრიცხოვანია ინგლისური სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსები, კერძოდ ზედსართავი სახელის აწარმოებელი სუფიქსები და რა განსხვავებული ფორმებით გადმოიცემა ინგლისური წარმოებული ზედსართავი სახელი წართულ ენაში თარგმნისას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Carstairs-McCarthy A. 2008. An Introduction to English Morphology: Words and Their Structure. Edinburg: Edinburg University Press.
2. Algeo J. 2010. The Origins and the Development of the English Language. Sixth edition. Boston.
3. Affixation in Modern English. 2009. <http://www.bestreferat.ru/referat-192561.html>

დალი ქადაგიშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### 080301სტები – ემი ლოუელი და მისი “რიპულები”

იმიჯიზმი – მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ინგლისისა და ამერიკის პოეზიაში გავლენიანი მოძრაობა, რომელიც სინამდვილის ასახვისაკენ იმიჯებით ანუ ხატებით და წმინდა მახვილგონივრული მეტყველებით მოუწოდებდა. მოძრაობამ დიდი ძვრა გამოიწვია ჯერ ინგლისურ, ხოლო შემდგომ ამერიკულ პოეზიაში.

იმიჯისტები უარს აცხადებდნენ სენტიმენტებზე და ლოგიკურობაზე, რაც ასე დამახასიათებელი იყო რომანტიკული და ვიქტორიანული პოეზიებისათვის. იმიჯიზმი მიუღებელი იყო მისი თანამედროვე ლიტერატურისათვისაც კი, ანუ გეორგიანული პოეტებისათვის, რომლებიც ტრადიციებზე აღიზარდნენ. ეს იყო მოდერნისტული მიმდინარეობა ლიტერატურაში, რომელმაც სხვა სფეროებშიც – მხატვრობა, ქანდაკება – გადაინაცვლა.

იმიჯიზმი არის ლაკონიურობა, სიტუაციის უშუალო პრეზენტაცია, ახლის ძიება და მეტი კლასიკური ფასეულობების შემოტანა, თითოეული სახის, ხატის არსის გაგება და დადგენა – აი რას მოითხოვდა ავანგარდული ხელოვნება, განსაკუთრებით კი კუბიზმი, კონკრეტული მაგალითების შეპირისპირება აბსტრაქტული იდეების გამოსახვა, გადმოკეთება ერთი იმიჯით.

#### პირველი ეტაპი

ალბათ განვეხამ ინება ინგლისელი თომას ერნესტ ჰიულმის (1883-1917) გამოძევება კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, რათა შემდგომში მას ჩამოყალიბებინა ახალგაზრდა პოეტების ან პოეტურად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი “იმიჯისტების” სახელწოდებით.

23 წლის თომას ჰიულმა, რომელიც უნივერსიტეტში ზუსტ მეცნიერებებს უუფლებოდა, მცირე ხნით ჰუმანიტარული დისციპლინების შესწავლას მიჰყო ხელი. ის აყალიბებს ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრეს “პოეტების კლუბის” სახელწოდებით, აქვეყნებს თავის ცნობილ ლექსს “შემოღორმა”, რომლითაც მან მკითხველი გააკვირვა საოცარი შედარებებისა და მეტაფორების უხვი გამოყენებით. სწორედ ჰიულმი იყო პირველი, რომელმაც მოუწოდა კანონიკური რითმების და მანამდე არსებული მეტრული სისტემის დარღვევისაკენ. ამ კლუბმა შექმნა საფუძველი “იმიჯიზმის” ჩამოყალიბებისათვის, სწორედ აქ ჩაისახა ინგლისური თეორი ლექსისა და ვერლიბრის ტრადიციები. მის რიგებში იყვნენ ისეთი ცნობილი პოეტები, როგორებიც არიან ედმუნდ გოსი (1839-1928), ჰენრი ნიუბოლტი (1862-1938), ეზრა პაუნდი (1885-1972), ფრანკ სტუარტ ფლინტი (1885-1960).

თ. ჰიულმს მხარში მისივე მეგობრები – ფრენსის ფლინტი (1895-1960), ჯოზეფ კემპბელი (1904-1987) და ფლორენს ფარი – ამოუდგნენ. პირველი იმიჯისტებიდან, როგორც პოეტი, საინტერესონი არიან თომას ჰიულმი (რომელიც, სამწუხაროდ, ადრე დაიღუპა I მსოფლიო ომში) და ფ. ფლინტი. თომას ჰიულმის სტატიების და ლექსების კრებული გამოიცა მისი სიკვდილის შემდეგ. ჰიულმის ლექსები გამოირჩევა ლაკონიურობით, მრავლისმთქმელობით, თუმცა უემოციოა, მაგრამ სავსეა აღეგორიებითა და ახალი სახეებით. მოგვიანებით მათ შეუერთდა ამერიკელი პოეტი ეზრა პაუნდი. თ. ჰიულმა, ფ. ფლინტმა და ე. პაუნდმა იმიჯისტების ლექსების პირველი კრებული გამოსცეს.

1910 წლიდან კლუბი არსებობას წყვეტს.

მეორე ეტაპი

1912 წლიდან იწყება იმიჯისტური მოძრაობის მეორე ტალღა. ამ ტალღის პირველი მერცხალი იყო ამერიკელი პოეტი ქალი ჰილდა დულიტლი (1892-1961). მოძრაობას სათავეში ეზრა პაუნდი ჩაუდგა - ენერეგიული, დაუცხრომელი პიროვნება, ყოველთვის ახლის ძიებაში. ის აყალიბებს იმიჯისტების კრედოს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ლექსი. მას არ აღელვებს რითმა, მას არ აწყობს ადრინდელი პოეზია, სადაც ლექსში დიზაინი გაყინულია, ხოლო ლექსის შაბლონური წყობა მას გაქვავებულ ქანდაკებას მოაგონებს. სიტყვის ან ლექსის წყობის გარდა, პაუნდი გამოჰყოფდა მელოდიურობას და ინტელექტუალობას. შემდგომში ამგვარი დაყოფა ლიტერატურათმცოდნებმაც აიტაცეს. პაუნდი უპირატესობას ანიჭებდა ხილულ სახეებს, ხატს, იმიჯს.

ე. პაუნდს მხარში ამოუდგა ინგლისელი პოეტი-პროზაიკოსი რიჩარდ ოლდინგტონი (1892 - - 1962), შემდგომში ჰილდა დულიტლის მეუღლე. ოლდინგტონი ლექსში ემოციებს აფასებდა: მან გამოიარა I მსოფლიო ომის საშინელებანი (1917-1918). 1919 წელს გამოსცა ლექსების კრებული “ომის ხატება”, რომელიც გარკვეულ დონეზე იმიჯისტების შემოქმედების ტიპური სახეა და, შესაძლებელია, საუკეთესოც.

მეორე ეტაპისთვის დამახასიათებელია ანტიური ლირებულებების ძიება. ამასთან ერთად, მეორე ეტაპის დამასრულებელი სახეა ე. პაუნდის მიერ გამოცემული პოეტური ანთოლოგია “Des Imagists” (1915), რის შემდეგაც ეზრა პაუნდი გამოდის ჯგუფიდან და პარიზს მიემგზავრება. პირველი მსოფლიო ომი გახდა მიზეზი, რომ იმიჯისტების ახალ, მესამე ტალღას ინგლისიდან ამერიკაში გადაენაცელდა. ამჟამად იმიჯისტებს ახალი ლიდერი გამოუჩნდათ ემილოუელის (1874-1925) სახით.

მესამე ეტაპი

ემი ლოუელი

ამ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, მასაჩუსეტში ემი ლოუელი მოვაწეობს როგორც პოეტი და საქმიანი ქალი. 1913 წელს კითხულობს რა ჰილდა დულიტლის ლექსებს, იგი, შესახედავად დაბალი, ჩასუქებული, მამაკაცურად ჩაცმული, მოყავისფრო მანქანითა და ასეთივე ფერის ტყავის კოსტუმში გამოწყობილი, მაშინვე ჩადის ლონდონში ეზრა პაუნდთან, რადგანაც გრძნობს, რომ იმიჯისტების სტილი მის სტილს ძალიან მიესადაგება. აქ ის შეხვდა ბევრ პოეტს, რომლებთანაც სიცოცხლის ბოლომდე პქონდა მეგობრული ურთიერთობები, რასაც ვერ ვიტყვით ეზრა პაუნდზე, იგი მას ცივად შეხვდა და მის იმიჯიზმს ემიჯიზმი უწოდა. ამბობენ, რომ სწორედ ემი ლოუელის ჩარევამ განაპირობა ეზრა პაუნდის მიერ ჯგუფის დატოვება.

იმიჯისტების მესამე ეტაპი უკვე ამერიკის ტერიტორიაზე დაიწყო. ამ ტალღას მიეკუთვნებიან ისეთი პოეტები, როგორებიცაა ინგლისელი პერბერტ რიდი (1893-1968), ბრიტანეთის არმიის ოფიცერი, შემდგომში ცნობილი კრიტიკოსი, ამერიკელი პოეტი კარლ სენდბერგი (1878 -1967) და უილიამ კარლოს უილიამსი (1883-1963).

ემი ლოუელმა არა მხოლოდ თავისი ლექსები, არამედ სამი ანთოლოგიაც გამოსცა, რომლებშიც გამოქვეყნდა დევიდ ლორენსის, ჯეიმს ჯონსის, ფორდ მედოკ ფორსის, თომას სტერნზელიოტის, კარლ სენდბერგის, კარლოს უილიამსის ლექსები.

თომას რიდმა აღწერა მსოფლიო ომის საშინელებები, რომლებშიც ის თავად იღებდა მონაწილეობას. აქვე ვითარდება ცნობილი პროზაიკოსის დევიდ ლორენსის პოეტური ნიჭი. თავდაპირველად პოეტი გეორგიანელი, ის მალევე შეუერთდა იმიჯისტურ მიმდინარეობას და მალევე დაიწყო ახალი ხერხების ძიება, შექმნა საკუთარი ბოჭემური სტილი, სადაც ადამიანი შერწყმულია ბუნებასთან და ქაოსიდან შობილი ისევ ქაოსს უბრუნდება. იმიჯიზმის კლასიკური სტილის გამტარებელია ამერიკელი პოეტი ჯონ ფლეტჩერი (1886-1950), პოეტი, ესეისტი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული ფიგურა.

ემი ლოუელი ამბობდა—“ღმერთმა შემქმნა მე საქმიან ქალად, მე კი ჩემი თავი პოეტად ვაქციე”.

ემი შეძლებულ ოჯახში დაიბადა, იყო ხუთი შვილიდან კველაზე პატარა. მამა აუგუსტუსი და დედა ქეტრინი, წარმოშობით ახალი ინგლისიდან, არისტოკრატულ წრეს მიეკუთვნებოდნენ – მამა ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, დედა ხელოფანი, მებაღეობის მცოდნე, მუსიკოსი და ლინგვისტი. პოეტები მათ ოჯახში ახალი ხილი არ იყო. ავილოთ, მაგალითად, ჯეიმს რასელ ლოუელი (1917-1977).

ემი ლოუელმა განათლება ჯერ ოჯახში მიიღო, შემდეგ კერძო კოლეჯებში (ბრუკლინსა და ბოსტონში). პირველი ლექსი 10 წლის ასაკში დაწერა. არდაღებებზე ის ოჯახთან ერთად ბევრს მოგზაურობდა, დედის მიერ გამოცემულ კრებულში “Dream Drops” ანუ მოთხოვები ზღაპრული სამყაროდან (1887) ემის პირველი ლექსები დაიბეჭდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ემის საპატივსაცემოდ ექვსი წვეულება გაიმართა, მაგრამ მის დებიუტებს ქორწინების წინადადება არ მოჰყოლია. ემის ძმა, ჰენრი ლოუელი, ასტრონომი გახდა, მეორე ძმა ებოტი ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

ემი ეწეოდა ელიტურ ცხოვრებას, წვეულებას წვეულებაზე მართავდა, როდესაც ხელი სოხუმეს, მან წინადადება მიიღო, მაგრამ ახალგაზრდამ სხვა ქალზე შეაჩერა არჩევანი. ამის შემდეგ ემი ევროპასა და ეგვიპტეში მიემგზავრება (1897). იყო დიეტაზე, რომ წონაში დაეკლო, მაგრამ უშედეგოდ.

1900 წელს ორივე მშობელი გარდაეცვალა. ემიმ განაგრძო ბოჟემური ცხოვრება. წვეულებები, გართობები, კითხვა და განათლება. იგი აგროვებდა წიგნებს, წერდა პიესებს, გატაცებული იყო თეატრით. 1892 წელს პირველად დაწერა თეორი ლექსი და მიუძღვნა მსახიობ ქალს ელეონორ დიუსს და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ის პოეტია.

1912 წელს გაიცნო მსახიობი ადა დუაიერ რასელი. 1914 წლიდან რასელი (ის ემიზე 11 წლით უფროსი იყო) გახდა მისი ცხოვრების თანამგზავრი (ბოსტონური ქორწინება) და მდივანი. რიჩარდ ბენვენუტო ამბობს, რომ რასელმა დიდი როლი ითამაშა ემის პოეტურ ბიოგრაფიაში. ემი ლოუელის პირველი ლექსები გამოქვეყნდა ატლანტის ყოველთვიურ ჟურნალში “Atlantic Monthly” 1912 წელს, ამას მოჰყვა საკუთარი ლექსების კრებული სახელწოდებით “მრავალუერი შუშის თაღი”. მას უყვარდა სონეგების წერა, თუმცა მისი ამპლუა იყო “თავისუფალი ლექსი”; ეს იყო სტრიქონების იმგვარი წყობა და აბზაცების ისეთი თავისუფალი, ურითმო გადმოლაგება, რომ ზოგან პროზის ელემენტებსაც შენიშნავდით. ეს იყო პოლიფონიური პროზა, რომელშიც გაძნეული რითმები მარგალიტებივით ბრწყინვადნენ. მან მანამდე გამოაქვეყნა რამდენიმე პიესა, ეწაფებოდა თარგმანის ხელოვნებასაც, თარგმნა ჩინელი ავტორი ლი ტაი პო (701-762), ეწეოდა კრიტიკულ მოღვაწეობას და გამოაქვეყნა კრიტიკული სტატიები ფრანგულ ლიტერატურაზე. მუშაობდა ჯონ კიტსის 2-ტომიან ბიოგრაფიაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ემი ლოუელი, როგორც სხვა მწერალი ქალები, დავიწყებას მიეცა, მაგრამ ქალთა მოძრაობის (1970წ.) შემდეგ მოხდა მისი გამომზეურება და აღმა სვლა.

ემი ლოუელის პოემა “რიკულები”

ხალხის უმეტესობა რიკულებში—ხუნდებში ცხოვრობს. ზოგი თრევით ასრულებს ყოველდღიურ დამქანცელ სამუშაოს, სხვები უფრო სწრაფად გაიდებიან საქმეს. მაგრამ ამ რიკულების მოხსნა შესაძლებელია. ლექსი სავსეა ამგვარი რიკულებით. რას მოუტონს მთავარ გმირს ამ რიკულების წინააღმდეგ გალაშქრება? თრაგიკულ დასასრულს. ყველგან რიკულებია შადრევანზე, ბალის ბილიკებზე, წინააღმდეგობები ყველანაირი — დიდი თუ პატარა. მიჰყები მათ და სიმძიმე გიპურობს.

ემი ლოუელი საუბრობს ქალის ხედის უფარავს მყიფე ფარჩის კაბა და ამ კაბის სიმძიმე დაჲყვება მთელი პოემის მანძილზე. ნუთუ ეს საპატარძლო კაბა? ცხადია საპატარძლო — ქალი ხომ თავის სატრფოს ელის, ეს მოღოდინი ჭიანურდება და ფარ-

ჩაც უფრო მძიმდება. შვება არსიდან ჩანს, ბოლო ქალს ეს კაბა ტვირთად გადაექცევა, არც სატრფოა უკეთეს დღეში: სამხედრო უნიფორმა მძიმე ხვედრია.

ქალმა არ იცის გაჟყვეს თუ არა რიკულებიან გზას. ის კარგ დასასრულზე ოცნებობს, მაგრამ რეალობა ულმობელია. შეიტყობს რა სატრფოს დაღუპვის ამბავს, სიტკო სიმწარედ ექცევა. კაბა აღარაა სასურველი და ლამაზი, ის მხოლოდ მყიფე აღჭურვილობის გროვაა. შადრევანი და წყალი ცრემლების სიმბოლოა, ქალი ქვითინებს, ცაცხვის სე ჰყვავის, პატარა ყვავილი კი გულზე დაეცა. ქალს აწვიმს შადრევანიდან წამოსული წყლის წვეთები.

იმედის მომცემი ოპტიმისტური სვლა პოემის დასაწყისში ფინალში, თუმცა ტრაგედიით, მაგრამ მაინც, ომის, როგორც ძალადობისა და ბოროტების, საწინააღმდეგო განწყობილების გამომხატველი ლამაზი ფრაზით სრულდება: გვჭირდება კი ისეთი რიკული, როგორც ომია?

აქვე მომყავს ემი ლოუელის პოემის “რიკულები” ჩემეული თარგმანი.

### რიკულები

ჩავყვები ბილიკებს ბაღში,  
ყოველი ყვითელი ნარგიზი  
ჰყვავის, და მასთან ერთად ჰყვავის შროშანიც.  
ჩავყვები რიკულებიან ბაღის ბილიკებს  
ფარჩის კაბაში გამოწყობილი.  
შეპუდრული ომით და ძვირფასი მარაოთი,  
მეც იშვიათი  
რიკული ვარ. ჩავყვები რა  
ბაღის ბილიკებს.  
სამოსი ჩემი მდიდრულია და გაწყობილი,  
და შლეიფი კი  
ხრეშმოყრილ ბილიკებს  
ვარდის და ვერცხლის ნაკვალევს აჩენს,  
არშია კი,  
ზუსტად ასახავს დღევანდელ მოდას.  
ჩემს ირგვლივ ერთი სულიც კი არ ჩანს.  
არს მხოლოდ ფარჩა და ულვაში ვეშაპის  
ცაცხვის ქვეშ, ჩრდილში  
სკამზე ვეშვები. რაოდენადაც ვნება ჩემი  
გახევებული ფარჩის კიდეს ჭიდილში უხმობს.  
ნარგიზები და შროშნები ფანცქალებენ  
ნიავში უხმოდ.  
მე კი ვქვითინებ;  
რადგან ცაცხვი, აყვავევებულა  
და სულ პაწაწა ერთი ყვავილი გულზე დამეცა

წყლის წვეთების ჩქაფუნი  
მარმარილოს შადრევანში  
ბაღის ბილიკებს ესალბუნება.  
და არასოდეს წყდება.  
მყიფე სამოსის ქვეშ  
იგრძნობა სინაზე მარმარილოს აუზში მობანავე ქალისა,  
აუზში, ორ მესერს შორის,  
რომელთ სისქე სატრფოს მალავს.  
ქალმა უწყის, ის აქ არის,  
და წყლის სხლება სატრფოს ალერსს უტოლდება.  
რა არს ზაფხული,  
თუ გაცვია მშვენიერი ფარჩის კაბა!  
დაგ, იყოს ის მიწაზე გართხმული.

ვარდისა და ვერცხლის ფერში ერთნაირად ასხმული.

თავად ვიქნებოდი ვარდისა და ვერცხლის ფერი,

ბილიკებზე მორბენალი,

სატრფო უგან გამყვებოდა,

თუმცა ცოტა შევერხებით,

მაგრამ გულიანი ვნებით.

ვადა ხმლისა და აბზინდი ფეხსაცმლისა მზის ანარეპლს

აშუქებდა.

ვისურვებდი

წამეყვანა ლაბირინთით რიკულს მიღმა,

მომღიმარი და ნათელი ლაბირინთით ჩემი მძიმე ჩექმიანი

სატრფო.

ვინემ ჩრდილში მომიმწყვდევდა,

და მისი ზედატანის ღილაკები

ჩემს სხეულზე მიკრობისას სილურჯის კვალს დატოვებდა.

ტკივილით, შერწყმით და გაბედვით,

ხეთა ჩრდილით, მზის სხივებით,

და წყლის წვეთების ჩქაფუნით.

ჩენეს ირგვლივ გაგანია შუადღეა -

ლამის დამეკარგოს გონი.

ფარჩის წონა ისე მძალაგს

მზე სცრის სხივებს ასე მგონი.

ვარდნილ ყვავილს ეფარება

მკერდზე ნახად ქს უსტარი.

თვით ჰერცოგმა გამოგზავნა მხედრის ხელით ის ამ დილით.

"მადამ, დიდი სინაწულით გაუწყებთ, რომ ლორდ ჰარტველი

ხუთშაბათის მწუხარის ჭამს ბრძოლის ველზე დაიღუპა."

გარიურაჟზე ამ წერილის წაკითხვისას ელდა მეცა.

ასოები გველებივით დაიკლაკნა, დაიბრიცა.

"პასუხს გასცემთ, ქალბატონო", მე დაქია ჩამეკითხა.

"არა", ვუთხარ.

"მიაღევნე, რათა შიკრიქს მიმიხედონ.

პასუხი კი არ იქნება".

და ისევე ბადში შეველ.

დავუყევი, ზევით, ქვევით, რიკულებით სავსე ბილიკს,

ჩემი მძიმე, მყიფე ფარჩით.

ცისფერ-ყვითელ ყვავილები,

თვითოველი სიამაყით მიცქეროდა.

და მეც კაბის სიმძიმისგან

გამართული

გადვიხარე რიკულისკენ,

ზევით, ქვევით, სვლა დავიწყე,

ზევით, ქვევით.

სულ ერთ თვეში ჩემი ქმარი გახდებოდა,

სულ ერთ თვეში, ამ ცაცხვის ქვეშ,

დავამსხვრევდით ყვალა რიკულს,

ის ჩემთვის,

და მე კი მისთვის,

ის სამხედრო, მე კი ლედი,

ამ ჩრდილიან სავარძელზე.

სულ ფიქრობდა,

რომ მზის სხივებს

თან მოჰქონდათ დვთის კურთხევა,

ვპასუხობდი, "ის მოხდება, რაც მითხარი".

ახლა იგი არის მკვდარი.

და ზამთარ-ზაფხულ კვლავაც ვივლი ზევით, ქვევით  
ბილიკებზე რიკულებით.  
შრომნების და ნარგიზების კადმისფერი  
გზას დაუთმობს ვარდებს, ასტრებს, თოვლის მდელოს,  
მე კი ვივლი ზემოთ, ქვემოთ,  
თვალმომჭრელად გაწყობილი,  
კორსეტიან მძიმე ფარჩით.  
და სინაზეს სხეულისას თვითოვეული  
დილი, კავი და მაქმანი უდარაჯებს.  
რადგან კაცი, ვის ძალუძდა მათი შეხსნა  
აღარ არი.

ფლანდრიაში ჰერცოგთან ერთად იბრძოდა იგი,  
ისეთ რიკულში, რომლის სახელი ომია ერთი.  
გვჭირდება კი ამგვარი რიკულები, მითხარი ღმერთო?

.....

ვეშაპის ულვაშისაგან ქალის კორსეტებს ამზადებდნენ.

#### ბამოზენებული ლიტერატურა

1. Jones P. (ed.) 1972. Imagist Poetry .Penguin.
2. An Anthology of English and American Verse. Moscow, 1972.
3. American Literature. Ed. A. D. Porter, H.L. Terrie, Jr. Ed. Gordon. Massachusetts, 1979.
4. American Poetry and Prose, p. 2 .ed. N. Foerster, N. S. Crabbo, R. B. Nye, E. F. Carlisle. Boston, 1970.
5. Gray R. 1980. American Poetry of the Twentieth Century. Great Britain.
6. Nelson C. 1981. Our Last First Poets. Illinois University.
7. [http://www.english.illinois.edu/maps/poets/g\\_l/amyloowell/imagism.htm](http://www.english.illinois.edu/maps/poets/g_l/amyloowell/imagism.htm)
8. <http://www.princeton.edu/~achaney/tmve/wiki100k/docs/Imagism.html>
9. [https://www.google.ge/?gws\\_rd=cr&ei=8jLpUpveE4e34wSGqoGIAQ#q=imagists+poets](https://www.google.ge/?gws_rd=cr&ei=8jLpUpveE4e34wSGqoGIAQ#q=imagists+poets)
10. [www.poemhunter.com/hilda-doolittle/](http://www.poemhunter.com/hilda-doolittle/)
11. <http://www.poetryfoundation.org/bio/amy-lowell>
12. [www.poets.org/viewmedia.php/prmMID/5658](http://www.poets.org/viewmedia.php/prmMID/5658)

სოციალური გეცნიერებები

გიორგი გიგაური  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სუვერენიტეტი როგორც უცხოელთა გაძვენების სამართლებრივი საფუძველი

სუვერენიტეტი მუშაობს, როგორც სამართლებრივი ტერმინი საერტაშორისო კანონმდებლობის სფეროში. ამ სტატიაში განვიხილავ დემოკრატიულ სუვერენებას, როგორც სამართლებრივ კონცეფციას და გავაანალიზებ განცხადებას, რომ სახელმწიფოს აქვს განუყოფელი უფლება აბსოლუტურად გააკონტროლოს უცხოელების შესვლა ქვეყანაში. საყოველთაო აკრძალვის სუვერენული უფლების კონცეფცია სასარგებლო იყო ეროვნული კანონმდებლობის და პოლიტიკის შემზღვევები დებულებების ფორმირებისთვის და კვლავაც განიხილება, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობის აქსიომა.

ეს კონცეფცია წინააღმდეგობაში შედის იძულებითი რეპატრიაციის უარყოფის (non-refoulement) პრინციპის მზარდ ზეგავლენასთან. თუმცა ეს წესი არ ადგენს დადასტურებულ უფლებას პირებისთვის, რომელიც ეძებენ თავშესაფარს, შევიდნენ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ის მოქმედებს არაპირდაპირი გზით, როგორც ქვეყანაში შესვლის უფლების მინიჭება თუ ისე ხდება, რომ ერთადერთი არჩევანი რომელიც აქვს სახელმწიფოს არის მიღება ან იძულებითი დაბრუნება [9, 202]. ამ უკანასკნელი ნორმის ეს მახასიათებელი ეწინააღმდეგება უცხოელების ქვეყანაში მიღებაზე აბსოლუტური კონტროლის სუვერენულ უფლებას.

შევცდები დავამტკიცო, რომ კონფლიქტი სუვერენიტეტის სამართლებრივ კონცეფციას, რომელიც ეხება თავშესაფარს (უცხოელების სრული გაძევების უფლება) და უცხოელის ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირ უფლებას (იძულებითი რეპატრიაციის უარყოფა) შორის არ არის იმდენად დამარტინუნებელი, როგორც ნავარაუდევი იყო. პირველ რიგში განვიხილავ იძულებითი რეპატრიაციის პრინციპის სამართლებრივ ასპექტს და უზრუნველყოფა, რომ მან მიაღწია ჩვეულებითი წესის სტატუსს, იმისთვის, რომ უუჩვენო მისი ძალა ლიბერალურ დემოკრატიის ში. შემდგე განხილული იქნება იმ მოსაზრების დასაბუთებულობა, რომ სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება გააძევოს ყველა უცხოელი იმ არგუმენტის მოყვანით, რომ იურის-პრუდენციული ჩანაწერები რომლებსაც ეყრდნობიან ამ განცხადების მხარდაჭერისთვის არ ამტკიცებს მას აბსოლუტურად, მაგრამ ქმნის საჭიროებას გაძევების ლეგიტიმური მიზეზების მოყვანისა.

გავაანალიზებ თეორეტიკოსი იურისტების ნამუშევრებს, რომლებიც ციტირებული იყო როგორც ავტორიტეტები ანგლო-ამერიკულ პრეცედენტებულ შემთხვევებში და მიგუთითებ მათი არასწორი ინტერპრეტაციის გზებს. შემდგომ ფორუსი გადაინაცვლებს სამართლებრივი სუვერენიტეტის პრაქტიკის ისტორიულ ელემენტებზე და უზრუნველყოფა, რომ ყოფილა შემთხვევები ზოგიერთი უცხოელის ქვეყანაში შეშვებისა საყოველთაო გაძევების დადასტურებული უფლების მიუხედავად. დასკვნის სახით დავამტკიცებ, რომ სახელმწიფოს არ აქვს უცხოელების შემოსვლის აკრძალვის აბსოლუტური უფლება, არამედ „კვალიფიციური მოვალეობა ზოგიერთი უცხოელის მიღებისა გარკვეულ გარემოებებში“.

სიცოცხლის უფლების და წამების აკრძალვის დაცვა, რაც მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) 2-ე და 3-ე მუხლებში; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 3-ე და 5-ე მუხლებში; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების (ICCP) მუხლებში 6(1) და 7; და წამების წინააღმდეგ კონვენციის (CAT) მუხლში 3(1), ემსახურებოდა იძულებითი რეპატრიაციის უარყოფის პრინციპის დანერგვას და განვრცობას. ლტოლვილებთან დაკავშირებული ამ პრინციპის შერწყმამ ადამიანის უფლებათა უპირობო ვალდებულებებთან ამაღლა ის „ჩვეულებითი კანონის“ სტატუსამდე და ზოგიერთ შემთხვევაში jus cogens (საერთო საერთაშორისო სამართლის) წესამდე [1]. Goodwin-Gill-ი წერს რომ „არის არსებითი, თუ არა გადამწყვეტი ავტორიტეტი, რომ [იძულებითი რეპატრიაციის უარყოფა] დამავალდებულებელია ყველა სახელმწიფოსთვის კონკრეტული თანხმობისგან დამოუკიდებლად“ [2, 167]. ამას გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ დაადგინა რომ: „ზოგადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოს აქვს უფლება თავისი სუვერენიტეტის შესაბამისად გააკონტროლოს უცხოელების

ქვეყანაში შესვლა და ქვეყნიდან გასვლა [ . . ] თუმცა სახელმწიფომ, რომელმაც ხელი მოაწერა ECHR-ს და მოახდინა მის რატიფიცირება, უნდა ცალსახად ეთანხმოდეს ამ უფლების შეზღუდვას იმ ვალდებულებების მასშტაბით და ფარგლებში, რაც მან მიიღო ამ კონვენციის მიხედვით”.

იძულებითი რეპარიაციის უარყოფის გაძლიერებას შეიძლება დაგაკვირდეთ სხვადასხვა იურიდიულ და პოლიტიკურ მოვლენებში, როგორიცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის (UNHCR EXCOM) დასკვნა №55, სადაც დადასტურებული იყო, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს იძულებითი რეპარიაციისგან იმ საფუძველზე, რომ ასეთი ქმედებები „ეწინააღმდეგება ასეთი პრაქტიკის ფუნდამენტურ აკრძალვებს” და დასკვნა №79, რომელშიც მკაფიოდ არის დადგენილი, რომ „ეს პრინციპი არ უნდა იყოს ნაწილობრივი შეზღუდვის საგანი”. ამის მსგავსად, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ტრიბუნალის სასამართლო პრაქტიკით განისაზღვრა თავშესაფართან დაკავშირებული პოლიტიკის მკაცრი სამუშაო პარამეტრები და დაადგინა მკაფიო კავშირი უცხოელების დევნის შესაძლებლობასა და სახელმწიფოს მიერ მათვების დაცვის შეთავაზების (ქვეყანაში შეშვება) პასუხისმგებლობას შორის.

ამრიგად უცხოელების ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირმა უფლებამ მზარდი ზემოქმედება შეიძინა ქვეყნების მიერ არასასურველი მიგრაციის მიღებაზე. ზემოთ სენებული მოვლენების საპასუხოდ ლიბერალური დემოკრატიები ეკრძონბიან ლეგალური სუვერენიტეტის კონცეფციას თავშესაფართან დაკავშირებული თავისი შემზღვდავი და წინააღმდეგობრივი ტაქტიკის შესასწორებლად. სუვერენიტეტი გამოცხადებულია, როგორც ყველაზე შეუვალი „ემიგრაციის, ნატურალიზაციის, ეროვნების და გაძევების საკონსებში და მისი „არსი რჩება გაძევების ძალაუფლებაში”. მსგავსი შეხედულებების გავრცელება ხდებოდა გავლენიანი იურისტების, პოლიტოლოგების და საზოგადოებრივი პოლიტიკის შემქნელი პირების მიერ [4, 267].

თუმცა ვეთანხმები იმ კრიტიკოსებს, ვისაც სჯერა, რომ ამ დებულებას აქვს მცირე ისტორიული ან სამართლებრივი საფუძველი [6, 804-847]. ნაფციგერს მოყავს არგუმენტები, რომ იურიდიული მოსაზრებები, რომელთა საფუძველზე მოხდა ამ აზრის ჩამოყალიბება, ნაკლებად სარწმუნოა, ვინაიდან ხშირად ხდება მათ მიერ ავტორიტეტული წყაროს არასწორი ინტერ-პრეტაცია, ეწინააღმდეგება თანამედროვე განცხადებებს ამ მოსაზრების შესახებ, და ეფუძნება საჭვრო, ხშირად რასისტულ წარმოდგენებს. მიუხედავად უცხოელების ქვეყანაში შეშვების პრაქტიკის სამართლებრივი დახასიათებისა, როგორც თვით-დაწესებული შეზღუდვისა გაძევების უფლებაზე, ფაქტობრივად ეს არის „კვალიფიცირებული ვალდებულება ზოგიერთი უცხოელის ქვეყანაში შეშვებისა, ზოგიერთ გარემოებაში” [6, 805]. ის დამარწმუნებლად იწყებს წყაროების და აკადემიური ავტორეტეტების გადასინჯვას, რომლებმაც უზრუნველყვეს სამართლებრივი საფუძველი პრეცედენტული სამართლის შემდომი პრეცედენტების და თანამედროვე მიდგომის ფორმირებისთვის.

ამ დებულების შედარებით თანამედროვე წარმოშობის მიუხედავად, 1972 წელს შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისას მიმართ „სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლის ძველ პრინციპებს” რათა მხარი დაეჭირა მთავრობისთვის ყველა უცხოელის გასაძევებლად თუ ასე იქნებოდა სასურველი. თუმცა ძველი ბერძნები იჩენდნენ სტუმართმოყვარებას უცხოელების მიმართ: პერიკლე, პლატონი და, ნაკლებად, არისტოტელე ხაზს უსვამდნენ უცხოელების ქვეყანაში მიღებას, როგორც სახელმწიფოს კვალიფიცირებულ ვალდებულებას გარკვეული გარემოებების არსებობისას [7]. სასამართლოები ხშირად იგნორირებას უკეთებენ საერთაშორისო სამართლის თეორიას სუვერენული სახელმწიფოს შესაბამისი „განუყოფელი ძალის” მეშვეობით, და ამით ხდება ამ საკითხის კლასიკური პუბლიცისტების იგნორირება. თუმცა პიუგო გროციუსი, ფრანცისკო დი ვიტორია, ქრისტიან ვოლფი და პაფენდორფი იცავდნენ თავისუფალი მიგრაციის, დროებით ცხოვრების და მუდმივი ცხოვრების უფლებას საკუთარი სახლებიდან გამოძევებული ლტოლვილებისთვის, რამდენადაც მათი მიზეზები ქვეყანაში შემოსვლისთვის კანონიერი იყო [6, 810-12].

თანამედროვე დასაბუთება სუვერენული სახელმწიფოს მიერ გაძევების უფლებისა მომდინარეობს ვატელის ნამუშევრებიდან და მისი თვით-დაცვის კონცეპციიდან, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად. სწორედ მისმა შერჩევითმა ნაწერებმა დროის სოციო-ეკონომიკურ კონტექსტან და სამართლებრივსა პოზიციიზე აღზევებასთან ერთად, განაპირობა აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივი გადაწყვეტილები უცხოელების შემოსვლის სრული აკრძალვის სუვერენული უფლების მხარდასაჭერად. ჩინელების გაძევების საქმე და ნიშიმურა ეკიუს, მასგროუვის და ფონგ იუ-ტინგის საქმეები ეფუძნებოდა ვატელს, როდესაც მათ შექმნეს პრეცედენტები, რომლებმაც შედგად გამოიდო სამართლებრივი დოქტრინა ანგლო-ამერიკული სამყაროსთვის. ჩინელების გაძევების საქმეში სასამართლო ეფუძნებოდა ვატელს, როდესაც დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მისი „უმაღლესი მოვალეობა“ რაც მდგომარეობს „მისი დამოუკიდებლობის დაცვაში და უცხოური აგრესისგან და შემოჭრისგან დაცვაში [თუ] ... ის მოდის უცხოელი ერისგან, რომელიც თვისი ეროვნული ხასიათით მოქმედებს ან მისი ხალხის ურდოებისგან, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ არიან შეკრებილები“ [6, 817].

კონცეფციასთან ერთად გაგებულ იქნა საქმარისად გაძევების დასაბუთებისთვის. ამის მსგავსად, კლასიკური ბრიტანული მოსაზრება საქმეში მასგროუვი ჩან ტიონგ ტოის წინააღმდეგ, რომელმაც სამართლებრივი გამოხატულება მისცა „სუვერენული პრეროგატივის“ გამოყენებას უცხოელების გაძევებასთან მიმართებაში ეყრდნობოდა იგივე ავტორიტეტს. ამ გადაწყვეტილებებმა და გამომდინარე ნაწერებმა ჩამოაყალიბა გასაანალიზებელი დებულება, მოათვსა რა თავშესაფრის საკითხები მკაცრად საშინაო იურისდიქციის ქვეშ და შექმნა რა სამართლებრივი პრეცედენტები, რომლებმაც ჩამოაყალიბა ჩარჩო უფრო ფართო საიმიგრაციო კანონმდებლობისთვის.

ბოლო დროის სასამართლო საქმიანობა ასევე მიმართავს ვატელს, როგორც კონვენციური ლოგიკის ნაწილს. მოსამართლე ნორთმა ავსტრალიის ტამპას საქმეში ლორდ ატკინსონის დადგენილების ციტირება მოახდინა თავისი განსჯის მხარდასაჭერად: „ქვეყანაში შესვლის აკრძალვა ან გაძევება, იმ უცხოელებისაც კი, ვინც მეგობრულად არიან განწყობილნი, საერთაშორისო კანონმდებლობაში აღიარებულია, როგორც ტერიტორიის სუვერენიტეტის შემადგენელი“. როგორც ოქვა ლორდმა ატკინსონმა, რომელიც საუბრობდა საიდუმლო საბჭოს იურიდიული კომიტეტის სახელით საქმეში გენერალური პროკურორი (კანადა) კეინის და გილპულას წინააღმდეგ: „უზენაესი ძალაუფლების ერთ-ერთ უფლებას ყველა სახელმწიფო ში წარმოადგენს უფლება აუკრძალოს უცხოელს შესვლა იმ სახელმწიფოში, დაურთოს ქვეყანაში შესვლას ისეთი პირობები, რაც მას სურს, გააძევოს ან სახელმწიფოდან დეპორტაცია განახორციელოს, სურვილისამებრ, მეგობრულად განწყობილი უცხოელიც კი, განსაკუთრებით კი, თუ თვლის, რომ მისი ყოფნა სახელმწიფოში ეწინააღმდეგება სახელმწიფოში მშვიდობას, წესრიგს და კარგ მმართველობას ან მის სოციალურ ან მატერიალურ ინტერესებს: ვატელი, ერების კანონი.“ ასეთი დასაბუთება იგრძნობა შემდგომში ბრიტანეთში შმიდგინის საქმეში, როდესაც ლორდი დენინგი ამბობდა, რომ „არც ერთ უცხოელს არა აქვს უფლება შეკიდეს ქვეყანაში [გაერთიანებული სამეფო] გვირგვინის ნებართვის გარეშე: ხოლო გვირგვინმა შეიძლება უარი თქვას მიზეზის დასახელების გარეშე.“

თუმცა ნაფზიგერი დამარტინებელ არგუმენტებს იძლევა, რომ ვატელის ნაწერები გამოიყენება არჩევითად და, ფაქტობრივად, მის ტრაქტატებში არის სხვა ნაწილები, რომლებიც იწვევს საწინააღმდეგო დასკვნას. მართლაც შვეიცარელმა თეორეტიკოსმა მკაფიოდ განასხვავა შიდა საერთაშორისო სამართალი, რომელიც ეფუძნება ბუნებრივ სამართალს და გარე სამართალი, რომელიც ეფუძნება პოზიციისტურ დისციპლინას. შიდა სამართალი ადგენს სუვერენულ ვალდებულებებს, როგორც სინდისის და პრინციპის საკითხებს, მაშინ როდესაც გარე სამართალი ადგენს სუვერენულ უფლებებს, როგორც ნების საკითხებს. სწორედ ვატელის გარე სამართლის ციტირებას ახდენენ ავტორიტეტები, მაშინ, როდესაც შიდა სამართალი უსამართლო იგნორირებულია; „ლტოლვილების და გაძევებულების უფლება“ სუვერენული მოვალეობების კონცეპციასთან ერთად ქმნის ძლიერ არგუმენტს უცხოელების ქვეყანაში შეშვების სუვერენული პრეროგატივის შეზღუდვების არსებობისთვის. ფაქტობრივად, ვატელმა მკაცრი პირობები დაუწესა სახელმწიფოს მიერ გაძევების შესაძლებლობას: არც ერთ

ერს, წერდა ის – „არ შეუძლია, დასაბუთებული მიზეზის გარეშე უარი თქვას ქვეყანაში თუნდაც მუდმივ ცხოვრებაზე ადამიანისა, რომელიც გაძევებულია თავისი ქვეყნიდან” [8, 107-08]. მაშინაც კი თუ სუვერენულ სახელმწიფოს თეორიულად აქვს „განუყოფელი უფლება” უცხოელების აბსოლუტური გაძევებისა, მას არ შეუძლია ამის გაკეთება ზოგიერთ შემთხვევაში „ზოგიერთი უცხოელის მიღების კვალიფიცირებული მოვალეობის” გამო [6, 814]. ამრიგად, როგორც ჩანს, სტანდარტულ ანგლო-ამერიკულ საქმებში მოსამართლეები უფუძნებოდნენ სწორედ იმ ავტორიტეტს (ვატელი) რომელიც ზღუდავდა უცხოელების გამორიცხვის უფლებას, რისი აბსოლუტური მხარდაჭერაც გამიზნული იყო სასამართლოების მიერ.

შემდეგ, ჩვეულებითი სამართლის მატერიალური ელემენტების ანალიზმა გაძევების სუვერენული უფლების ლეგალობა ეჭვის ქვეშ დააყენა. „სუვერენიტეტის კონცეფცია შეცდომაში შემყვანი იყო” თვლის დოუენფელდი, მაშინაც კი, როდესაც ის პირველად იყო გამოცხადებული წამყვანი თეორეტიკოსების მიერ, როგორებიც არიან ჰობის და ჰეგელი, რომლებიც კონცეტრირებული იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოს ვერტიკალურ სტრუქტურაზე. დროთა განმავლობაში, კონცეფციის მნიშვნელობა გაფართოვდა და გულისხმობს აგრეთვე ჰორიზონტალურ ურთიერთობას ცალკეულ სახელმწიფოებს შორის, თუმცა დამოკიდებულება სტატიკური დარჩა. ამრიგად, თავშესაფრის თანამედროვე კონტექსტში განხილვისას, სუვერენიტეტს „როგორც ჩანს, მივყავართ ვერტიკალურ კონცეფციასთან, მაშინ, როდესაც ჰორიზონტალურად ფიქრია საჭირო; და ხისტ წესებთან, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვთ რეალობასთან” [5, 629]. ასეთი დისფუნქციური მიდგომა ასახულია ისტორიულ პრაქტიკაში, როდესაც სახელმწიფოების უმეტესობა, გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით, უშვებს უცხოელებს აბსოლუტური არ შეშვების სუვერენული უფლების თეორიის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს მკვეთრ შეუსაბამობას რეალობასა და თეორიას შორის ამ კონტექსტში.

მოსამართლე ბლეგის განსაკუთრებული მოსაზრება ტამპას საქმეზე აპელაციაზე დადგნილებაში ასახავს ამ არალოგიკურობას. ჰოლდსუორთის ციტირებით მოსამართლე ამტკიცებდა, რომ ტექსტების ავტორების მოსაზრების პრევალირება „მხარს უჭერს შეხედულებას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ინგლისურ იურისპრუდენციაში, უცხოელების არ შეშვების უფლება მშვიდობიანობის ხანაში არ ითვლებოდა ამ პრეროგატივის ნაწილად” და „სულ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც გვირგვინმა გამოიყენა თავისი პრეროგატივა უცხოელების არ შეშვების ან გაძევებისა” [3, 396-7]. თუ სახელმწიფოები პრაქტიკულად არ იყენებენ რაიმე უფლებას უცხოელების არ შეშვებისთვის, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ, მაშინ დებულება, რომლის შესწავლაც ხორციელდება, შეიძლება არათანმიმდევრული იყოს.

ამრიგად ხანგრძლივობა, გამეორება, მუდმივობა და ზოგადობა სახელმწიფო პრაქტიკისა, რაც შეადგენს ჩვეულებითი სამართლის მატერიალურ ელემენტებს, ხელს უწყობს იმ დებულების უარყოფას, რომ სახელმწიფოს შეუძლია ყველა უცხოელის გაძევება. „ძალიან ძლიერ ფსიქოლოგიურ ელემენტთან ერთად opinio juris (მართლზომიერებაში დარწმუნებულობა); უცხოელების დაშვების მოვალეობის გრძნობა – და, ასე გამოდის, რომ არის უცხოელების კვალიფიცირებული დაშვების ჩვეულება” [6, 838-41]. ვუშვებთ რა, რომ არსებული სამართალი და პოლიტიკა, დაკავშირებული თავშესაფრის მაძიებლებთან, საჭიროებს დახვეწას, სამართლიანი იქნება, დავასკენათ, რომ ამ სამართლის ფილოსოფიური ბაზისი არის ქვეყანაში შეშვება – არ შეშვების წინააღმდეგ. იმ პირობით, რომ ეროვნული უშიშროება არ არის გამოხატული საფრთხის ქვეშ და იძულებითი რეპატრიაციის უარყოფის წესის იურიდიული ძალის პირობებში, სახელმწიფოს, როგორც ჩანს აქვს მოვალეობა დაუშვას ზოგიერთი უცხოელი და გასაკუთრებით თავშესაფრის მაძიებლები.

და ბოლოს, ვეცადე მეჩვეებინა, რომ: იძულებითი რეპატრიაციის უარყოფის პრინციპმა ჩვეულებითი კანონის სტატუსს მიაღწია და ზოგიერთ გარემოებაში გახდა ქვეყანაში შესვლის არაპირდაპირი უფლება; ავტორიტეტი, რომელმაც განაპირობა არსებული ცნება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება გააძევოს ყველა უცხოელი არასწორად იყო ინტერპრეტირებული; ისტორიული პრაქტიკა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები იღებენ ზოგიერთ უცხოელების იმ დებულების მიუხედავად, რომ აბსოლუტური უფლება აქვთ მათი გაძევებისა; და სახელმწიფოს აქვს პალიფიცირებული მოვალეობა შეუშვას ზოგიერთი უცხოელი ზოგიერთ გარემოებაში, განსაკუთრებით თავშესაფრის მაძიებლები. თუ

უცხოელების მიმართ სამართლებრივი სუვერენიტეტის განხორციელება შეზღუდული იყო დასაწყისშივე, მაშინ მასშტაბი, რომლითაც ახლა შემცირებულია სახელმწიფოების სუვერენიტეტი, ნაკლებია განცხადებულზე. მართლაც, ზემოთ მოყვანილი არგუმეტების გათვალისწინებით, მოვლენათა უფრო სრულ ასახვას შეიძლება წარმოადგენდეს ტერმინი „კვალიფიცირებული შეშვების პოლიტიკა”.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. Allain J. 2001. The jus cogens Nature of non-refoulement. International Journal of Refugee Law, 13 (4):533-58.
2. Goodwin-Gill G. 1996. The Refugee in International Law. (2nd ed.). Oxford: Clarendon Press.
3. Holdsworth Sir W. 1938. A History of English Law. Vol. X, Sweet and Maxwell.
4. Joppke C. 1998. Why Liberal States Accept Unwanted Immigration. World Politics 50: 266-93.
5. Lowenfeld, A. 1981. Sovereignty, Jurisdiction and Reasonableness: A reply to A.V. Lowe. American Journal of International Law, 75(3):629-638.
6. Nafziger J. 1983. "The General Admission of Aliens under International Law", American Journal of International Law, 77(4):804-847
7. Plato 1980. The Laws of Plato, trans. T. Pangle, New York: Basic Books.
8. Vattel de E. 1839. The Law of Nations; or, Principles of the Law of Nature, Applied to the Conduct and Affairs of Nations and Sovereigns, eds. by J. Chitty, Philadelphia: T. & J.W. Johnson & Co.
9. Yundt K. 1989. The Organization of American States and Legal Protection to Political Refugees in Central America. International Migration Review, 23(2):201-18.
10. Yundt K. 1989. The Organization of American States and Legal Protection to Political Refugees in Central America. International Migration Review, 23 (2):201-18.

მარიანა პროკოპი  
ნიკოლაი კოპერნიკის უნივერსიტეტი ტორონტი, კოლონეთი

ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმი დემოკრატიასა და  
აპტორიტარიზმს შორის. მირითადი კონცეპტუალური პროგლემები

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ტრანსფორმაციის პროცესმა გამოიწვია ავტორიტარული რეჟიმების დიპერალიზაცია და დემოკრატიზაცია, ამავე დროს, წარმოიქმნა პრობლემა, რადგან პოსტ-საბჭოთა უმეტეს ქვეყნებში ახალი რეჟიმები ცალსახად ვერ აღიქმებოდა როგორც დემოკრატია ან ავტორიტარიზმი. 1996 წელს, ამერიკელი მეცნიერი ლარი დაიმონდი დემოკრატიაციის „მესამე ტალღის“ შესახებ შენიშვნავდა, რომ ამ სიტუაციის მთავარი მიზეზია ქვეყნების ტრანსფორმაცია არა ლიბერალურ დემოკრატიაში, არამედ ე.წ. შუალედურ რეჟიმში, რომელიც არის დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის. (პოლიტიკური ჰიბრიდული რეჟიმის ფენომენი) [1, 21].

კატეგორია „ჰიბრიდული რეჟიმი“, როგორც მიჩნეულია, ნაწილია იმ ევოლუციის, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარეობს, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. „ჰიბრიდული რეჟიმის“ ცნება ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა უნგრელმა სოცილოგმა ელეგერ პანჯისმა, რათა განესაზღვრა უნგრეთის კომუნისტური ხელისუფლების იანოშ კადარის სისტემა [2, 26-35]. ჰიბრიდული რეჟიმის სფეროს მეცნიერ-მკვლევართა შორის გამორჩეულია: გილერმო ო'დონელი [3] ლარი დაიმონდი [4] და ფილიპ შმიტერი [5], მიჩნეულია, მათ პირველებმა სცადეს „ჰიბრიდული რეჟიმის“ და „სამეცნიერო რევოლუციის“ ცნებების ინტერპრეტირება. მკვლევართა შორის, უნდა ასევე დავასახელოთ ლუკან ვეი და სტივენ ლევიცე [6], რომლებმაც შემოიღეს ცნება „კონკურენტული ავტორიტარიზმი“ (competitive authoritarianism),

განმარტებული როგორც პიბრიდული რეჟიმი. „უკრაინელი მკვლევარი მიკოლა რიაბჩუკი [7] იყენებს ცნებას „კონკურენტული ავტორიტარიზმი” (competitive authoritarianism//semi-authoritarian), „ნაცრისფერი ზონა”(grey zone), გენადი შიპუხოვი „პოლიტიკური პიბრიდული რეჟიმი”. [8] ხოლო რეჟისი პოლიტოლოგი დიმიტრი ფურმანი, „იმიტაციური დემოკრატია” [9].

სტატიის მიზანია გაანალიზოს, რამდენად მართებულია ლაპარაკი პიბრიდული რეჟიმის არსებობაზე; რამდენად შეიძლება განვიხილოთ ისინი, როგორც პოლიტიკური რეჟიმების ახალი სახეობა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ფართო ინტერესის პიბრიდული რეჟიმის მიმართ, არსებობს პრობლემა, განმარტებასთან, პიბრიდული რეჟიმების მოდელის შემუშავებასთან, მსოფლიოში არსებული პიბრიდული რეჟიმების კლასიფიკაციის შექმნასთან დაკავშირებით.



როგორც უკვე აღინიშნა, პიბრიდული რეჟიმის მრავალი ცნება არსებობს. მათი უკეთ წარმოდგენისათვის გავაკეთეთ ცნებათა კლასიფიკაცია.

პირველი ჯგუფის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ რეჟიმებს, ახასიათებს ერთის მხრივ, მინიმალური პროცედურული დემოკრატია, მეორეს მხრივ, - სისტემატური დარღვევები, ამიტომ დემოკრატიის ცნებას ზედსართავებით იყენებენ: ნახევრად დემოკრატია, ფასადური დემოკრატია, წარმომადგენლობითი დემოკრატია, და ა.შ. ამ ჯგუფის წარმომადგენლები არიან: გილერმო ოდონელი, ფარიდ ზაქარია, ვოლფგანგ მერკელი, ანდრეას შედლერი, ფილიპ შმიტერი, დიმიტრი ფურმანი.

მეორე ჯგუფის წარმომადგენლები, განიხილავენ ამ სისტემებს როგორც ახალ, დემოკრატიზირებულ ავტორიტარიზმს. მათ შორის, არის ისეთი ცნებები როგორიცაა კონკურენტული ავტორიტარიზმი, ნახევრად-ავტორიტარიზმი. ამ ჯგუფის წარმომადგენლები არიან: ლუკან ვეი, სტივენ ლევიცკი, ფილიპ როედერი, მარინა ოტავეი, მიკოლა რიაბჩუკი.

მესამე ჯგუფის წარმომადგენლები - პარლი ბალზერი, თომას კაროთერსი, ანუეი ანტოშევსკი, რიშარდ ჰერბუტი, ვალდემარ უებროვსკი - უარზე დგანან „დემოკრატიის” და „ავტორიტარიზმის” კატეგორიების გამოყენებას პოლიტიკური სისტემების პიბრიდული რეჟიმის კვლევის კონტექსტში, და იყენებენ ისეთ ცნებებს როგორიცაა „შექმნილი პლურალიზმი” (created pluralism), „დომინანტური ძალების რეჟიმი” (dominant power regimes), „ნაცრისფერი ზონა” (grey zone).

არსებობს მრავალი მიდგომა პიბრიდული რეჟიმების ცნებების თეორიული გააზრებისათვის, ძირითადად, დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის თვალსაზრისით. პიბრიდული რეჟიმის მრავალი განმარტებების გათვალისწინებით, ამ ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ორი პოლონელი მკვლევარის ანუეი ანტოშევსკის და რიშარდ ჰერბუტის მიდგომების გამოკვლევაზე, და ინგლისურენოვანი ცნებების გაანალიზებაზე.

ანტოშევსკის და ჰერბუტის [10], აზრით, დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის მდებარე ქვეყნების მთავარია მიზეზია მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური კულტურა, და შენიშნავენ, რომ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გარდა, ქვეყნის პოლიტიკური განვი-

თარების შეჩერება თამაშობს მნიშვნელოვან როლს (რაც გულისხმობს პარტიული სისტემის რეალურ სოციალურ გაყოფას და სამოქალაქო საზოგადოების არარსებობას). ეკონომიკური არაეფექტურობის და პოლიტიკური განვითარების შეჩერების მაჩვენებლები აღებულია ო'დონელის კონცეფციიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყნის ადგილი დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის, დამოკიდებულია დრმა სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისზე, რომელიც ავტორიტარული რეჟიმიდან გადასვლის შედეგია [3]. ამ შემთხვევაში, სტაბილური პოლიტიკური გარემო დაკავშირებულია ეკონომიკურ სტაბილურობასთან, ამიტომაც არასტაბილურ დემოკრატიის ქვეყნებში, საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესება არის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი, საპრეზიდენტო კანდიდატების და პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.

თომას კაროთერსის აზრით, “ნაცრისფერი ზონა” შეიძლება გახდეს შედეგი არასაკმარისი პოლიტიკური პლურალიზმის (ფეკლეს პლურალისმ), გარკვეული პოლიტიკური ძალის დომინირების (დომინანტ პოტერ პოლიტიცები). პლურალიზმის არასაკმარისობის პირობებში, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს პოლიტიკური თავისუფლების გარკვეული დონე, ადგილი აქვს მორიგ არჩევნებს, ხელისუფლების ხელში მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების, და საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში შემოიფარგლება მხოლოდ არჩევნებში ხმის მიცემით, პოლიტიკური პარტიები კი, რომლებიც ხელისუფლებისთვის იძრმვიან, კორუმპირებულნი და რიგითი მოქალაქეებისათვის მიუწვდომელნი არიან. რეჟიმებში სადაც მმართველი ძალა დომინირებს, ყველა დემოკრატიული სტანდარტის მიუხედავად, პოლიტიკური ელიტის ცვლილება არ ხდება, რაც თავის მხრივ მმართველი პარტიისა (ლიდერი) და სახელმწიფოს შორის საზღვრებს შლის [11].

თ. კაროთერსის მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის მდებარე ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია პარტიული სისტემების მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნობა. როდესაც პლურალიზმის პრინციპი არ მუშაობს, ხელისუფლების შეცვლა და არჩევნები მხოლოდ ფორმალობა ხდება, მმართველი ელიტა არ არის დაკომპლექტებული განსხვავებული ხედვების პოლიტიკური პარტიებით, და საზოგადოება ხდება გულგრილი და არა დაინტერესებული ქვეყნის პოლიტიკურ რეალობით. არსებული დემოკრატიული პრინციპი არადემოკრატიულ საშუალებას შეიცავს, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ერთ რეჟიმიდან მეორეში გადასვლას იწვევს, ამავე დროს, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას ორივე პოლიტიკური რეჟიმის ნიშან-თვისებები აქვს, რომელიც შეგვიძლია განვითაროთ, როგორც პიბრიდული რეჟიმი [11].

ამ პიბრიდული სისტემების ყველაზე მნიშვნელოვან ნიშან-თვისებებად, ანტოშევსკი და ჰერბერტი მიიჩნევენ ძალაუფლების კონცენტრაციას სახელმწიფო მეთაურის ხელში, რომელსაც კონკურენტული არჩევნების გზით ირჩევენ. მსგავსი დასკვნები გამოაქვს ო'დონელს, რომელიც თვლის, რომ ამ რეჟიმს ახასიათებს დაბალი ინსტიტუციონალიზაციის ძალა, რადგან არჩევნებში გამარჯვება, გამარჯვებულს აძლევს მართვის უფლებას საკუთარი შეხედულებებისამებრ. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია ო'დონელ დემოკრატიის კლასიფიცირებაში: ელექტორალური დემოკრატია და ფსევდო (კვაზი-დემოკრატია). პირველს ახასიათებს ციკლური და სამართლიანი არჩევნები და მოქალაქეების უფლებების მინიმალური დაცვა. ფსევდო დემოკრატია ახლოს დგას ელექტორალურ დემოკრატიასთან პლურალიზმის თვალსაზრისით, პარტიული სისტემის კონკურენტუნარიანობით და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვით, მაგრამ ხორციელდება „პარტიული ძალაუფლების“ დომინირება, რაც რეალურად აკნინებს პოლიტიკური საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობას, ბლოკირებას ახდენს ოპოზიციური ძალების ჩამოყალიბებას და მათ საქმიანობას და არღვევს ადამიანთა უფლებებს. ო'დონელის მიერ წარმოდგენილია დემოკრატიასთან ახლოსმდგებარე პოლიტიკური რეჟიმების აღწერა, რომელთაც ერთის მხრივ, ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკმარისი სტაბილურობა და დემოკრატიული ტრადიციების კონსოლიდაცია. მათ ესაჭიროებათ დრო, გარკვეული დემოკრატიული სტანდარტების კონსოლიდაციისათვის, მეორეს მხრივ, არ არსებობს იმის გარანტია, რომ არ მოხდება ევოლუცია არადემოკრატიული რეჟიმების მიმართულებით [3, 9].

ანტოშევსკი და ჰერბერტი, დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის მდებარე ქვეყნებთა რიცხვს მიაგუთვნებენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს (მექსიკა 1997 წლამდე, ნიგერია 1999 წლამდე, უგანდა, ვენესუელა, პერუ და ინდონეზია) და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს

(უკრაინა, რუსეთი, ალბანეთი, ხორვატია). თავის პუბლიკაციებში ზემოთხსენებული ავტორები განიხილავენ პიბრიდულ რეჟიმებს რუსეთსა და უკრაინაში. მათი თქმით, ამ რეჟიმებს ახასიათებს პრეზიდენტის დომინირება პოლიტიკურ სისტემაში, სამოქალაქო თავისუფლებების და უფლებების დარღვევა, სასამართლო სისტემის დამოკიდებულება ადმინისტრირების რესურსზე და არჩევნების გაყალბება. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ქვეყნებში, დემოკრატიის ყველაზე კარგი მაჩვენებლები მხოლოდ არჩევნებია (საპრეზიდენტო და საპარლამენტო). მკლევარები ხშირად საუბრობენ “Freedom House”- ის მოხსენებაზე, რომ 2004 წელს, უკრაინაში იყო ელექტორალური დემოკრატია, ხოლო რუსეთში ელექტორალური ავტორიტარიზმი [11].

#### ბაზობებებული ლიტერატურა

1. Diamond L. July 1996. Is the Third Wave Over? *Journal of Democracy*. Vol. 7, N 3.
2. Hankiss E. 1988. The “Second Society”. Is There an Alternative Social Model Emerging in Contemporary Hungary? *Social Research* 55:1/2.
3. O'Donnell G. 1996. Delegative Democracy. *Journal of Democracy*. 5 (1).
4. Diamond L. 1999. Development Democracy: Toward Consolidation. Baltimor.  
Diamond L. April 2002. Election without Democracy: Thinking about Hybrid Regimes. *Journal of Democracy*, 13.
5. Schmitter P. C., Karl T. L. 1991. What Democracy Is... and Is Not. *Journal of Democracy*, 2, N 3.
6. Way L.A., Levitski S. 2010. Competitive Authoritarianism, Hybrid Regimes after the Cold War. New York.
7. Riabchuk M. 2009. Agony of a “Blackmail State”: Rise and (Possible) Fall of the Post-Soviet Semi-Authoritarian Regimes. A. N. Lushyckij, M. Riabchuk (Hrsg.): Ukraine on its Meandering path between East and West. Frankfurt am Main.
8. Шипунов Г. 2008. Тероетико-методологічні засади аналізу політичних режимів: український контекст. Наукові записки, серія політичні науки 3, Демократичний транзит на Україні підсумки електорального циклу 2004-2007рр. Острог.
9. Фурман Д. 2010. Движение по спирали. Политическая система России в ряду других систем. Москва.
10. Antoszewski A., Herbut R. 2001. Systemy polityczne współczesnego świata. Warszawa. Antoszewski A., Herbut R. 2006. Systemy polityczne współczesnej Europy. Warszawa.
11. [Электронный ресурс] - режим доступа  
- <https://freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2004>

ორზო კორინთელი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

პომპლექსებისა და სულიერებაზე ორიენტირებული  
ცსიქოთერაპიის შესახებ

ფსიქოანალიტიკოსების უმრავლესობა ფროიდის ჩათვლით თანხმდება იმაში რომ კომპლექსის ტერმინის დამკვიდრებას ციურისის ფსიქოანალიტიკურ სკოლას (ე. ბლეილერი, პ. გ. იუნგი) უნდა ვუმადლოდეთ. გთავაზობს კომპლექსის იუნგისეულ განმარტებას: კომპლექსი არის აფექტურად დამუხტული წარმოდგენების ერთობლიობა - (Gefuhlsbetonter Vorstellungs Komplex). ეს არის ძლიერი აფექტური ძალის მქონე იდეების და მოგონებების ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად არაცნობიერია. ისინი ყალიბდება ბავშვობაში, ინტერპერსონალური ურთიერთობის საფუძველზე და ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკის ყველა ღონისუჟე: ემოციებზე, აზრებზე, განწყობასა და ქცევაზე [6]; კომპლექსების აღმოსაჩენად იუნგმა შექმნა ასოციაციური ექსპერიმენტი. ასოციაციური ტესტით იუნგმა კომპლექსების არსებობა ემპირიულად დაასაბუთა და ამით სიღრმის ფსიქოლოგიას და ფსიქოსომატიკას ექსპერიმენტული საფუძველი ჩაუყარა.

კომპლექსის გამოვლინებებია: 1. წაცდენები / შეცდომები; 2. საკუთარ თავზე არასწორი წარმოდგენა და საგნებისა და მოვლენების გაუკუდმართებული, მცდარი ხედვა; 3. პიროვნებაზე ზემოქმედების უნარი - ის გვფლობს ჩვენ და არა ჩვენ გვლობთ მას; 4. ემოციური ძალა - კომპლექსს ახასიათებს ძლიერი ემოციური მუხტი.

კომპლექსი შეიძლება  
იყოს ცნობიერი, არაცნობიერში განდევნილი (ერთ დროს იყო ცნობიერში და მერე განიდევნა იქიდან) და არაცნობიერი.

ჩ. ბოდუინი [1] განასხვავებს კომპლექსების 3 ჯგუფს: 1.ობიექტ კომპლექსებს, რომლებიც ხასიათდება გარეგანი ობიექტების ფლობის სურვილით; 2. ეგო კომპლექსებს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მე-სთან, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებასთან. 3. ქცევითი კომპლექსებს, რომლებშიც იგულისხმება ცხოვრებისეული პროცესებზე ინდივიდის რეაგირების ტიპი, მათთან გამკლავების ჩამოყალიბებული ფორმები; სიღრმის ფსიქოლოგი-

ის განვითარების პროცესში გამოიკვეთა კომპლექსის ტიპები. ჩამოვთლით ზოგიერთ მათგანს:

1. კაენის კომპლექსი გულისხმობს ბავშვის დამოკიდებულებას ახალშობილი ძმის მიმართ. ამ დროს ბავშვი შიშობს, რომ და-ძმის დაბადებით ის ჩამოგდებული იქნება იმ პრივილიგირებული ტახტიდან, რომელზედაც მისი მშობლების განსაკუთრებულმა სიყვარულმა აიყვანა. ის ჩანაცვლებული იქნება ახალშობილით, რითიც იგი დაკარგავს ყურადღებასა და სითბოს დედის მხრიდან. ამ შიშზე ბავშვი რეაგირებს ინტენსიური სიძულვილით და-ძმის მიმართ და მას მათი გაქრობის სურვილი ებადება. ეს კომპლექსი წარმოშობს და-ძმას და ძმებს შორის პაექრობას, შერის გრძნობას და და-ძმაზე გამარჯვებისა და მათი უკან მოტოვების სურვილს.

2. თიდიპოს კომპლექსი სიყვარულის გრძნობა დედის მიმართ და სიძულვილი მამის მიმართ, მისი გაქრობის სურვილი. ხშირად ეს კომპლექსი სრულად წარმართავს ბავშვის ქცევას 5 წლამდე. პაექრობის, მეტოქეობისა და სიძულვილის ეს გრძნობები მოგვიანებით მოზრდილ ცხოვრებაში გადაინაცლებს იმ ადამიანებზე, ვინც მამის პოზიციას იკავებს, მაგ.: მასწავლებელი, უფროსი ან ხელმძღვანელი; იგი ქმნის მეამბოხე რევოლუციონერს, რომელიც ყოველთვის უპირისპირდება ავტორიტეტებსა და ხელისუფლებას; ქალებში ელექტრას კომპლექსი მამისადმი სიყვარულით და დედისადმი სიძულვილით ვლინდება.

3. ისტერიული კომპლექსი გულისხმობს ინფანტილურ ცნობისმოყვარეობას, რაც ვლინდება უერების, ცქერის, დანახვის, ცოდნის შეძენის ინსტიქტსა და მის ანტიოზაში, დამალვის და გამოჩენის ინსტიქტებში, საკუთარი თავის წარმოჩენისადმი ლტოლვაში. ბავშვს ყველაფრის

ცოდნა და გაგება სურს და ამ სურვილს განსაკუთრებული დაბრკოლება ხვდება სქესობრივ საკითხთან დაკავშირებით. ეს დაბრკოლება მოქმედებს სხვადასხვანირად ბავშვის ფსიქიაზე. ის იწვევს ბავშვში დამალვის სურვილს და ამასთან დაკავშირებულ ტყუილებისადმი მიღრეკილებას. ამ კომპლექსის ზეგავლენის შედეგად ბავშვს დემონსტრაციისაკენ ძლიერი ტენდენცია უვითარდება. ისტერიული კომპლექსის კომპონენტებია: კალუცობა, ცქერისა და ყურებისგან სიამოვნების მიღება, სიამოვების მისგან როცა გიყურებენ; ამ დროს ყველა ამ სიამოვნებას სექსულური ელფერი დაკრაგს. ამ სურვილების სუბლიმირებული ფორმით გამოვლინება ხდება თეატრალური წარმოდგენისა და საჯარო გამოსვლების დროს. ამ ტენდეციების სუბლიმერებას მივყევართ ერთის მხრივ მეცნიერის და მეცნიერის სულკისკვეთუბამდე და მეორე მხრივ ორატორის კინოვარსკლავის და სპორტსმენისკენ.

4.

დესტრუქციის კომპლექსი გულისხმობს დესტრუქციულ ინსტინქტს და ვლინდება ნგრევის იმპულსებში. ბავშვის ორალური კანიბალისტური ტენდენცია მიმართულია საკვების დაშლისკენ. როდესაც ორალური ფაზა ჩაივლის, დესტრუქციული კანიბალიზმი გრძელდება, ოღონდ მიმართულია არა საკვებზე არამედ გადაინაცვლებს სხვაზე. ამ ეტაპზე საღიზმი მაზოხის განვითარებას მიუვნებით, ამჟამად ტენდენცია აუტოაგრესით. სუბლიმირებული ფორმით ის წარმოშობს ქირურგებს გამოჩენილ გენერლებს, ხოლო მაზოხისტური ფაზით ქმნის „ნევროზულ ასკეტიზმს“.

5. დაზიანების, კასტრაციის კომპლექსი. როგორც კი ბავშვი ანატომიურ სქესობრივ განსხვავებას აღმოაჩენს, იმ დასკვნამდე მიღის, რომ ქალი არ არის სრულყოფილი და პგონია, რომ ქალი კასტრირებულია. ის უშვებს იმ შესაძლებლობას, რომ მასაც ამას გაუკეთებენ. მას ეს აშინებს. ეს ზიში აყალიბებს კასტრაციის კომპლექსს. გოგოც განიცდის საკუთარ „არასრულფასოვნებას“. ამ დროს ბიჭი ამაყობს თავისი სქესით და ამ უპირატესობის დაკარგვის ეშინია, ხოლო გოგო აცნობიერებს თავის არასრულფასოვნებას და კაცად გახდომის სურვილი უჩნდება და ცდილობს ან აჯობოს მამაკაცებს ან კიდევ არაცნობიერად იგივედება მათთან. ამას დიანას ან ამორძალის კომპლექსს ეძახიან. ამ კომპლექსის სუბლიმირებას მივყევართ ბიჭებში, ლიდერად ქცევის გზით, თავისი უპირატესობის აღიარებისა და შენარჩუნებისაკენ, ხოლო - გოგონაში ისეთი ტიპის ქალამდე, რომელიც სულ ეჯიბრება კაცებს, იქნება ეს სპორტი, ბიზნესი, პოლიტიკა თუ ხელოვნება.

6. დაბადების კომპლექსს ქმნის მშობიარობის ტრავმა. მშობიარობის პროცესში ბავშვის მიერ განცდილი შფოთვა და ტკივილი ყველა მომავალი შფოთვისა და ტკივილის ბაზისურ მოდელს ქმნის. ეს კომპლექსი აგრეთვე ინფანტილური ცნობისმოვარეობის ფორმას წარმოადგენს. ადრე თუ გვიან ბავშვი ინტერესდება ბავშვების დაბადების საკითხით და მალე რამდენიმე თეორიას ავითარებს. ამ თეორიებს დიდი ზეგავლენა აქვთ მის ქცევაზე. ის ფიქრობს რომ ბავშვები ჩნდებიან დიგესტიური აპარატიდან - პირიდან, მუცლიდან და სხვა. დაბადების კომპლექსი პროტექციის, დედის წილში დაბრუნების და იქ განსვენების სურვილში ვლინდება და იდვიძებს მაშინ, როცა ადამიანი ცხოვრებისეულ სიძნელეებს უპირისპირდება.

7. დედისგან განშორების კომპლექსი. დაბადების შემდგომ ბავშვისთვის ყველაზე დიდ ტრავმას დედისგან, მისი ძუძუსგან განშორება წარმოადგენს. ფსიქიურ ფენომენთა ერთობლიობა, რომელიც ჯგუფდება და ერთიანდება დედისგან განშორების გარშემო ქმნის დედისგან განშორების კომპლექსს. ამ კომპლექსის აქტივაცია შესაძლებელია მოხდეს იმ სიტუაციებში, რომელიც ამ განშორებას მოაგონებს ადამიანს. მაგ. საბავშვო ბალში და სკოლაში წასვლა, ოჯახთან განშორება და დაქორწინება. ბავშვს, რომელშიც დომინირებს ეს კომპლექსი, უნარი არ შესწევს ადვილად შეეგუროს ახალ ვითარებებს და ახალ ცხოვრებისეულ სტილს. ეს კომპლექსი იწვევს გადაჭარბებულ ჭამას, გაუმაძღვრობას, სიხარუეს და თუ ამან შემდგომში გადინაცვლა მენტალურ სფეროში იწვევს უკიდურესს ამბიციებს, უპასუხისგებლობას და ცხოვრების მოთხოვნებისგან თავის არიდების სურვილს.

8. გაქცევის განრიდების კომპლექსი ვლინდება იმ შემთხვევაში როდესაც ბავშვი და შემდგომში ზრდასსრული აღმოჩნდება ახალი გარემოებების წინაშე, რომლებიც მან უნდა

გადალახოს და გადავიდეს ერთი საფეხურიდან მეორეზე. ამ დროს ის ახლის მიმართ შიშის განიცდის და მას ეუფლება გაქცევის რეაქცია. იმპულსმა შესაძლებელია წარმოშოს ნოსტრალგია წარსულისადმი, ხოლო ამ ნოსტრალგიას რეგრესისკენ მიყვავართ. ბავშვი თავის ასაკთან შედარებით უფრო ინფანტილური ხდება. მისი ინტერესი შიგნით წარიმართება და ბავშვი საკუთარ თავზე ცენტრირებული ხდება, თვითშეევარებულ სიმარტოვეში ექცევა და ხშირად ნარცისიზმი ეუფლება. ამ ფენომენს ხშირად ვხდებით მოზარდებთან.

9.

არასრულფასოვნების კომპლექს ქმნის შემდეგი ფაქტორები:

ა) ორგანოთა დეფექტი იგულისხმება ბავშვის სხეულის რომელიმე ნაწილის ან ორგანოს თანდაყოლილი ან შეძენილი დეფექტი (კიდურის ან თვალის არ ქონა, ხილული სტრუქტურული დეფექტი, კოჭლობა, გულის დაავადება და სხვ.). ამგვარი დეფექტის მქონე ბავშვს გააჩნია არასრულფასოვნების მწვავე განცდა არამარტო დიდების, არამედ მისი თანატოლების წინაშეც.

ბ) აღზრდა. აქ აღინიშნება ორი უკიდურესობა: მეტისმეტი სიმკაცრე და სიზარმაცის წამქეზებელი განებივრება. ბავშვი აღზრდის ამ ფორმებს ორნაირ შედეგებამდე მივყავართ: 1., „სამაგალითო“ ბავშვი, რომლის ქცევაში წამყვანია კონფორმიზმი და უსიტყვო მორჩილება ასეთ ბავშვი მოზრდილ ასაკში უინიციატივო ხდება და უჭირს ცხოვრებისეულ სიმნელეებთან ბრძოლა და მათი გადალახვა; 2. მეამბოხე, დაუმორჩილებელი ბავშვი, რომელ შიც მკვეთრადადა გამოხატული ამბიცია, სიჯიუტე და გადაჭარბებული მგრძნობელობა მარცხისადმი. ასეთი ბავშვები მოზრდილ ასაკშიც მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში აღენიშნებათ გადაჭარბებული არასრულფასოვნების განცდა. 3. განებივრებას ყოვლისშემძლეობის გრძნობამდე მივყევართ ასეთი ადამიანები მკაცრ ცხოვრებისეულ რეალობასთან შეხებისას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მათ სურვილებსა და მოლოდინებს, დეპრესიისკენ არის მიღრეკილები.

გ) ოჯახური კონსტელაცია მასში იგულისხმება ბავშვის ადგილის, როლის და სტატუსის თავისებურება (ობილი, ერთადერთი ბავში, უმცროსი, ოჯახის მამაკაცების გარემოცვაში გაზრდილი, ერთადერთი გოგონა და პირიქით და არასასურველი ბავშვი) და მისი ზეგავლენა ბავშვისა და მოზრდისლის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

დ) ქესობრივი განსხვავება დიდ როლს თამაშობს არასრულფასოვნების კომპლექსის გაძლიერებაში. შეებულად ან შეუგნებლად პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი ნაკლებად ფასობს. სქესობრივი განსხვავების სპეციფიური დატვირთვა  
(მამკაცურიძლიერი= ფასეული=მაღალი, ქალური =სუსტი= ნაკლებადფასეული=დაბალი) წარმოშობს მამაკაცში ტენდენციას რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს თავისი უპირატესი პოზიცია, რასაც ყოველთვის თან ახლავს მამაკაცური პოზიციის დაკარგვის შიში, ხოლო ქალებში აღძრავს იმპოტენტურ შურს და მასკულინურ პროტესტს. ამ უკანასკნელ ში იგულისხმება ქალის გაქცევა ქალურობისაკენ და მისი მისწრაფება გაუტოლდეს მამაკაცის მამაკაცურ როლებს, რაც ვლინდება მამაკაცთან განუწყვეტელი შეჯიბრითა და პაექრობით. კომპლექსები განცალკებულად კი არ მოქმედებენ, არამედ ქმნიან ერთმანეთთან დაკავშირებულ მოლიან ენერგეტიკულ ქსელს.

ფსიქოანალიზის განსხვავებული სკოლები აგრეთვე განასხვავებენ დედის, მამის, გმირის, ფულის, ფარისევლის, მეზვერეს, განტევების ვაცის, ესავის, იუდას, უძლები შვილის და სხვ კომპლექსებს.

ჩვენში კომპლექსის გამოსაცნობად საჭიროა დავაკვირდეთ ჩვენ ემოციებს და გავარკვიოთ:

1. თუ რა იწვევს ჩვენში ძლიერ ემოციებს;
2. როდის ვაკონტროლებო ზედმეტად სხვა ადამიანებს;
3. რა პირობებში გადავდივართ თავდაცვით პოზიციაში და უსაფუძვლოდ ვიცავთ თავს;
4. რომელ იდეას ვაქცევთ რიგიდულ დოგმად;
5. ვის და რის მიმართ ვართ ფანატიკურად განწყობილი;
6. როდის ვართ ზედმეტად ჯიუტი და ბრმად შეუვალი;
7. ვინ გვიყვარს და ვინ გვძულს და რომელი თვისებების გამო;

8. როდის გხდებით შეუსაბამო და არაადექვატურები;
9. რის მიმართ ვავლენთ მოუთმენლობას და დაუფიქრებლობას და ვიქცევით ნაჩქარე ვად; 10 როდის ვართ ზედმეტად თავდაჯერებულები და არ უსმენთ სხვის აზრს; 11. რის მიმართ ვავლენთ ეიფორიას და როდის გხდებით უკიდურესად რომანტიკულები;
12. რომელი ცხოვრების ულები პრობლემა გვანგრევს;
13. როდის გხდებით აგრესიულები;
14. რა გვაიძულებს მოვიქცეთ ირაციონალურად მაგ. ფულის უაზრო ფლანგვა, თავისთავთან ლაპარაკი. კომპლექსი არღვევს ჩვენს ინტერპერსონალურ ურთიერთობას, აუკულმართებს მოვლენების და საკუთარი თავის ხედვას და ხელს გვიშლის მიზნის მიღწევაში.

კომპლექსის უვნებელსაყოფათ უნდა: 1. გავაცნობიეროთ კომპლექსი, ანუ მოვახდინოთ მისი იდენტიფიცირება, რაც ხელსუწყისის მის ინტეგრაციას, ანუ დაუფლებას, ხოლო, საბოლოო ჯამში, პიროვნების ზრდას; 2. მისი უკუპროეცირება მოვახდინოთ ანუ ის უნდა დავაბრუნოთ ჩვენ ცნობიერებაში; 3. თვითშემცნების და სრულქმნის მიზნით, განვთავისუფლდეთ მათგან; 4. გავაცნობიეროთ თუ რა მიზნებს ემსახურება კომპლექსი; 5. ცნობიერი ძალისხმებით და ემოციური სტრესის გამოყენებით მოვახდინოთ მისი ტრანსფორმირება; და 6. გავაფართოვოთ ჩვენი პიროვნება კომპლექსების ინტეგრაციის გზით.

ამ მიზნების მისაღწევად გამოიყენება განსხვავებული მიმართულების ფსიქოთერაპია. ფსიქოთერაპიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი უურადღება ეთმობა პიროვნების სულიერ განზომილებასა და პიროვნების ზრდაზე მიმართულ მიღვომებს. ამის დამადასტურებელ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ფსიქიკურ დაავადგებათა ახალი კლასიფიკაცია, რომელიც გლობალიზაციით გამოწვეული ფსიქიკური ხარვეზების აღმოფხვრაზეა მიმართული და რომელიც მზადდება მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ და პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრიის სახელწოდებით იქნება ცნობილი.

- პიროვნებაზე მიმართული ფსიქიატრია შემდეგ პრინციპებს ეფუძვნება [9]:
1. იგი მიმართულია პაციენტის მთელ პიროვნებაზე მის როგორც ავადმყოფურ ასევე ჯანსაღ ნაწილზე და არამარტო მის ავადმყოფურ ნაწილზე;
  2. მკურნალობის პროცესში ჩართული უნდა იყოს ფსიქიატრის პიროვნება მთელი მისი ადამიანური რესურსებითა და პოტენციალით და არამარტო მისი ის ნაწილი რომელიც აბსტრაქტულ-განყენებული, საჭირო ინფორმაციით აღჭურვილ ტექნიკოსთან ასოცირდება.
  3. მკურნალობის პროცესი პიროვნებაზე უნდა იყოს მიმართული რაც გულისხმობის იმას, რომ მკურნალობამ ხელი უნდა შეუწყოს პაციენტის თვითრეალიზაციას;
  4. მკურნალობა პაციენტის პიროვნებასთან ერთად, სამკურნალო პროცესში მისი აქტიური ჩართვით უნდა ხორციელდებოდეს. რაც გულისხმობის მკურნალობის პროცესში პაციენტთან პატივისცემით აღსავს თანამშრომლობას და მის დახმარებას.

**J. Hiatt** მიხედვით [2] სულიერი განზომილება შემდეგი პრინციპებით ხასიათდება:

1. იგი განეცუთვნება პიროვნების იმ ინსტანციას, რომელიც საზრისისა და მნიშვნელობის, ჭეშმარიტების, საგნებისა და მოვლენების არსის წვდომითაა დაკავებული, ანუ აქვს ნოეტური ფუნქცია;

2. ეს საზრისი და მნიშვნელობა უხილავი, არაცნობიერი სფეროდან მომდინარეობს და ფსიქოთერაპია ამ უხილავი საზრისის წვდომასა და გაცნობიერებაზეა მიმართული, ანუ აქვს პერმენენტული ფული ხასიათი;

3. ეს სულიერი განზომილება ძირითადად განცდაში გვეძლევა და მას უფრო ინტეიციური, ვიდრე ცნებით-ლოგიკური, ხასიათი აქვს;
4. ის სტატიკურობას მოკლებული დინამიკური პროცესია და წარმოადგენს უფრო უწყვეტ ნაკადს, ვიდრე სტრუქტურას;

5.

ეს ნაკადი ეფოლუციურია, ანუ მიისწრაფის სრულყოფისაკენ ანუ ტელეოლოგიური ხასიათი

აქვს;

6. სულიერი განხომილება ვლინდება პიროვნების სპეციფიკურ ქცევასა და კონცეპტუალურ სისტემებში. თუ მათ სპეციფიკურ შინაარსზე დიდ წილად მოქმედებს ადრინდელი, უპვე განცდილი გამოცდილება, მაშინ ისინი კარგავენ ცოცხალ კავშირს და ვეღარ ასახავენ სულიერ რეალობას. ისინი უნივერსალური პროცესის ობიექტურ მანიფესტაციას წარმოადგენენ და სულიერი ზრდის საშუალებად შეიძლება იქცენ. მაგრამ აქ არის ერთი საშიშროება, კერძოდ, ის, რომ მათი დოგმატიზაციის შემთხვევაში, ეს ობიექტივირებული ფსიქოლოგიური განცდები სულიერი ზრდის არა მხოლოდ საშუალებად აღიქმება, არამედ ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანციის სახეს დებულობს. მეორე საშიშროება მათ სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებთან აღრევაში მდგომარეობს, რასაც მათი გაქრობა მოყვება;

7.

პიროვნების სულიერ ასპექტს ინდივიდზე ზემოქმედების მაინტეგრირებელი სინთეზური ფუნქცია აქვს. ის აერთიანებს პიროვნების განცალკევებულ ნაწილებსა და თავს უყრის განცდათა ფრაგმენტებს და მათ ერთ მთელში აქცევს. იგი, აგრეთვე, აღიქმება როგორც პიროვნების სრულყოფისა და სამყაროსთან მისი პარმონიული ურთიერთობისაკენ მიმართული მამოძრავებელი ძალა. საზრისისა და მნიშვნელობის მასაზრდოებელი გამთლიანების ეს უნარი იზიდავს ადამიანს და პიროვნებაც მისკენ მიისწრავის. ამას აღწერს ერიკ ერიქსონი „მე მთლიანობის“ Ego integrity ცნებაში (E. Ericson 1959) და მას კ. გ. იუნგის ცენტრისკენვერსიის ცნება შეესაბამება [5]. სულიერი განხომილების ფენომენლოგიური გამოვლენა ხდება ამ სფეროსთან უშულო შეხება-შეხვედრის დროს, რომელიც არის სანმოკლე და მოულოდნელი და ხშირად გამოუცნობი რჩება. იგი გარკვეული წვრთვნის (მედიტაცია ლოცვა) შედეგად მიიღწევა, ან შეიძლება მძაფრ ემოციურად და მუხტულ და ეგზისტენციალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში (სიკვდილის საშიშროება) გამოვლინდეს. ისინი ჩნდებიან როცა ცნობიერების განსხვავებული, შეცვლილი მდგომარეობებისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. მათთვის დამახასიათებელია დროისა და სივრცის გაფართოების ან გაქრობის განცდა; აგრეთვე ძლიერი პათოსი სიხარული ანდა ლრმა სიმშვიდის გრძნობა. ეს უფრო არსებობისა და ყოფნის უშალო განცდაა ვიდრე არსებობის შესახებ აზროვნების აქტი. ამგვარი განცდები ძნელად აღსაწერია რადგან სიტყვები თავისი დიფერენცირებული დისკურსიული დანაწილებული ბუნების გამო წინაარმდეგობაში შედის ამ განცდების დაუნაწევრებელ ბუნაბასთან.

ა. მასლოუ აღწერს ე. წ. პიკურ განცდებს [8]. ამ განცდისას ადგილი აქვს დაუნტერესებელ ჰვრებას (**Being Cognition**), რომლის დროსაც ჩვენ საგნებსა და ადამიანებს უანგაროთ, ყოველგვარი პირადი დაინტერესების გარეშე ვუყურებთ. ამ დროს პიროვნებას უკიდურესი ბედნიერების განცდა ეუფლება. ამ განცდებს ადგილი შეიძლება პარნედეს რელიგიურ-მისტიკური, ან ესოეტიკური განცდების, შემოქმედებითი აღმაფრენისა და ინტელექტუალური ინსაიტების და სხვ. დროს. პიკურ განცდებს ხშირად თან ახლავს საკუთარი მეს საზღვრების დაკარგვა. ყველა ეგზალტირებული განცდა როდი მიეკუთვნება პიკურ განცდას. მაგ. სპორტმენის სიხარული დიდი გამარჯვების გამო არ წარმოადგენს პიკურ განცდას, რადგანაც ის აღიარების მოთხოვნილების დაკმაყოფილებით არის გამოწვეული. პიკური განცდისას აღქმული ობიექტი განიცდება, როგორც უნიკალური და დასრულებული. პიკური განცდა ერთიანობის ტიპიურ განცდას წარმოადგენს, რომლის დროსაც ჩვენ საკუთარ თავს ერთი მთლიანის ცალკეული ასპექტად აღვიქვავთ იმ მთლიანის, რომლის ცალკეული ნაწილები პარმონიულ ურთიერთეკავშირშია ერთიანობის ამ მდგომარეობაში ყველა აშკარა დიქტომია გადაღაბულია და შერიგებულ თანხმობაში იმყოფება. უ. ჯეიმს [3] რომ დავესესხორთ ამ დროს სამყაროში არსებული ყველა დაპირისპირება, წინააღმდეგობა და კონფლიქტი, რომელიც ყველა ჩვენი უბედურების მიზეზია თითქოს ერთ გამთლიანებულ რეალობაში ქრება.

სულიერი განხომილების მქონე ადამიანის შესახებ ახალი მოდელის და რედუქციონისტური სამედიცინო მოდელის შეთანხმება, მათი თანაარასებობა გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. დასავლური მეცნიერული მიდგომა იმ პოსტულატს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც ობიექტური დაკვირვება შესაძლებელია და განსხვავება დამკვირვებელსა და დაკვირვების ობიექტს შორის აშკარაა. ეს მიდგომა სამყაროს, აბსოლუტურ დროსა და სივრცეში მექანიკური

კანონებით მოქმედ მანქანად აღიქვავს, რომელშიც ნაწილაკები ერთმანეთისგან ცარიელი სივრცითაა განცალკევებული. კვანტური ფიზიკა და ფარდობითობის თეორია აბათილებს ამ პოსტულარებს, სუბატომურ და ვარსკლავთაშორის დონეზე დრო და სივრცე აბსოლუტური, ხოლო მიზეზ შედეგობრივი კავშირი ლინეარული აღარაა, ელემენტარულ ნაწილაკების ნაცვლად ადგილი აქვს პროცესებს, ხოლო მატერია ენერგიას წარმოადგენს. სამყარო წარმოადგენს უწყვეტი ენერგიის მოძრავ ველს, რომელშიც მატერია, ამ ენერგიის კონდენსაციის გზით, განუწყვეტლივ იქმნება, ტრანსფორმირდება და შემდგომში ქრება. ამ სამყაროში ნაწილები ურთიერთდაკავშირებულია, სადაც დამკვირვებელი, სუბიექტი განუყოფელია დაკვირვების ობიექტისგან. აქვთან გამომდინარე დამკვირვებელი მოქმედებს საკვლევ ტემპერატურაზე.

თანამედროვე მეცნიერული პიპოთეზის მიხედვით, სამყარო ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ამიტომ ნებისმიერი თეორია ფიზიკური სამყაროს შესახებ ცნობიერების თეორიასაც უნდა ითვალისწინებდეს. სიღრმის ფსიქოლოგიაში არაცნობიერი წარმოადგენს გონების და ფსიქიკის იმ ნაწილს, რომელზეც ევალიდური სივრცე, ლინეარული დრო და კაუზალობა, სუბიექტი ობიექტის განსხვავება არ ვრცელდება და რომელშიც ადგილი აქვს ობიექტთა იდენტურობისა და ურთიერთცვლილების განუწყვეტელ ნაკადს. კვანტურ-ფარდობითობის, ფსიქოდინამიკური და სულიერ მოდელების თანხვედრა მიგვითოთებს იმაზე, რომ ფენომენალურ სამყაროს საფუძვლად უდევს ენერგიის დინამიკური ველი. აღმოსავლური და დასავლური ანტიკური სულიერი ტრადიციები იზიარებდნენ ამ თვალთახედვას და თვლიდნენ, რომ ხილული სამყაროს საფუძვლელში დინამიკური ენერგიაა. მექანიკური სამყარო არის სასარგებლო მენტალური კონსრუქცია, რომელიც ადამიანის ეგო-ცნობიერების ბუნებას ასახავს, მაშინ როდესაც დინამიკური მოდელი არის არაცნობიერის პროდუქტი, რომელიც რეალობის განსხვავებული დონეების აღმქმედად და თარჯიმნად გვევლინება.

სულიერებაზე ორიენტირებული ფსიქოთერაპია შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

1. ყოველ ჩვენთაგანს სულიერი მომწიფების, თვითრეალიზაციის [7], ინდივიდუაციის [6] უნარი აქვს;
2. სულიერი სიმწიფე და ზრდასრულობა გულისხმობს ჩვენს იდენტიფიცირებას საკუთარ აუტენტურ მეს-თან, თვითობასთან;
3. ადრინდელი ფსიქოანალიტიკური მოდელისგან განსხვავებით, რომელიც „მე“-ს კონფლიქტურ და ნევროტულ ინსტანციად განიხილავდა, სულიერებაზე ორიენტირებული მოდელის თანახმად ჩვენი აუტენტური მე უკონფლიქტო, ჯანმრთელ, გამოყენებულ ცენტრს წარმოადგენს;
4. ადრინდელი ფსიქოანალიტიკური მოდელისგან განსხვავებით, სულიერებაზე ორიენტირებული მოდელის მიხედვით, ჩვენი „მე“ არსებობს და ფუნქციონირებს ცნობიერ, არაცნობიერ და უფრო ღრმად განდევნილი აუტენტური მე-ს დონეზე;
5. ძველი მოდელისგან განსხვავებით, რომელიც მიიჩნევს, რომ დაავადება გამოწვეულია კონფლიქტით, ახალი მოდელის თანახმად, ავადმყოფობა გამოწვეულია აუტენტური მე-სგან დაცილებითა და დაშორებით და მასთან იდენტიფიცირების გამნელებით;
6. მეურნალობის პროცესი მდგომარეობს პაციენტის მცდარ მე-სთან განშორების, დეზიდენტიფიცირების და აუტენტულ მეს-თან იდენტიფიცირების პროცესის ხელშეწყობაში. ამ მხრივ საინტერესოა, თუ როგორ განიხილავს სულიერი ფსიქოთერაპია ეგოიზმს. საკუთარი თავის სიყვარული ანუ სიყვარული, რომელიც მიმართულია საკუთარი თავისკენ, ხშირად ეგოიზმთან ანუ ნარცისიზმთან არის გაიგივებული, რომელიც საკუთარი გარეგნობის ანუ ნიღბის (იუნგი) სიყვარულს ნიშნავს. საკუთარი თავის სიყვარულის დროს, აუცილებელია განვასხვავოთ ის, თუ როგორ გვიყვარს და რა გვიყვარს საკუთარ თავში. ეგოიზმსს ადგილი აქვს მაშინ, როცა ადამიანს უყვარს ტპბობის, ფლობის და დომინირების ასპექტები საკუთარ თავში. მაგრამ თუ ადამიანს უყვარს ის, რაც ადამიანში უმაღლესი და არსებითია, ის რაც მას ცხოველისგან განახვავებს და ადამიანად აქცევს და მის იდეალურ დვთაებრივ პლასტს აახლოვებს, თუ მას უყვარს საკუთარ თავში სულიერი ზრდისა და განვითარების ტენდენცია, შემოქმედების უნარი და სხვებთან ჭეშმარიტი ურთიერთობა, მაშინ ასეთი სიყვარული ეგოიზმს მოკლებულია და ზრდის ცხოვრების ხარისხს. ამ დროს ჩვენ უფრო მაღალი ხარისხის ცხოვრებით ვცხოვრობთ. ასეთი სიყვარული მოყვასისადმი სიყვარულს დაბრკოლებას კი არ უქმნის, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას. ეგოისტი ვერ საზღვრავს საკუთარი თავის ფარგლებს და საკუთარი პრიზმიდან უყურებს მოედს სამყაროს, რაც ფსიქი-

კური ინფლაციის ნიშანია.

სულიერი ფსიქოთერაპიის განსხვავება ფსიქოთერაპიის სხვა მიმართულებებისგან შესაძლებელია განვიხილოთ ფროიდის და იუნგის მიდგომის ზოგიერთი ასპექტების ანალიზის საფუძველზე. ფროიდის მიდგომა ანალიტიკურ-რედუსქციონისტურია, ანუ მას რთული მარტივამდე დაპყავს. მაგ. სიყვარული სქესობრივ ინსტინქტამდე, განსხვავებით იუნგისგან, რომელიც სულიერ ინსტინქტზე, ანუ ადამიანში თანდაყოლილ სულიერებაზე ლაპარაკობს. ფროიდის მიხედვით, რედიგია კოლექტიური ნევროზის ფორმას წარმოადგენს, ხოლო იუნგის მიხედვით ადამიანის მეტამოხოვნილებას. ფროიდის მეთოდი კაუზალურია ანუ ის დაავადების მიზეზის გამოაშკარავებით შემოიფარგლება, ხოლო იუნგის მეთოდი არამარტო მიზეზზე არამედ დაავადების მიზანზეცაა ორიენტირებული. ანუ იგი ტელეოლოგიურია. იუნგის თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩავწერთ პიროვნების არსე, მისი დაავადების მნიშვნელობასა და საზრისს, როდესაც დამოვარკევთ, თუ რისკენ მიისწრაფვის ავადმყოფის პიროვნება. იუნგი არაცნობიერ სფეროს განსაზღვრავს, როგორც მიზნების განხორციელებისაკენ მიმართულ სისტემას, ხოლო დაავადებას განიხილავს არა მარტო როგორც დარღვევასა და დეზადაპტაციას, არამედ - როგორც დადებითი ასპექტების მქონე მდგომარეობას, რომელშიც თვითრეალიზაციის შესაძლებლობას ხედავს.

ამგვარად არსებობს კომპლექსები განსხვავებული ტიპები და მათი გადალახვისათვის გამოიყენება ფსიქოთერაპიის განსხვავებული მიმართულებები. მათ შორის, ფსიქოთერაპიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დიდი უურადღება ეთმობა სულიერებაზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიას და მის აუცილებელ კომპონენტს სულიერ განზომილებას. სულიერი განზომილება წარმოადგენს პიროვნების იმ ასპექტს, რომელიც ჰერმენევტიკულ-სინთეზური და ნოეტური ფუნქციის მატარებელია და რომელიც მიისწრაფის აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ, თუმცა არცერთ რელიგიურ სისტემას არ მიეკუთვნება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Bauldouin C. 1934. The Mind of the Child. *International Journal of Psychoanalysis*. 15:477-478.
2. Hiatt J. 1986. Spirituality, Medicine and Healing. *Southern Medical Journal*. Vol. 79 N 6, 736-743.
3. James W. 1902. *The Varieties of Religious Experiences*. New York. Longmans green and Co.
4. Jung C.G. 1966. Two Essays on Analytical Psychology. *The Collected Work of Carl Gustav Jung*. Princeton NJ Princeton University Press. Vol. 7.
5. Jung C.G. 1966. Conscious, Unconscious, and Individuation. The Archetypes and the Collective Unconscious. *CW of Carl Gustav Jung*. Princeton NJ Princeton University Press, Vol. 9.
6. Laplanche J., Pontalis J.B. 1988. *The Language of Psychoanalysis Institute of Psychoanalysis*.
7. Maslow A. 1954. *Motivation and Personality* (2<sup>nd</sup> ed.) New York; Harper & Row.
8. Maslow A. 1968. *Toward a Psychology of Being* (2<sup>nd</sup> Ed.) Princeton, N.J.: van Nostrand.
9. Mezzich J.E. 2007. Globalization and Psychiatry for the Person. *WPA regional Conference/CSP Annual Congress*. Shanghai.

დავით ჩარკვიანი, დავით ძიძიგური  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსტეტი

დისპოზიციონისტური მსჯელობის ეფექტი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველ ჩვენთაგანს არსებულ სოციალურ გარემოში მომხდარი, მიმდინარე და მოსალოდნელი მოვლენების მიზეზთა დადგენის სურვილი გააჩნია. ჩვენ, როგორც დამკვირვებლები, სხვების და საკუთარი ქცევის არა მხოლოდ გარეგნულ, ფიზიკურ მხარეს ვაქცევთ ყურადღებას, არამედ მისი განმსაზღვრული მოტივების და მისგან გამომდინარე შედეგების შესახებ აღმოცენებულ კითხვებზე სათანადო პასუხების გაცემას ვცდილობთ. დავუშვათ, რომ ადამიანი რაიმე კონკრეტულ სფეროში წარმატების მისაღწევად ილტვის და თავის რეალურ მოქმედებაში, სშირად, აგრესიულობას ავლენს. დაისმის კითხვა: ნიშნავს კი ეს იმას, რომ ეს ადამიანი თავისი შინაგანი პიროვნული თვისების გამოა აგრესიული? შესაძლებელია მისი მოქმედების ფორმას მისგან დამოუკიდებელი გარემოებები (კონკრეტული სიტუაციები) განაპირობებენ? როდესაც გინმე თავგამოდგით რაიმე პოლიტიკურ თვალსაზრისს იცავს, გასარკვევია, მართლა იზიარებს ის მოცემულ თვალსაზრისს, თუ მის დაცვას აქ და ამჟამად არსებული სიტუაციის თავისებურება განსაზღვრავს. ამგვარ კითხვებზე სათანადო პასუხების გაცემით ჩვენ სხვებისა და საკუთარ მოქმედებათა მიზეზებს ვადგენთ, რის საფუძველზეც მათი “ახსნის,” ანუ ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გვეძლევა. ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ სხვების და საკუთარი ქცევის მიზეზთა დადგენის პროცესს კაუზალური (მიზეზობრივი) ატრიბუცია ეწოდება [1]. ატრიბუციული განსჯის პროცესუალური და კომპონენტური შინაარსი შემდეგია: ადამიანი (დამკვირვებელი) სხვისი (სამიზნე სუბიექტი) დაკვირვების საფუძველზე მისი ქცევის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრას ცდილობს. გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამკვირვებელი სამიზნე სუბიექტის ქცევას ან შინაგან (პიროვნებისეული დისპოზიციები), ან გარეგან (სიტუაციური მახასიათებლები) გამომწვევ მიზეზებს მიაწერს. ივარაუდება, რომ ატრიბუციის ფსიქიკური მექანიზმი ადამიანს არსებული ვითარების შესახებ არა მხოლოდ გარკვეულ ცოდნას აწვდის, არამედ მისი ამოქმედების მეშვეობით მას, გარკვეულ ფარგლებში, მოცემულ ვითარებაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ატრიბუციის, როგორც შემეცნებითი ფსიქიკური მექანიზმის ამოქმედების პროცესში, ადამიანი, ჩვეულებრივ, საკუთარ შეფასებით მსჯელობაში გარკვეული სახის ტენდენციურობას ამჟამნებს (ხაზგასასმელია ისიც, რომ მიკერძოებული სახის მსჯელობა, არც თუ ისე იშვიათად, თვით მეცნიერული განსჯისთვისაც არის დამახასიათებელი, რაც ფსიქოლოგიაში არსებულ არა ერთ მოდელებაშია დადასტურებული, ეს კი ამ მოვლენის კვლევას უფრო მეტ აქტუალობას ანიჭებს) [2]. წინამდებარე სტატიაში აზროვნების მიმდინარეობის ისეთი სახის ტენდენციურობას განვიხილავთ, რომელსაც დისპოზიციონისტური მსჯელობა ეწოდება. მსჯელობის ამგვარ ფორმაში (შესაბამისად მისგან გამომდინარე დასკვნაში) სხვისი ქცევის მიზეზთა დადგენის პროცესში დამკვირვებლის (მსჯელობის მწარმოებელი) მიერ გარე ფაქტორების შეუფასებლობა და შინაგანი ფაქტორების გადამეტფასება იგულისხმება. დისპოზიციონისტური მსჯელობის იდენტური მნიშვნელობით, აგრეთვე, ტერმინი “ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა” გამოიყენება [3]. მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანი დისპოზიციონისტური მსჯელობის დეტერმინანტების (ქცევის იძულებითობის უგულებელყოფა, არარეალური მოლოდინი, მსჯელობაში დარწმუნებულობის ხარისხი) და ამგვარი მსჯელობიდან გამომდინარე შედეგების ანალიზში მდგომარეობს.

**ქცევის იძულებითობის უგულებელყოფა**

დისპოზიციონისტური მსჯელობის ტენდენციურობის თავიდან აცილება იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სამიზნე სუბიექტის ღია ქცევის განმსაზღვრული ფაქტორების დადგენაში აქტუალური სიტუაციის მნიშვნელობა დამკვირვებლის მიერ სათანადოდ არის გაცნობიერებული. ქცევაზე სიტუაციურ მახასიათებლთა გაელენის გაუთვალისწინებლობის აშკარა და, შეიძლება ითქვას, მათი პარადოქსული უგულებელყოფის ნიმუშს გ. ჯონსის და გ. პარისის კლასიკური გამოკვლევა წარმოადგენს [4]. ექსპერიმენტში ცდისპირები ფიქტიური “სტუდენტი-პოლიტოლოგების” მიერ დაწერილ სტატიებს ეცნობოდენ. მათვის მიწოდებულ ტექსტში ფიდელ კასტროს რეჟიმი ან უარყოფითად, ან დადებითად იყო შეფასებული. ცდისპირების ერთ ჯგუფს უთხრეს, რომ სტატიების ავტორებს განსახილველი საკითხის შესახებ

ორი თვალსაზრისიდან მხოლოდ ერთის არჩევის, ხოლო შემდგომ მისი არგუმენტირების და სათანადო დასკვნის გამოტანის სრული თავისუფლება გააჩნდათ. ამისგან განსვავებით, ცდისპირების შემორე ჯგუფს შეატყობინეს, რომ სტატიების ავტორებს მათ მიერ დასაწერ სტატიებში კუბაში არსებული რეჟიმის შესახებ რაც შეიძლება მკაფიო და არგუმენტირებული თვალსაზრისების დასაბუთება მოთხოვეს (იძულების სიტუაციური ფაქტორის ცდისეული მანიპულაცია). სტატიების გაცნობის შემდეგ, ცდისპირობა ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს მათში განხილული საკითხების მიმართ თვით სტატიების ავტორების ნამდვილი, პირადი დამოკიდებულების ამოცნობა დაავალეს.

მიღებულმა მონაცემებმა შემდეგი სურათი გამოავლინეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირების შეატყობინეს, რომ სტატიაში განხილული საკითხის შესახებ სტატიის ავტორს ორი თვალსაზრისიდან ერთის არჩევა და მისი დაცვის სრული თავისუფლება გააჩნდა, მაშინ ცდისპირებმა ჩათვალეს, რომ სტატიის ავტორი განხილული საკითხებისადმი საკუთარ, პირად პოზიციას ამჟღავნებდა. ამგავრი შედეგი ექსპერიმენტატორებისთვის სავსებით მოსალოდნელი იყო. ამგვე დროს, მათვის სრულიად მოულოდნელი შემდეგი აღმოჩნდა: ცდისპირების შემორე ჯგუფის წევრებმაც ჩათვალეს, რომ სტატიის ავტორმა განხილული საკითხისადმი თავისი პირადი თალსაზრისი გამოიტქვა (გაატარა) და ის დაიცვა (რაც, ფაქტობრივად, ფიდელ კასტროს რეჟიმის დადებით შეფასებას გამოხატავდა) და ეს მოხდა იმ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირებმა, თვით მათვის მიცემული ინსტრუქციის მიხედვით, იცოდნენ, რომ ავტორის მიერ სტატიის დაწერა და მისი სათანადო არგუმენტირება იძულებით ხასიათს ატარებდა. ცდისპირების მიერ ამგვარი მიზეზობრივი დასკვნის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი ვარაუდით, ადამიანი სხვისი ქცევის ახსნას იმ პიროვნული თვისებების აღმნიშვნელი სიტყვიერი მასალის გამოყენებით ცდილობს, რომელიც შინაარსეულად სწორედ მოცემილ ქცევას მიესადაგება. მაგალითად, აღწერილ გამოკვლევაში ცდისპირებს მიაჩნდათ, რომ სტატიის ავტორის მიერ ფიდელ კასტროს რეჟიმის დაცვის საფუძველს მისი ამ პოლიტიკოსისადმი დადებითი დამოკიდებულება წარმოადგენდა და არა ის, რომ მას სათანადო შინაარსის სტატიის დაწერა აიძულეს (გამოკვლევაში ეს მართლაც ასე მოხდა), ან ეს მან ვინმეს ჯიბრზე გააკეთა, ან ამგვარი მოქმედებისთვის გარკვეული თანხა გადაუხადეს და სხვა. როგორც ვხედავთ, აქტუალური სიტუაციის თავისებურების უგულებელყოფამ ადამიანის მსჯელობა მცდარი მიმართილებით შეიძლება წარმართოს და ის აბსურდულ დასკვნამდე მიიყვანოს.

ქცევის იძულებითი ფორმის გაუთვალისწინებლობის მეორე ნათელი მაგალითი ლ. როსის და სხვ. გამოკვლევა გახდავთ, რომელშიც სიტუაციურ ფაქტორად როლური ურთიერთობა გვევლინება [5]. მასში მონაწილე ცდისპირები, შემთხვევითი განთხესვის წესის გამოყენების საფუძველზე ორ ჯგუფად დაყვეს, რომლებშიც ისინი გარკვეულ როლებს ასრულებდენ. ერთი ჯგუფის წევრებს ტელევიქტორინის „წამყვანის“ როლის შესრულება დაევალათ და მათი ამოცანა სხვადასხვა შეკითხვების დასმაში მდგომარეობდა. მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს ტელევიქტორინის „მონაწილის“ როლი დაეკისრათ და ისინი წინასწარ მომზადებულ შეკითხვებზე იძლეოდენ პასუხებს. გარდა ამისა, გამოკვლევაში, დამატებით, „დამკვირვებლებმაც“ მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც ტელევიქტორინის გათამაშებას უფრებდენ, ხოლო ღონისძიების დამთავრების შემდეგ ისინი წამყვანის და მონაწილის ზოგად ნაკითხობას (ერუდიციას) აფასებდენ. ექსპერიმენტული ვითარების თავისებურება იმაში გამოიხატდა, რომ წამყვანს, მონაწილესთან შედარებით, აშერა უპირატესობა გააჩნდა, რადგან მას ნებისმიერი სირთულის და სხვადასხვარი შეკითხვის მიცემის შესაძლებლობა გააჩნდა. საქმე იმაშია, რომ შეკითხვების დასმის დროს, წამყვანი სხვის თვალში (მაყურბელი) „ჭკუის კოლოფის“ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო მინაწილე, რომელიც, დასმულ შეკითხვებზე, ან შეცდომით, ან საერთოდ ვერ სცემდა პასუხს, წამგებიან მდგომარეობაში იმყოფებოდა. რასაკვირველია, ასეთი ვითარება მის შესახებ კარგს ნაკლებად ამბობდა. მიღებულმა შედეგმა ეს ნათლად გამოავლინა: დამკვირვებლები წამყვანს, მონაწილესთან შედარებით, ბევრად უფრო ერუდირებულებად მიიჩნევდენ და ეს ასე მოხდა იმის მიუხედავად, რომ ცდისპირობა შემთხვევითი განაწილების წესი მათ შორის სხვაობას, ფაქტობრივად, გამორიცხავდა. რაც მთავარია, დამკვირვებლები გამოკვლევაში მონაწილე როივე ჯგუფის შემთხვევითი დაყიფის წესის შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, მაგრამ ამის მიუხედავად, ცდისპირების მიერ გათამაშებული როლების ფაქტორი (სიტუაციური მახასიათებელი) მათ უგულებელყვეს

და მხედველობაში მხოლოდ ერუდიცია (პიროვნული თვისება) გაითვალისწინეს. ამ შედეგთან დაკავშირებით ლ. როსი და რ. ნისძები აღნიშნავენ: “ზეულებრივ, უშუალო ხილვადობის საფარის მიღმა არსებულ სინამდვილეში ქცევის ჭეშმარიტი დეტერმინანტების დანახვა ადამიანებს იმ შემთხვევაშიც კი უჭირთ, როდესაც როლების განაწილებით გამოწვეული ესა თუ ის უპირატესობა და მათი შემთხვევითი ბუნება სავსებით ნათელია. სავარაუდოა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელშიც ამგვარი მოვლენები უფრო მეტი გაურკვევლობით ხასიათდებიან, ადამიანებს ასეთ როლურ განაწილებაში შესწორებათა შეტანის ბევრად ნაკლები უნარი გააჩნიათ და ისინი აშკარად მზად არიან ესა თუ ის ქცევა რეალობის გამომხატველად ჩათვალონ.” [2, 219].

ზემოთ მოყვანილი გამოკვლევების შესახებ ზოგიერთმა ავტორმა საგულისხმო მოსაზრება გამოქვა. აღნიშნულია რომ ექსპერიმენტულ ვითარებაში ქცევაზე იძულების ფაქტორის ზემოქმედება სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ხორციელდება, კერძოდ, სამიზნე სუბიექტზე სიტუაციური ზემოქმედების ფსიქოლოგიური და ქცევითი ფორმებია გამოყოფილი. ქცევითი ზემოქმედებისგან განსხვავებით, ფსიქოლოგიური გავლენა არა პირდაპირი, არამედ ირიბი სახით მედავნდება. მაგალითად, ე. ჯონსის და ე. ჰარისის გამოკვლევაში ცდისპირების (დამკვირვებლები) ერთი ნაწილი სტატიების იმ ავტორთა (სამიზნე სუბიექტები) პირად პოზიციას აფასებდენ, რომლებსაც ფ. კასტროს რეჟიმის დასაცავი სტატიების დაწერა სათანადო ინსტრუქციით ევალებოდათ. აქ გასათვალისწინებელია ის შინაგანი ფსიქიკური ფაქტორი, რომელიც ადამიანის განცდისეულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. კონკრეტულად კი ნიშანდობლივი შემდეგია: სტატიების ავტორთა ერთი ნაწილის მიერ ფ. კასტროს რაჟიმის მხარდამჭერი ტექსტის დაწერა ინსტრუქციით კი იყო განსაზღვრული, მაგრამ ავტორებს რამდენად შეეძლოთ სხვებთან (დავუშვათ დავალების მიმცემთან) “კამათში შესვლის” შესაძლებლობა მხოლოდ ცდისპირის (დამკვირვებლის, ანუ ატრიბუციული მსჯელობის რეალიზატორის) მიერ გამოთქმულ გარაუდს გამოხატავდა, რაც მხოლოდ მისი წარმოსახვის სფეროს მიეკუთვნება. გამომდინარე აქედან, სავსებით დასაშვებია, რომ ცდისპირმა ტექსტის ავტორის პირადი პოზიციის შეფასების პროცესში ისეთი ფაქტორები გაითვალისწინოს, როგორიც არის სხვისგან კეთილგანწყობის მოპოვება, საკუთრი თავის ორიგინალურ პიროვნებად წარმოჩენა, კონფორმული ქცევისგან თავის დაღწევა და სხვა. მკვლევართა აზრით, ამგვარი მოვლენების გაუთვალისწინებლობა თვით დისპოზიციონისტური მსჯელობის ცდისეული კვლევის მეთოდოლოგიურ დამაჯერებლობას ამცირებს.

დამკვირვებლის მიერ დისპოზიციონისტური მსჯელობის მიმდინარეობაზე სამიზნე სუბიექტის ქცევით ზემოქმედებას რაც შეეხება, მისი მნიშვნელობის გათვალისწინება ხელს უწყობს ცდისეული მონაცემების ოპტიმალურ განზოგადებას. ექსპერიმენტულ ვითარებაში ქცევითი ზემოქმედების ფენომენი, საკუთრივ სამიზნე სუბიექტის აქტივობის თავისებურებით (ვოქვათ, რაიმე დაკისრებული როლის შესრულება) არის განსაზღვრული, რაც მასში ამოქმედებულ ფსიქიკურ პროცესებს გარკვეული მიმართულებით წარმართავს. ქცევითი ზემოქმედების დროს, ფსიქოლოგიურისგან განსხვავებით, სამიზნე სუბიექტი არსებული ვითარების შეზღუდულ ხასიათს ნაკლებად აცნობიერებს. მაგალითად, ზემიმომოყვანილ ლ. როსის და სხვ. გამოკვლევაში ტელევიზორინაში მონაწილეობა როლის შემსრულებლებს საკუთარი არჩევანი არ გაუკეთებიათ, ხოლო სპეციალურად შედგენილ რთულ შეკითვებზე ისინი, ხშირად, მცდარ პასუხებს იძლეოდენ. ამ შემთხვევაში ნიშანდობლივი შემდეგია: მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდენ, რას გრძნობდენ, რისი სჯეროდათ ან რაში იყვნენ ისინი დარწმუნებული (განცდისეული მდგომარეობები) იგნორირებული რჩებოდა და ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომელიც უპირატესობას იმთავითვე ტელევიზორინის წამყვანს ანიჭებდა. როგორც ვხედავთ, ტელევიზორინაში მონაწილეობა ქცევითი შესაძლებლობების რეალიზაცია თვით ხელოვნურად შექმნილი პირობებით იყო განსაზღვრული. ამგვარმა ცდისეულმა მანიპულაციამ, საბოლოო ჯამში, სამიზნე სუბიექტის ქცევის თავისებურება განაპირობა, რამაც, თავის მხრივ, დამკვირვებლის (ცდისპირი) დისპოზიციონისტურ მსჯელობაზე მნიშვნელოვანი გაფლენა მოახდინა [6].

ქცევითი და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტები არა მარტო კონცეფტურ განსხვავებას საჭიროებენ, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განსხვავება საკუთრივ დამკვირვებლის მიერ სამიზნე სუბიექტის ქცევის სათანადო გააზრებას გარკვეულ სიძნეელების უქმ-

ნის. როდესაც სახეზეა ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მაშინ მიუკარძოებელ დამკვირვებელს მოცემული ვითარების ობიექტური მახასიათებლების გააზრება, რომელშიც სამიზნე სუბიექტი იმყოფება, ნაკლებად სჭირდება. მისთვის საკმარისია იმის ინტერპრეტაცია, თუ როგორ აღიქვავს და აფასებს რაიმეს თვით სამიზნე სუბიექტი. იმ შემთვევაშიც კი, როდესაც ვთქვათ, დამკვირვებელი ვინგე X პოლიტიკოსის მიმართ შეკრებილი ხალხის მიერ მისადმი დადგებითი დამოკიდებულების (აპლოდისმენტები, გამამხნევებელი შეძახიალები) უშუალო მოწმეა, ამ ვითარებაშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რანდენად მსგავსია, თანხვდომია დამკვირვებლის და პოლიტიკოსის მერ ერთი და იგივე მოვლენის აღმა. როდესაც პოლიტიკოსი წინასაარჩევნო სიტყვით მიმართავს აუდიტორიას და ის მოქმედებს, როგორც ამას პოლიტიკაში მეტნაკლებად გათვითცნიბიერებული დამკვირვებელი მისგან მოელის, მაშინ მისი მოქმედება ნაკლები ტენდენციურობის (ანგარების) გამომხატველად აღიქმება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პოლიტიკოსი აუდიტორიის მოლოდინს სათანადოდ ვერ ითვალისწინებს, ან მას, ამ თვალსაზრისით, „მისამართი, ეშლება.“ მაშინ მისი ქცევა თვალსაჩინო ტენდენციურობის გამომხატველად ფასდება. როდესაც დამკვირვებელს მოცემული სიტუაციის რეალური შინაარსის გაცნობიერება უჭირს, მაშინ ისიც შესაძლებელია, რომ ის უფრო მეტ კოგნიტური ხასიათის სიძნელეს განიცდიდეს, ვიდრე თვით სამიზნე სუბიექტი განიცდის. ამ შემთხვევაში დამკვირვებელი ე.წ. „ეგოცენტრული დაშვების“ გამოვლენისადმი არის მიღრეკილი, ანუ მას მიაჩნია, რომ ის და სამიზნე სუბიექტიც ერთნაირად კარგად და შესატყვისად აღიქვავენ არსებულ ვითარებას. ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია ის, რომ ადამიანისთვის ხელსაყრელია გულუბრყვილო რეალიზმის თვალსაზრისის გაზიარება, რომლის თანახმად, აღქმა (სხვა ფსიქიკური პროცესებისგან იზოლირებულად) გარემოში მიმდინარე მოვლენების უშუალო ასახვას წარმოადგენს. ამგვარ მიღვომაში გაუთვალისწინებელი რჩება თანამედროვე ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანის მიერ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესების ფსქიკაში ასახვა ე.წ. „უშუალობის პოსტულაცის“ არ ემყარება, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრივ აღმა და სხვა ფსიქიკური ფუნქციების ამოქმედება და მიმდინარეობა გაშუალებულია ისეთი ცვლადებით, როგორიც არის განწობა, პერცეპტული მზაობა, მოლოდინი და ა.შ. [7,8,9]. ეფრდნობა რა დამკვირვებელი გულუბრყვილო რეალიზმის პრინციპს, ის ვითარებას, რომელშიც სამიზნე სუბიექტი იმყოფება, საკუთარი, მიკერძოებული თვისების ქვემით შეფასებითი დამოკიდებულების ჭრილში განიხილავს. ნათელია, რომ დამკვირვებელი მიზეზობრივი ატრიბუციის პროცესში სიტუაციური ფაქტორების მნიშვნელობას სათანადოდ უნდა აცნობიერებდეს და თუ მან ეს ვერ მოახერხა, მაშინ, შედეგად, ჩვენ საქმე დისპოზიციონისტურ მსჯელობასთან გვექნება.

## არარეალური მოლოდინი

დამკვირვებელმა რაიმე სახის შეკრებაზე გამომსვლელის მიმართ როგორც აუდიტორიის კეთილგანწყობა, ასევე მსმენელთა მიმართ ორატორის პირადი დამოკიდებულებაც შესაძლოა სწორად შეაფასოს. ამავე დროს, მან გამომსვლელის ძირითადი საკითხის შესახებ მისი თვალსაზრისის ობიექტურად შეფასებაც უნდა მოახერხოს. გარდა ამისა, მას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ის, თუ როგორ რეაგირებს, ჩვეულებრივ, ამგვარ საჯარო გამოსვლაზე მსმენელი. ამ შემთხვევაში ხაზგასასმელი შემდეგი გარემოება გახლავთ: დასაშვებია, რომ დამკვირვებელი სიტუაციას, რომელშიც სამიზნე სუბიექტი იმყოფება, კარგად აცნობიერებს, მაგრამ მას მის ქცევაზე მოცემული სიტუაციის შესაძლო გავლენის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი (ალბათური) წარმოდგენა გააჩნდეს (ვოკვათ, “ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი გლობალისტური შინაარსის გამომსატველი სიტყვით არ უნდა გამოდიოდეს” დებულების საკუთარი მსჯელობის ძირითად საყრდენად გამოყენება). საგულისხმოა, რომ ადამიანის მიერ კონკრეტული ვითარების კონკრეტულ ქცევაზე გავლენის სიძლიერის შეფასების კანონზომიერებათა შესწავლა ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს. სიტუაციური გავლენის ხარისხობრივი მხარის ერთ-ერთ დამდგენ საშუალებად მოცემულ სიტუაციაზე სამიზნე სუბიექტის რეაგირების ტიპობრიობა გვევლინება. ე. ტვერსკისა და დ. კანგმანის თანახმად, საღი აზრის დონეზე ძალისა და ტიპობრიობის ტერმინები ტოლმინშვერლოვანია, რადგან გამოკვეთილი, ნათლად თვალსაჩინო სიტუაციის განმარტება, ჩვეულებრივ, როგორც “ამ ვითარებაში ყველა ერთნაირად მოქმედებს” დებულებით შეიძლება გამოვხატოთ [10]. ადამიანის მოქმედებების აღმწერ სიტყვათა მარაგის სპეციფიკურობის (ზოგიერთ პირობებში “შეზღუდულობის”) გამო დამკვირვებელს ამა თუ იმ ვითარებაში სამიზნე სუბიექტის შესაძლო ქცევის განმარტების

გარკვეული საშუალება გააჩნია. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად ხელმისაწვდომობის ევრისტიკა ითვლება (ალბათური მსჯელობის პრინციპი, რომლის თანახმად, რაიმე მოვლენის განხორციელება მით უფრო მოსალოდნელია, რაც უფრო ადვილია მისი დამასხვრება). ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევა, რომელიც რაიმე ვითარებაში იყო რეალიზებული და განზოგადებული სახით არის დამკვირვებლის მექანიზმებაში ასახული, ის, შედგომ, მის შინაარსს აწმყოში განხორციელებულ კონკრეტულ ქცევაზეც განავრცობს. სავსებით მოსალოდნელია, რომ ამგვარ ევრისტიკულ დასკვნას რეალობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნდეს, რაც მცდარი და ჭარბი განზოგადების აქტის გამომხატველი იქნება. ამის დამადასტურებელია ერთ-ერთი გამოკვლევა, რომელშიც ცდისპირები ჰიპოტეზური არჩევანის წინაშე იმყოფებოდენ, რომლის თანახმად მათ ან თანხმობა უნდა გამოეხატათ, ან უარი ეთქვათ გარკვეული საფირმო რეკლამის აღმნიშვნელი მაისურის შექმნაზე. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ როგორც დათანხმების, ასევე უარის მთქმელი ჯგუფების წევრებმა ივარაუდეს, რომ მათი და უმრავლესობის (ზოგადი პოპულაცია) პასუხები იდენტური იქნებოდა[11].

სიტუაციაზე საკუთარი გარაუდის გამომხატველი პასუხის ტიპობრივად მიჩნევა საკმაოდ სარისკო საქმე იმიტომ კი არ გახდავთ, რომ ამავე სიტუაციაში სხვა ადმინისტრაციული შემთხვევა სხვაგვარად იმოქმედებდენ, არამედ იმიტომ, რომ თვით დამკვირვებელი იდენტურ ან მსგავს ვითარებაში ისე შიძლება ვერ მოიქცეს, როგორც მას “სავალდებულოდ” მიაჩნია. ამის დამადასტურებელია ის ცდისული მონაცემები, რომლებიც კონგრესი დისონანსის (ცნობიერების ელემეტებს შორის შეუსაბამობის არსებობა) შემცირების კანონზომიერებათა დადგენას ეხებოდენ. კერძოდ, კვლევის ზოგადი შედეგის თანახმად, როდესაც ექსპერიმენტატორი ცდისპირებს მათივე შეფასებითი განწყობების საწინააღმდეგო შინაარსის თხზულების დაწერას ავალებდა, ამაზე დათანხმების რაოდენობა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. მართლაც უცნაურია შემდეგი კონკრეტული მონაცემი: როდესაც ცდისპირებს წინასწარ ეკითხებოდენ იმის შესახებ, თუ რამდენად საგარაუდოა, რომ ისინი საკუთარი თვალსაზრისის საწინააღმდეგო ტექსტს დაწერდენ, მონაწილეობა 70%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო შემდგომ, სათანადო ექსპერიმენტული ვითარების შეცვლის შედეგად, ცდისპირთა დიდმა უმრავლესობამ თავდაპირველად უარყოფილი დავალება მაინც შეასრულა [12]. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დისპოზიციონისტური მსჯელობა განიხილება, როგორც ადამიანზე სიტუაციური ფაქტორების გავლენისადმი სათანადო ანგარიშის გაწევის დეფიციტის ამსახველი უნივერსიტეტი. სიტუაციური ფაქტორების შეუფასებლობის ტენდენცია, რომელსაც დამკვირვებელი ყოველდღიურ ცხოვრებაში ამჟღავნებს, მართლაც ზოგად მოვლენად ითვლება. ამავე დროს, ზოგიერთი მკვლევარი ამგვარი აზრის მიმართ გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მართლაც გასათვალისწინებელია. გამოყოფილია ორი ზოგადი ყურადსაღები (გამაფრთხილებელი) მაჩვენებელი. პირველის თანახმდ, როდესაც დამკვირვებელი სიტუაციის ძალის შეუფასებლობას ამჟღავნებს, მაშინ ის ლოგიკურ შეცდომას უშვებს და არაა აუცილებელი, რომ ამ მცდარ დასკვნას დისპოზიციონისტური შინაარსი გააჩნდეს. მაგალითად, ადამიანები ბევრად უფრო მცირე რიცხვს ვარაუდობდენ, რომლებიც ს. მილგრემის ცნობილ “მორჩილების” ექსპერიმენტში მდლავრი ელ. დენის გამოყენებას დათანხმდებიან, ვიდრე ეს სინამდვილეში ხდება. ნათქვამი იმაზე მიგვინიშნებს, რომ რესპონდენტებს (პოტენციური დამკვირვებლები) ცდისპირთა დაუმორჩილებლობის (მტკიცნეულ პროცედურაზე უარის თქმა) შესახებ არარეალური მოლოდინები გააჩნდათ და ამის გამო მათ გაუმართლებელი დისპოზიციონისტური შინაარსის დასკვნები გამოაქვთ. დასასრულ, მივმართოთ საკითხს, რომელიც დაუმორჩილებელი ცდისპირების თაობაზე შესაძლო დასკვნებს ეხება. მკვლევარი ფსიქოლოგის თვალსაზრისით, ამგარი დაუმორჩილებლობა იშვიათობას წარმოადგენდეს, ხოლო მისი ახსნა, სავარაუდოთ, დისპოზიციონისტური მსჯელობის თავისებურების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. კერძოდ, რესპონდენტი, მისი არარეალური მოლოდინის გამო ცდება, რომლის თანახმად, დაუმორჩილებელი ცდისპირი აკეთებენ იმას, რასაც კველა გააკეთებდა. ამ შემთხვევაში რესპონდენტი სათანადოდ ვერ ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ მან სწორედ “საღ” რაციონალობაზე დაყრდნობით, შეიძლება, დისპოზიციონისტური, ანუ მცდარი დასკვნა გამოიტანოს.

მეორე მაჩვენებელი, რომელზეც ზოგიერთი ავტორი ამახვილებს ყურადღებას იმ შემთხვევას ეხება, როდესაც დამკვირვებელი სიტუაციის გავლენის სიძლიერეს გადაჭარბებულად აფასებს, ხოლო პიროვნულ უნარებს ნაკლებად ითვალისწინებს, რის გამოც ის მსჯელობას

მცდარი მიმართულებით წარმართავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, დამკვირვებელმა შესაძლოა სიტუაციური გავლენის ძალა სათანადოდ ვერ შეაფასოს, რაც მისი შეცდომის გამომწვევი იქნება, ხოლო მეორე მხრივ, მის მიერ დაშვებული შეცდომის მიზეზი შესაძლოა სიტუაციურ ძალთა გადამეტფასება გახდეს. მაგალითად, ნაჩვენებია, რომ ცდისპირებმა გამოცდილი ხელმძღვანელის წვლილს, თვისი ხელქვეითების საქმიანობის ეფექტურობაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს, ხოლო თვით ხელქვეითების ინდივიდუალური შესაძლებლობების მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეაფასეს [13]. ნათქვამის ანალოგიური შემთხვევები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გვხვდება. მაგალითად, სათანადო ინფორმაციის მიღების შედეგად ადამიანები იმით არიან გაპირვებული, რომ ბაგშვობაში დაშორებულ ცალ-ცალკე მცხოვრებ ზრდადამთავრებულ ერთკვერცხუჯრედიან ტყუპებს ერთმანეთის მსგავსი ჩვევები, უნარები, შეხედულებები, ინტერესები გააჩნიათ. ამგვარი დამთხვევა იმ შემთხვევაშია ”გასაოცარი,” როდესაც დამკვირვებლის მიერ ქცევაზე და პიროვნების ჩამოყალიბებაზე თანდაყოლილ თვისებებთან შედარებით, გარემოს გავლენა ჭარბადად გადამეტშეფასებული. დაბოლოს, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ორი ყურადსაღები მაჩვენებელი, ერთობლივად, შემდეგზე მიგვინიშნებს: არ წარმოადგენს აუცილებლობას სიტუაციური ძალის შეუფასებლობის ფაქტის არსებობა და თუ ის მაინც გამოვლინდა, არც ის არის აუცილებელი, რომ ამან დამკვირვებელი დისპოზიციონისტურ დასკვნამდე მიიყვანოს. ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, ადამიანები, ჩვეულებრივ, სიტუაციური ფაქტორების მნიშვნელობას კარგად ვერ აცნობიერებენ. ამგვარი თაღსაზრისი ნამდვილად სწორია, როდესაც ის ექსპერიმენტულ ვითარებაში ცდისპირთა შეფასებებს და ქცევას ეხება. მაგრამ დაისმის კითხვა: რამდენად გამართლებულია ასეთი მოსაზრების საერთოდ ადამიანის ქცევის ზოგად კანონზომიერებად მიჩნევა? იმის თქმა, რომ ამ ფაქტორის შეუფასებლობა მართლაც ხდება, ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამოვლენის სიხშირე ნათლადაა განსაზღვრული. დასაშვებია, რომ შეუფასებლობის გამოვლენა შემსწავლელი ექსპერიმენტების დაგეგმარების თავისებურებამ (მკვლევარის მიერ დამოკოდებული და დამოუკიდებელი ცვლადების მიზანდასახული ვარირება) განაპირობოს. ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ იმას, რომ მიზეზობრივ-ატრიბუციული მსჯელობის ამგვარ ცდისეულ გამოკვლეულებს გარკვეული ხარვეზები გააჩნიათ, რომელთა აღმოფენა მხოლოდ ცდისეული კვლევის მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწით უნდა განხორციელდეს.

## მსჯელობაში დარწმუნებულობის ხარისხი

დამკვირვებლის მიერ სხვისი ქცევის ძირითად მისი პიროვნული თვისებების მიხნევა, შემდგომში მის მიერვე გასაკეთებელ პროგნოზს ედება საუძვლად, რომელშიც სიტუაციური ფაქტორების მნიშვნელობა, ხშირად, აშკარად უგულებელყოფილი რჩება. სწორედ ამის გამოა, რომ დისპოზიციონისტური (მეტწილად პიროვნული თვისებების ხაზზემა) სახის მსჯელობაზე და მისგან გამომდინარე დასკვნაზე მყარი დაყრდნობა, მოვლენათა პროგნოზირების თვალსაზრისით, დამკვირვებელს საკმაოდ “ძვირად” უჯდება. ამ საკითხონ დაკავშირებით ნამდვილად საყურადებო ემპირიული გამოკვლევა დ. დანინგის და სხვ. მიერ იყო ჩატარებული [14]. ექსპერიმენტში ცდისპირებს (დამკვირვებლებს) სხვასასხვა ხელოვნური და ცხოვრებისეული სიტუაციების აღწერა მიაწოდეს. ამის შემდეგ, მათ უნდა ეწინასწარმეტყველად ის, თუ როგორ მოიქცეოდენ ამა თუ იმ ვითარებაში კონკრეტული პირები. მაგალითად, მათვის დასმული შეკითხვები შემდეგი შინაარსის გახლდათ: “ერთი სემესრის განმავლობაში ეს ადამიანი კვირაში ერთხელ მაინც თუ დარეკავს სახლში?” ან “დაიწყებს ის თმების დავარცხნას იმ შემთხვევაში, თუ ლაბორატორიული გამოკვლევის პროცესში მას ფოტოსურათის გადაღებას მოთხოვენ?” ერთი ჯგუფის ცდისპირებს ისეთი ექსპერიმენტული პორობები შეუქმნეს, რომ მათ კონკრეტული პირების შესაებ საკმაო ინფორმაცია გააჩნდათ. გარდა ამისა, ამ დავალების შესრულების მოსამზადებელ მონაკვეთში, მათ ამ პირებისთვის ნებისმიერი შეკითხვის დასმის შესაძლებლობა გააჩნდათ. მეორე ჯგუფის ცდისპირები კონკრეტული პირების შესახებ საკმაოდ მწირ ინფორმაციას ფლობდენ, კერძოდ, მათ მხოლოდ ამ პირების ფოტოსურათები ანახეს და მათი სახელები უთხრეს. მიღებულმა შედეგმა სავსებით ნათელი სურათი გამოავლიანა: კარგად ინფორმირებული ცდისპირების მიერ გამოთქმული პროგნოზების სიზუსტის საშუალო მაჩვენებელსა და მცირედ ინფორმირებულ ცდისპირთა საშუალო მონაცემს შორის სხვაობა არ დადასტურდა (60%-57%). აღნიშნული შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ ურთიერთობის პროცესში მიღებულმა ცოდნის ხარისხმა ქცევის პროგნო-

ზირებაში, ფაქტობრივად, არავითარი როლი არ ითამაშა.

მიღებულ შედეგთან დაკავშირებით, თვით ავტორებმა შემდეგი მოსაზრება გამოიქვეს: არაა გამორიცხული, რომ ცდისპირებს საკუთარი ვარაუდების სისწორის მიმართ პრეტენზია ნაკლებად გააჩნდათ. კონკრეტულად, ალბათ ცდისპირებს მიაჩნდათ, რომ სხვა ადამიანის ქცევის შესახებ პროგნოზის გაკეთება მათ მცირე ინფორმაციაზე დაყრდნობითაც შეუძლიათ. ისიც საგულისხმოა, რომ მცირედ ინფორმირებულ ჯგუფში ასი მცდელობიდან 57 პასუხი სწორი აღმოჩნდა, ხოლო საკუთარი მოლოდინის სისწორეში დარწმუნებულოთა რაოდენობა 72%-ის ტოლი იყო. რაც შეეხება კარგად ინფორმირებულ ჯგუფს, მათი მონაცემები, შესაბამისად, 60-ს და 70%-ს უდრიდა. ამდენად, ცდისპირებმა შესაფასებელი პირის შესახებ შეზღუდული ინფორმულობის მიუხედავად, მისი შესაძლო ქცევის მიმართ გამოთქმული მოლოდინის სისწორეში ჭარბი დარწმუნებულობა გამოამჟღავნეს. აღსანიშნავია, რომ ცდისპირთა მიერ გამოვლენილი დარწმუნებულობის ხარისხი და მათ მიერ მიღწეული სიზუსტის ოდენობა აშკარა შეუსაბამობაში აღმოჩნდა. როდესაც ცდისპირები საკუთარი პროგნოზის სიზუსტეში ჭარბ დარწმუნებულობას ავლენდნენ, რეალურად მათი პასუხები ამით სწორი ნაკლებად ხდებოდა, რაც სიზუსტის მიღწევასა და მოლოდინში დაჯერებულობას შორის განსხვავებას უფრო აღრმავებდა. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ იუგნენ რა ცდისპირები მსჯელობის სისწორეში თვითდაჯერებულები, ისინი, ხშირად, მცდარ შეფასებებს აკეთებდნენ რაც, მკვლევართა აზრით, საქმაოდ “სახიფათო ეპისტემოლოგიური განწყობის” ამოქმედების დასტურად უნდა მივიჩნიოთ [14].

ამავე ავტორების მიერ ჩატარებული გამოკვლევის ერთ-ერთ ვარიანტში ცდისპირთა მიერ გამოთქმული პროგნოზებს და “საბაზო-სტატისტიკურ” მონაცემებს (ექმირიული სისმირე, ვოქვათ, საფეხბურთო მატჩების შემთხვევაში წარმატებული 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების რაოდენობა, რომელიც, ჩვეულებრივ, 90%-ს აღემატება) შორის მჭიდრო კავშირი დადასტურდა (ამ საკითხის შესახებ დამატებით იხ. [15]). საბაზო მონაცემებს, ზოგირეთ შემთხვევაში, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თვითონ ცდისპირები აღგენენ, ზოგჯერ კი ამგვარ სიდიდეებს მათ ექსპერიმენტატორი აწვდის. ადსანიშნავია, რომ ცვლადებს შორის პირდაპირი მიმართება ყოველთვის არ შეიმჩნეოდა: როდესაც ცდისპირთა მოლოდინი საგარაუდო ან წინასწარ ცნობილ საბაზო სისმირესგან განსხვავდებოდა, მაშინ სწორი პასუხების ალბათობა შემთხვევით განაწილების ტოლი (50%) ან მასზე ნაკლები იყო. გამოკვლევის ერთ-ერთ სერიაში, როდესაც ცდისპირთა ვარაუდსა და საბაზო სისმირეს შორის დადებითი მიმართება გამოვლინდა, მაშინ პასუხები 75% შემთხვევაში სწორი აღმოჩნდა, ხოლო იმ ცდისპირების პასუხები, რომელთა პროგნოზი საბაზო სისმირესგან განსხვადებოდა, სწორი პასუხები მხოლოდ 40%-ს უდრიდა. ნიშანდობლივია, რომ ცდისპირები, რომელთა პროგნოზი საბაზო სისმირესგან განსხვავდებოდა, იმ ცდისპირებთან შედარებით, რომელთა წინასწარმეტყველებასა და საბაზო სისმირეს შორის დადებითი კავშირი გამომჟღავნდა, საკუთარ სისწორეში, თითქმის ერთნაირად იყვნენ დარწმუნებული. ასეთი რამ მოხდა იმის მიუხედავად, რომ პირველ შემთხვევაში სწორი პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობა აშკარად მცირე გახლდათ. საგულისხმოა, რომ საბაზო სისმირის იგნორირების უარყოფითი შედეგი ყველაზე ნათლად მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც მან უკიდურესი სახე მიიღო: ცდისპირები, რომელთა პროგნოზი, თითქმის საბაზო სისმირეს დამთხვა, მაშინ 85% შემთხვევაში ისინი სწორი აღმოჩნდნენ, ხოლო ის ცდისპირები, რომელთა პროგნოზი საბაზო სისმირესგან მკაფიოდ განსხვავდებოდა, სწორი მხოლოდ 23% შემთხვევაში იყვნენ. ამგვარ ცდისეულ მონაცემებთან დაკავშირებით ლ. როსი და რ. ნისბეტი ხაზგასმით მიგვითოთებენ: “აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბაზო სისმირე, სიტუაციური ზემოქმედების ძალის “სრულუფლებიანი დეპანია” და მისი ადეკვატური ინდიკატორი. როდესაც სიტუაციური გავლენა განსაკუთრებით მძლავრია, მაშინ საბაზო სისმირე ძალზე უახლოვდება ექსტრემალურ ნიშნულს. მისი იგნორირება სწორედ იმავე მიზეზის გამოა სარისკო, რის გამოც თვით სიტუაციის უგულებელყოფაა სარისკო.” [2, 229].

დისპოზიციონისტური მაჯელობის შედეგები

ზემოთ განხილული საკითხები ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომის, ანუ დისპოზიციონისტური მსჯელობის უშუალო დეტერმინანტებს ეხებოდა. ისიც ლოგიკურია, რომ პრობლემა არა მხოლოდ მოვლენის ფუნქციონირების რაგვარობის, არამედ მისგან გამომდინარე ძირით-

ადი შედეგების თალსაზრისითაც უნდა დავსვათ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, დისპოზიციონისტურ მსჯელობასთან, როგორც გარკვეულ ფსიქიკურ მექანიზმთან, დაკავშირებული რეზულტატების გააზრება, მკელევართა უმრავლესობის მიერ, ფუნქციური მიღღომის საფუძველზე წარმოებს. ამ განხოგადებული კონცეფტური თვალსაზრისის მიხედვით, ფსიქიკურ და ქცევით აქტივობათა განმსაზღვრელ არსებით წინამავალ პირობას მათი განხორციელების საბოლოო შედეგის სარგებლიანობის ხარისხი უნდა წარმოადგენდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული მოვლენა იმის გამო წარმოიქმნება, რომ ის ადამიანის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საწინდარი ხდება. ქვემოთ, ცდისეულ და ცხოვრებისეულ პირობებში მიმდინარე დისპოზიციონისტური მსჯელობიდან გამომდინარე ჯერ უარყოფით, ხოლო შემდგომ დადებით შედეგებს განვიხილავთ.

ა) ეჭვგარეშეა, რომ დისპოზიციონისტური მსჯელობა გარემოსთან შეგუების ასპექტით, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებადაა ხელსაყრელი. ფუნქციური თვალსაზრისი კი, თავის მხრივ, ყურადღებას შემდეგ გარემოებაზე ამასვილებს: როდესაც რაიმე მსჯელობას შედეგად ლოგიკური შეცდომა მოყვება, მაგრამ, ამავე დროს, სახეზეა დროისა და შემეცნებითი ძალისხმევის დაზოგვა, რაც, საბოლოო ჯამში, ფსიქიკური სისტემის მოქმედებისთვის მაინც “მომგებიან” მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. მაგალითად, აშკარად მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ადამიანი ვისაც დაბალი ხმა და წვერი აქვს მამაკაცია, ხოლო ყველა, ვისაც მაღალი ხმა და დიდი მკერდი გააჩნია ქალია. მიუხედვად ამისა, ამგვარი მოსაზრება იმდენად ახლოა სინაძვილესთან, რომ ის, ასე ვთქვათ, არ მოითხოვს გენეტიკურ შემოწმებას. ივარაუდება, რომ ამგვარი ევრისტიკული მსჯელობის (კონკრეტული ვითარებისთვის გამოსადეგი აზროვნების წესი) სარგებლიანობა (დროისა და შემეცნებითი რესურსის მცირე დანახარჯი) გადაწონის იმ დანაკარგს, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენების გამო გარკვეულ ლოგიკურ შეცდომებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული [16]. მაგრამ, მნელია გვერდი აუარო შემდეგ კითხვას: იმის რა საფუძველი გაგგაჩნია გვჯეროდეს, რომ დისპოზიციონისტური მსჯელობა (შესაბამისად მისგან გამომდინარე დასკვნა), “ლია” ქცევასთან მიმართებაში, მართლაც სასარგებლო და თუნდაც ევრისტიკული მსჯელობის პოზიციური შედეგის მსგავსია? ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, არავის შეუძლია ნათლად და ერთმნიშნელოვნად იმის თქმა, თუ რამდენად ხშირად და რეალურად გამოხატავენ საკუთარ თავის ადამიანები თავის ლია ქცევაში. ამაზე პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია. ამის მიუხედავად, მკელევართა ერთი ნაწილი შემდეგ მოსაზრებებს და შესაძლებლობებს გვთავაზობს [17], [18], [19].

ექსპერიმენტულ გამოკვლევაში, ჩვეულებრივ, ცდისპირებს სხვადახვა ვითარებაში ამა თუ იმ მოქმედების (გარკვეული დავალების გაკეთება) შესასრულებლად შემთხვევითი განაწილების წესის საფუძველზე აჯგუფებენ, რაც ცხოვრებისეული პირობებისთვის ამგვარი რამ საკმაოდ უცხოა. ადამიანი დაბადებიდანვე კულტურალური და სოციოეკონომიკური სახის იდენტიფიკაციის პროცესშია ჩართული. რასაკვირველია, საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროებში ყოფნა და მოქმედება ადამიანის ნებაზე შედარებით მცირედაა დამოკიდებული. ამავე დროს, ხაზგასასმელია, რომ ცხოვრებისეულ პირობებში საქმე ისეთ სიტუაციებთანაც გვაქსს, რომლებშიც ადამიანი საკუთარი ძალისხმევით ერთვება. ამგვარი სიტუაციები მისი შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშემწყობ პირობებად გვევლინებიან. ასეთი სიტუაციების ძიება ე.წ. მისი პიროვნებისეული ორიენტაციის გამომხატველია. რამდენადაც სამიზნე სუბიექტი საკუთარ არჩევანზე იქნება დამოკიდებული, იმდენადვე იქნება განპირობებული ატრიბუციის პროცესში დამკვირვებლის მიერ ამ ფაქტის იგნორირებით გამოწვეული შეცდომის “სეროზულობა.” მაგალითად, ბანკში მომუშავის სოციალური როლის შესრულება მკაცრ კონსერვატიულ ჩატმულობას, ქცევაში ფინანსურ საქმიანობაზე მკაფიო ყურადღების გამახვილებას და უპირატესად ფორმალურ ურთიერთობათა გამოვლენას გულისხმობს. თუ ვინმეს შემთხვევითი განაწილების წესის გამოყენებით ბანკში მომუშავის როლს დააკისრებენ და მას დამკვირვებელს წარუდგენენ, მან ამ სუბიექტს სწორედ აღნიშნული მახასიათებლები უნდა მიაწეროს. იმის მიუხედავად, თუ რას შეძლება განაპირობებდეს ესა თუ ის ეკონომიკური ვითარება, საგარაუდოა, რომ ბანკში მომუშავის პროფესიული როლის მიღება შემთხვევით არ ხდეა. იმის დიდი ალბათობა არსებობს, რომ კონსერვატიულობაზე ორიენტირებული, ფორმალურ ურთიერთობათა დამყარებისადმი მზადყოფი და ეკონომიკური ინტერესების მქონე პირი, თავის მომავალ პროფესიულ საქმიანობაში უპირატესობას სწორედ ბანკში საქმიანო-

ბას მიანიჭებს. ამ შემთხვევაში, სამიზნე სუბიექტის ქცევაზე, სიტუაციურ ძალთა ზემოქმედებასთან შედარებით, მისივე პიროვნული ორიენტაცია უფრო დიდი გავლენის მომხდენია.

არც თუ ისე იშვიათად, დამკვირვებლის მიერ სამიზნე სუბიექტის ქცევის შესახებ მსჯელობის პროცესში, პიროვნული ორიენტაციის ფაქტორის იგნორირება მცდარი დასკვნის საფუძველი ხდება. მაგალითად, თუ დამკვირვებელი სათანადოდ აცნობიერებს იმ ზოგად აზრს, რომ პროფესორის სოციალური როლი და მისი რეალიზაცია განსაკუთრებული შემცნებითი ცნობისმოყვარეობის არსებობას მოითხოვს, მაგრამ ის საკუთარ გამოცდილბაზე დაყრდნობით თვალის, რომ ამ როლის და სხვა ოფიციალური მიერვით, დიდი სხვაობა არ უნდა იყოს, ეს მის შეცდომას გამოიწვევს, რადგან კონკრეტული სამიზნე სუბიექტის პროვნული ორიენტაციის ფაქტორი იქნება იგნორირებული. ამასთან დაკავშირებით პ. ვებტელი აღნიშნავს: ”პიროვნებათ შორის ურთიერთობის პროცესში მყოფი ნებისმიერი ადამიანის ქცევის, ძირითადად, მასზე ზემოქმედი სტიმულების ტერმინებით გააზრება, მის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტულ და ბუნდოვან სურათს იძლევა. უმრავლეს შემთხვევაში ეს სტიმულები მის მიერვე არის შექმნილი. მოცემული სტიმულები მისივე ქცევაზე რეაგირებას გამოხატავს, სხვა მოვლენები კი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ გარკვეული წვლილის შემტანი და არა დამოუკიდებელი მნიშვნლობის მქონე არიან... სიტუაციები, ზოგადად, სუბიექტის მიერ წარმოიქმნებიან და მისივე პიროვნულ მახასიათებლებს აღწერებ” [20]. გავიხსენოთ, რომ დისპოზიციონისტური მსჯელობის შემსწავლელები მკვლევარები დიდ მნიშვნელობას გარემოს ფაქტორების უგულებელყოფის ფაქტს ანიჭებენ, რომლის თანახმად, როდესაც სამიზნე სუბიექტის ქცევა შესაძლოა მასზე სიტუაციური ძალის გავლენით აისხნას, მაშინ მისი შინაგან ძალთა ზემოქმედებით გააზრება ლოგიკურად გაუმართლებებლია. ამავე დროს, არ უნდა დაგვაციტულეს, რომ გარემოს მახასიათებელთა უგულებელყოფის მექნიზმის გამოყენება იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც პიროვნული და სიტუაციური ფაქტორები ქცევას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და ისინი ერთმანეთზე გავლენას არ ახდენენ. ჩვეულებრივ, ამგვარი პირობები ექსპერიმენტულ გამოკვლევაშია შექმნილი, რომელშიც ცდისპირები შემთხვევითი განაწილების წესით არიან დაჯგუფებული და მათზე მოკლევადიანი სიტუაციური ზემოქმედება წარმოქს. ამასთან ერთად, გავცდებით რა ექსპერიმენტულ ვითარებას, სავარაუდოა, რომ როდესაც თვალნათლივ მოცემულია დისპოზიციური თვისებები, მაშინ ქცევაზე სოციალური ეფექტების დადგენაც ადვილდება, რაც, თავის მხრივ, ამ ორი ფაქტორის ფუნქციონირების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვებას უზრუნველყოფს.

ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთგვაროვანი სიტუაციური ძალების გალენა სხვდასხვა ვითარებაშიც მჟღავნდება, რაც ერთი და იგივე ქცევის დეტერმინაციაში ამ ფაქტორის მყარ მონაწილეობაზე მიუთითებს. დასაშვებია, რომ სამიზნე სუბიექტს ამ ძალების ზემოქმედების გაქარწყლების არც სურვილი აქვს, არც ამის საჭიროებას ხედავს და, ხშირად, არც სათანადო შესაძლებლობა გააჩნია. რამდენიმე წლის განმავლობაში დამის კლუბში მენეჯერად მუშაობა საგსებით საკმარისია იმისთვის, რომ ამ სოციალური როლის შემსრულებელი, თავდაპირველად მიმნდობი ხასიათის მქონე ადამიანმა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მკაცრი რეემის ციხის უფროსის მსგავსად დაიწყოს მოქმედება. თუ ვინმე ამგვარი სოციალური როლით განპირობებული იძულებითი ხასიათის მქონე სიტუაციას სათანადო ანგარიშს არ უწევს და მას მიაჩნია, რომ დამის კლუბის მენეჯერი პიროვნულად არის ულმობელი, ამის მიუხედავად, ამგვარი საჭირო და ნაჩქარევი დისპოზიციონისტური დასკვნა მას სამიზნე სუბიექტის ქცევის შესახებ, არც თუ იშვიათად, მაინც სწორი პროგნოზის შესაძლებლობას აძლევს. როდესაც სახეზეა პიროვნული და სიტუაციური ფაქტორების აღრევის, გადაფარვის ფაქტი და დამკვირვებელი საკუთარი მსჯელობით მხოლოდ ალბათური (მიახლოებითი) სიზუსტის მიღწევას ცდილობს, მაშინ შესაძლებელია ნაკლები მნიშვნელობა გააჩნდეს იმას, თუ რომელი ფაქტორი (დისპოზიციური ან სიტუაციური) განაპირობებს სამიზნე სუბიექტის ქცევას. ამგვარ პირობათა არსებობის დროს, შესაძლოა, დისპოზიციონისტური დასკვნა “ხელსაყრელიც” კი აღმოჩნდეს. საგულისხმოა, რომ კაცობრიობის ისტორიის სანგრძლივ მონაკვეთში სიტუაციური და როლური მახასიათებლების აღრევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მაგალითად, აღრეული აგრარული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში სიტუაცია და როლი გამოლიანებული იყო და ადამიანის მიერ ისინი, ფაქტორივად, ერთ მოვლენად განიცდებოდა. სავარაუდოა, რომ ინდივიდუალური ქცევის პროგნოზს

ამ საზოგადოების წევრები აკეთბდენ მათთვის კარგად ცნობილი სოციალური როლების “პირველადობის” საფუძველზე, რადგან იმ ხანაში ცალკეული ინდივიდების ცხოვრება, მათი სოციალური და პიროვნეული არსი უშუალოდ კონკრეტულ სოციალურ ფუნქციებთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ თანამედროვე, სწრაფად განვითარებად, მრავალკულტურალურ საზოგადოებაში შეუძლიათ ადამიანებს როლების შედარებით იოლი ცვლილების განხორციელება და ერთი სოციალური ვითარებიდან მეორეში სწრაფი გადანაცვლება. ისტორიულ წარსულში გავრცელებული განზოგადოებული მოლოდინის პრინციპის (როლური და სიტუაციური პარამეტრების ერთობლივი, შერწყმული სახით გააზრება) თავისებურებას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დისპოზიციონისტური მსჯელობის გამოყენება “გამოუსწორებელ” შეცდომად ნაკლებად უნდა ჩავთვალოთ [21].

ბ) მივმართოთ იმ შემთხვევებს, რომლებიც დისპოზიციონისტურ მსჯელობიდან გამომდინარე დადებითი შედეგების გამოვლენას ასახავენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განზოგადებული მიდგომის თაღსაზრისით, ატრიბუციის ფსიქიკური მექანიზმის ამოქმედების მეშეერით დამკვირვებელს, გარკვეულ ფარგლებში, მასზე სხვების სოციალური გავლენის გაკონტროლების (რაც, ხშირად, გარკვეული ფორმით წინააღმდეგობის გაწვის ფაქტით შეიძლება გამოვლინდეს) რეალური საშუალება ეძლევა. ატრიბუციის კვლევის ფუძემდებლის ფრიც ჰეიდერის აზრით, დისპოზიციონისტური სახის დასკვნა ერთ-ერთ “საჭირო” შემეცნებით საშუალებად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ კი ეს თვისება აღქმის, როგორც ფსიქიკური პროცესის, უმნიშვნელოვანებს ფუქციასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. მისი აზრით: “ქცევას უურადღების მიმქცევი ისეთი თვისებები ასასიათებს, რომ მათი წყალობით მას მთლიანი ფსიქოლოგიური ველის შთანთქვის ტენდენცია გააჩნია. ის ცალკეული სტიმულის მდგომარეობით არ შემოიფარგლება, რომლის ინტერპრეტაცია მის ირგვლივ არსებული ველის, ანუ სიტუაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის ფლობას მოითხოვდა.” [22, გვ. 54]. გეშტალტფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ნათქვამი შემდეგს ნიშნავს: როდესაც დამკვირვებელი თვალყურსადევნებს სამიზნე სუბიექტის ქცევას, ის “ფიგურის” როლში გამოდის, ხოლო სიტუაცია, სამიზნე სუბიექტის მოქმედების “ფონს” ქმნის, რომელშიც ქცევის შედეგი აისახება. ადამიანებს, ზოგადად, აქტიურობა, დინამიკურობა ასასიათებთ, ხოლო სოციალურად ისინი “საინტერესონი” არიან. სწორედ ეს თვისებები იძყრობენ, პირველ რიგში, დამკვირვებლის უურადღებას. ამის საპირისპიროდ, სიტუაცია, ხშირად შედარებით მყარი და ბუნდოვანია. ამასთან ერთად, დამკვირვებლი, როგორც წესი, სამიზნე სუბიექტის სურვილების, ინტერესების და ა.შ. დასადგენად დიდ გონებრივ ძალისხმევას ნაკლებად ხარჯავს და მისი ამგვარი დისპოზიციების ინტერპრეტაციას შედარებით ადვილად ახერხებს (ფსიქიკური რესურსის “ეკონომია”). საგულისხმოა აგრეთვე ფ. ჰეიდერის მოსაზრება, რომლის თანახმად, დისპოზიციონისტური დასკვნა “გულუბრყილი” ფაქტორული ანალიზისის მსგავსია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქცევების ფართო სფერო, ამ უკანასკნელის საფუძვლად მდებარე მცირე რაოდენობის ზოგადი ფაქტორების, ე.ო. დისპოზიციების გამოყენებით უნდა დახასიათდეს. მას მიაჩნია, რომ დისპოზიციონისტური დასკვნა, პრაგმატული თვალსაზრისით, საკმაოდ ხელსაყრელია და დამკვირვებლები მას ხშირად სწორედ ამიტომ მიმართავენ. აქ, საქმე “საჭირო” აზროვნების გარკვეულ სახესთან გვაქვს, რომლის მეშვეობით ადამიანს სხვისი სავარაუდო მოქმედების მეტნაკლებად დამაჯერებელი წინასწარმეტყველების შესაძლებლობა ეძლევა. ამ შემთხვევაში სახეზეა იმ სურვილის დაქმაყოფილების მცდელობა, რომელიც კონკრეტული პროგნოზის გამართლებასთან არის დაკავშირებული. ამის დამადასტურებლად ის გამოკლევები მეტყველებენ, რომელთა მიხედვით, როდესაც დამკვირვებლებში აქტუალიზირდება არსებული პირობების გაკონტროლების მოთხოვნილება (მაგალითად, დამკვირველის მიერ რაიმე შედეგის მიღწევა სამიზნე სუბიექტზეა დამოკიდებული), მაშინ დისპოზიციონისტური დასკვნის გამოტანის ტენდენცია ძლიერდება [23].

ზემონათქვამის გარდა საზღასასმელი შემდეგია. დისპოზიციონისტური მსჯელობა საკმაოდ დამაჯერებელი იმ შემთხვევაშია, როდესაც ინდივიდუალური სხვაობების შესახებ ინფორმაციის დაუფლება რეალურად არის სასარგებლო. მხედველობაში გვაქვს კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ადამიანის ქცევის სიხშირის შესახებ საბაზო (სტატისტიკურ-პრაქტიკული) ინფორმაციის დაუფლება. მაგალითად, ვარაუდი იმის შესახებ, რომ კონკრეტული X პიროვნება დღეს გასამართავ მეგობრულ ვახშამზე ბევრს ილაპარაკებს ფეხბურთის შესახებ, რომელიც ემყარება იმას, რომ ის თითქმის ყოველთვის ასე იქცევა (ცხოვრებისეული გამოც-

დილებით მოპოვებული საბაზო მონაცემი), საქმაო ალბათობით მართლაც სწორი აღმოჩნდება. სავსებით დასაშვებია, რომ პიროვნების თვისებათა შესახებ ცოდნის სარგებლიანობაში დარწმუნებულობა წარსულში მიღებული წარმატებული პროგნოზირების განზოგადებულ გამოცდილებაზეა დამყარებული. თავის მხრივ, სავარაუდოა, რომ წარმატებულ წინასწარმეტყველებათა გამოცდილების მოპოვება ერთი და იგივე სახის სიტუაციებში ქცევის სტაბილობის შესახებ ფაქტობრივი მონაცემების არსებობით არის განსაზღვრული.

სათანადო კვლევა-ძიებით ნაჩვენებია, რომ სიტუაციათაშორისი (შინაარსეულად განსხვავებული ვითარებები) ფორმის პროგნოზირება შესაძლოა საქმაოდ სასარგებლო აღმოჩნდეს. ზოგჯერ ისეთი პირობები იქმნება, რომლებშიც პიროვნულ თვისებებზე დამყარებული ვარაუდები რეალურად მართლდება. ამგვარი ხელშემწყობი პირობები შემდეგ შემთხვევებში წარმოიქმნება: პირველი, წარსულში განხორციელებული მრავალჯერადი და სხვადასხვა დაკვირვებათა ერთობლიობაზე დამყარებული წინასწარმეტყველება, რომელიც არა მომავალში განსახორციელებელ ქცევებზე და მათ შედეგებზე, არამედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედ გასაშუალებელ მონაცემზეა მიმართული; მეორე, წინასწარმეტყველება, რომელიც საგანგებო მოვლენების წარმოქმნას ან შედეგების მიღებას ეხება, ხოლო იმ ადამიანთა ქცევა, რომელთა პროგნოზირება ხდება, სხვა ადამიანების მოქმედებასთან შედარებით, წარსულში უფრო ექსტრემალური იყო; მესამე, როდესაც პროგნოზირების პროცესში ინდივიდთა ერთობლიობის საბაზო სიხშირეთა მონაცემები გათვალისწინებულია, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ეს სიხშირე აშკარად თვალშისაცემია და დამკვირვებლის მიერ გამოვლენილი სიტუაციური ზეწოლის უგულებელყოფა “დაუსჯელად,” ანუ გარკვეული დანაკარგის გარეშე არ ჩაივლის. ამდენად, როდესაც სახეზეა ამა თუ იმ მოქმედებაში ნამდვილი ინდივიდუალური განსხვავება, მაშინ სავარაუდოა, რომ პიროვნული თვისებების შესახებ გარკვეული ინფორმაციის არსებობა ქცევის წარმატებული პროგნოზირების საკმარისი საფუძველი გახდება. იმსაც ვერ გამოგრიცხავთ, რომ ამგვარი რამ ახალ სიტუაციებშიც გამოვლინდეს. ამავე დროს, თეორიულად იგულისხმება, რომ ასეთი პროგნოზის გამართლების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ დამკვირვებელი კარგად იცნობს სამიზნე სუბიექტს ან როდესაც სავარაუდო ქცევას ექსტრემული ხასიათი გააჩნია [2].

## დასკვნა

მკაცრად კონტროლირებადი მეცნიერული კვლევის მონაცემები საქმაოდ დამაჯერებლად იმაზე მიგვითოთებენ, რომ დისპოზიციონისტურ მსჯელობაზე (ძირითადი ყურადღების გამახვილება პიროვნულ თვისებებზე და სიტუაციური მახასიათებლების ფაქტობრივი უგულებელყოფა) დამყარებული კონკრეტული ადამიანის ახალ კონკრეტულ ვითარებაში მისი ქცევის პროგნოზირება, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა. ამგვარი დასკვნა, ზოგადად, ეჭვის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ ჩვენს ინტუიციურ შეხედულებათა მართებულობას, არამედ იმ მრავალრიცხოვანი პროცედურების და ტრადიციების სანდოობას, რომლებიც საქმაოდ ფართოდ გამოიყენება თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მხედველობაში გვაქს სხვადასხვა თრგანიზაციაში პროფესიული კადრების შერჩევა და განაწილება, პოლიტიკური პაქტობის პროცესში კანდიდატისთვის მკაფიოდ დამახასიათებელ პიროვნულ თვისებებზე მორგებული წინასაარჩევნო პროგრამები, ლიტერატურულ ნაწარმოებებში და ჟურნალისტიკის სფეროში გაბატონებული ტრადიციები, რომელთა თანახმად, “თანამედროვე” გმირი-პერსონაჟის მყარი ინდივიდუალური მახასიათებლების და მისი მოქმედების თვალსაჩინოდ უცვლელი ხასიათია განსაკუთრებით ხაზგასმული, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი და სხვების მოქმედებათა, ძირითადად, “თვალშისაცემი” პიროვნული თვისებების გამოყენებით დახასიათება. ამჟამად კი, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ამ პროცედურების და ტრადიციების მნიშვნელობა შემდეგი გარემოების გამო ფრიად საჭირო გახდა: სანდო და ვალიდური ემპირიული მონაცემების თანახმად, სხვადსხვა სიტუაციაში ადამიანის ქცევის სიმყარე, მისი შინაგანი შეთანხმებულობა აშკარდ მცირე აღმოჩნდა (დისპოზიციონისტური მსჯელობის უარყოფითი შედეგი). ამავე დროს, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს, ჩვეულებრივ, შეზღუდული რაოდენობის და მრავალჯერ განმეორებად სიტუაციებში უხდება მოქმედება. სწორედ ამის გამოა, რომ სხვისი ქცევის თვალშურისდევნება მისი პროგნოზირების პროცესში დამკვირვებლის დასაყრდენი იმთავითვე ის ვარაუდი გახდავთ, რომ სხვა სიტუაცია ამჟამინდელისგან არ იქნება დიდად განსხვავებული

და სამიზნე სუბიექტის ქცევის დეტერმინაციაში მისი პიროვნული თვისებები თვალსაჩინო წვლილს შეიტანებ. ეს გარემოება, წმინდა პრაგმატული თაღსაზრისით, დამკვირვებლის მიერ ქცევის შედარებით წარმატებული პროგნოზირების და სხვებთან მეტნაკლებად ქმედითი ურთიერთობის დამყარების საფუძვლად გვევლინება (დისპოზიციონისტური მსჯელობის პოზიტიური მხარე).

### ბამოყვებული ლიტერატურა

1. ჩარკვიანი დ. 2004. ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, “ენა და კულტურა”.
2. Росс Л., Нисбетт Р. 1999. Человек и ситуация. Москва, “Аспект пресс”.
3. Ross L. 1997. The Intuitive Psychologist and His Shortcomings. In L. Bercovitz (Eds.) Advances in Experimental Social Psychology. pp.173-290.
4. Jones E., Harris E. 1967. The Attribution of Attitudes. Journal of Experimental Social Psychology, 3. pp. 173-290.
5. Ross L., Amabile T., Steinment J. 1977. Social Roles, Social Control and Biases in Social Perception. Journal of Personality and Social Psychology, 35. pp. 485-494.
6. Gilbert D. 1991. How Mental Systems Believe. American Psychologist, 46. pp. 107-119.
7. უზნაძე დ. 1966. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, “მეცნიერება”.
8. Брунер Дж. 1977. Психология познания. Москва, “Прогресс”.
9. Jucoby D., Toth J., Lindsay S., Debner J. 1992. Lectures for Lay-person: Methods for Revealing Unconscious Processes. In R. Borneststein, T. Pittman (Eds.) Perception without Awareness. N.Y.: Guilford Press, pp. 81-120.
10. Канеман Д., Словик Г., Тверски А. 2005. Принятие решений в неопределенности. Харьков, “Гуманитарный центр,” 1991-208.
11. Ross, L., Green, D., House, P. 1977. The “False Consensus Effect”: An Egocentric Bias in Social Perception and Attribution Processes. Journal of Experimental Social Psychology, 13. pp. 279-301.
12. Sherman, S. 1980. On the Self-Erasing Nature of Errors of Prediction. Journal of Personality and Social Psychology, 39. pp. 211-221.
13. Stricland, L. 1958. Surveillance and Trust. Journal of Personality, pp. 200-215.
14. Dunning D., Griffin D., Milojkovic J., Ross L. 1990. The Overconfidence Effect in Social Prediction. Journal of Personality and Social Psychology, 58. pp. 568-581.
15. ჩარკვიანი დ. 2004. განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებათა მიღების ფსიქოლოგიური თვისებურებები დ. კანემანის და ა. ტვერსკის მიხედვით. ურნალი ”ეპოქა”, საზოგადოებრივი მეცნიერებები, 4. თბილისი, გვ. 87-96.
16. Hogarth R. 1981. Beyond Discrete Biases: Functional and Dysfunctional Aspects of Judgmental Heuristics. Psychological Bulletin, 90. pp. 197-217.
17. Snyder M., Ickes W. 1985. Personality and Social Behavior. In C. Lindzey, E. Aronson (Eds.) Handbook of Social Psychology. Hillsdale, N.Y.: Erlbaum. pp. 883-947.
18. Gilbert D., Jones E. 1986. Perceiver-induced Constraint: Interpretations of Self-Generated Reality. Journal of Personality and Social Psychology, 50. pp. 269-280.
19. Lepper M., Green D., Nisbett R. 1973. Undermining Children’s Intrinsic Interest with Extrinsic Rewards: A test of the “overjustification” hypothesis. Journal of Personality and Social Psychology, 28. pp. 129-137.
20. Wachtel P. 1973. Psychodynamics Behavior Therapy and the Implacable Experimenter: An Inquiry into the Consistency of Personality. Journal of Abnormal Psychology, 82. pp. 324-334.
21. Swan W. Quest for Accuracy in Person Perception: A Matter of Pragmatics. Psychological Review, 91. pp. 457-477.
22. Heider F. 1958. The Psychology of Interpersonal Relations. N.Y.: Wiley.
23. Miller A., Ashton W., Mishel M. 1990. Beliefs Concerning the Features of Constrained Behavior: A Basis for the Fundamental Attribution Error. Journal of Personality and Social Psychology, 59. p. 63.

გიორგი გოროშიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანური ომსურსების მართვის ეფექტიანი მოდელის ფორმირების  
პერსპექტივები ძართულ ორანზაციულ კულტურაში

ცნობილია, რომ ყოველ ორგანიზაციას ქმნის ადამიანთა ჯგუფი, რომელთა ერთობლივი და კოორდინირებული საქმიანობა მიმართულია საერთო მიზნების მიღწევაზე. ადამიანთა საქმიანობის ასეთი კოორდინაციის აუცილებლობამ განაპირობა მართვის შესახებ მეცნიერების - მენეჯმენტის - წარმოშობა, რომლის ფარგლებშიც ადმიანური რესურსების მართვა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ადმიანური რესურსების მართვა ხორციელდება სამ დონეზე: 1. პროცესების დონეზე (კომუნიკაცია, კონფლიქტები, მოტივაცია, კონტროლი, მართვის ოპტიმიზაცია); 2. ადამიანის დონეზე (პიროვნების უნარები და თვისებები, ადამიანისთვის მისი შრომის შედეგების მნიშვნელობა, ურთიერთობა ადამიანსა და ორგანიზაციას შორის); 3. ორგანიზაციის დონეზე (ორგანიზაცია როგორც რთული დია სისტემა, ორგანიზაცია როგორც სოციალური სისტემა, შრომის სამართლებრივი პირობები). სამივე დონეზე ადმიანური რესურსების მართვის მეცნიერულმა შესწავლამ განიცადა ისეთი ევოლუცია, რომელშიც გამოხატულია დიდი დაინტერესება ადამიანთა შრომითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებით. ამ მხრივ მეცნიერთა მიერ შემუშავებული იქნა მთელი რიგი თეორიებისა, რომლებიც კლასიფიცირდებიან ოთხ ჯგუფად: 1. კლასიკური თორიები; 2. ადამიანურ ურთიერთობათა თეორიები; 3. ადამიანური რესურსების თეორიები; 4. თანამედროვე თეორიები.

„კლასიკური თეორიები“ ვითარდებოდა 1880-1930 წლებში. ამ დროს ყველაზე მეტად გამოიჩეოდა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სკოლის ამერიკული მიმართულება, რომლის ფუძემდებლად აღიარებულია ფ. ტეილორი. ამ მიმართულების მთავარი საზრუნავი იყო ის, თუ როგორ ეძულებინათ ადამიანი ან რა უნდა გაპეტებულიყო აუცილებლად იმისთვის, რომ ადამიანებს ემუშავათ მეტი უკუგებით. შემუშავებული იქნა რიგი ორგანიზაციული დონისძიებებისა, შრომის დიფერენცირებული ანაზღაურების წესი და სახელმძღვანელო პრინციპად მიიღებოდა „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელი, რომლის მიხედვითაც ითვლებოდა, რომ ადამიანები სამუშაოში ხელფასის მიღების გარდა სხვა აზრს ვერ ხედავენ. მომუშავეთა ინდივიდუალური თავისებურებების მხედველობაში მიღება პრაქტიკულად არ ხდებოდა. ფ. ტეილორის იდეების გამგრძელებლები იყვნენ ფ. გილბრეტი და პ. ემერსონი, რომლებიც ასევე მთავარ ყურადღებას აქცევდნენ მომუშავის ფიზიკური კომფორტის შექმნას კარგად ორგანიზებული საწარმოო პროცესის პირობებში. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სკოლის ეკროპულმა მიმართულებამ პ. ფაიოლის (საფრანგეთი) თაოსნობით განავითარა ეს სწავლება მასში ისეთი ფაქტორების შემოტანით, როგორებიცაა: შრომის დანაწილება, ხელმძღვანელის ავტორიტეტი, დისციპლინა, კოლექტიური ინტერესების პრიორიტეტულობა, დაჯილდოვების სამართლიანობა და ა.შ. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სკოლის ამერიკული მიმართულებისგან განსხვავებით, ეკროპულში მთავარი აქცენტი კეთდებოდა მომუშავებისთვის არა ფიზიკური, არამედ მორალური კომფორტის შექმნაზე.

მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში აშშ-ში პერსონალის მართვის სფეროში დაიწყო ჩამოყალიბება ისეთმა მიღომებმა, რომლებიც უფრო მეტი სენსიტიურობით გამოირჩეოდნენ „ადამიანური ფაქტორის“ მიმართ. დღის წესრიგში დადგა ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთობებში მკვეთრი გამიჯვნის მოხსნის აუცილებლობის საკითხი, რომელიც იყო დამახასიათებელი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სკოლისთვის. საჭიროდ ჩაითვალა ხელმძღვანელებსა და მომუშავებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა. ყველაზე უფრო სრულყოფილად ასეთი მიღომა რეალიზებული იყო „ადამიანური ურთიერთობების თეორიაში“, რომელმაც გამოყენება პოვა 1930-1950-იან წლებში. ამ თეორიის ფუძემდებელია ამერიკელი ფსიქოლოგი ე. მეიო. მისი კონცეპციის არსი შემდეგშია: მუშაობას ადამიანისთვის აქვს უფრო ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას სამსახურში. ყველა სამ-

სახურებრივი პრობლემა უნდა განიხილებოდეს ადამიანური ურთიერთობების პოზიციიდან გამომდინარე. ქ. პოტორნში მის მიერ ჩატარებულმა ცნობილი ექსპერიმენტების სერიამ ცხადყო, რომ სამუშაოთი კმაყოფილება არ დაიყვანება მხოლოდ მაღალი ხელფასის მიღებაზე. ეფექტიანი მუშაობის მოტივად გვევლინება ვითარება შრომით კოლექტივში, კარგი ურთიერთობები მომუშავებს შორის. მის მიხედვით: 1. მკაცრი ბიუროკრატიული დაქვემდებარების სისტემა შეუთავსებელია ადამიანის ბუნებისთვის; 2. ხელმძღვანელობა უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული ადამიანებზე და არა პროფესიაზე. ე. მეოთს აზრით ორგანიზაციის ეფექტიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომუშავეთა არაფორმალურ ურთიერთობებს. „ადამიანური ურთიერთობების თეორია“ განვითარა რ. ლაიკერტმა და შეიმუშავა ხელმძღვანელობის სტილების თეორია. მან გამოყო ხელმძღვანელობის 4 სტილი, რომელთაგან დემოკრატიულ სტილს მიანიჭა ყველაზე დიდი მნიშვნელობა, როგორც ორგანიზაციის ეფექტიანობის მიღწევის საუკეთესო საშუალებას.

1960-იანი წლებიდან აქტუალური ხდება „ადამიანური რესურსების თეორია“, რომლის მთავარი იდეას წარმოადგენდა ის, რომ აუცილებელია არა ადამიანის ცნობიერების შესწავლა, არამედ მისი ქცევის შესწავლა. ადამიანის ქცევა წარმოადგენს რეაქციას სტიმულზე და, შესაბამისად, დადებითი სტიმულების განხეორება ამჟარებს დადებით ქცევას. ეს ბიპევიორისტული მიღვონა გადატანილი იყო მენეჯერისა და მომუშავის ურთიერთობებზე. იგი მიზნად ისახავდა ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლების მიღწევას ადამიანური რესურსების მაქსიმიზაციის საფუძველზე. ამ სკოლის ფუძემდებელი ჩ. ბერნარდი მიიჩნევს, რომ მმართველის ფუნქციებში უნდა შედიოდეს შემდეგი: 1. ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ახდენენ პერსონალის საქმიანობის სტიმულირებას; 2. ორგანიზაციის შიგნით უნდა ფუნქციონირებდეს კარგად გათვლილი კომუნიკაციის სისტემა და ა.შ. ამ სკოლის წარმომადგენლების მიერ ითვლება, რომ შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულებაში წამყვანი როლი ენიჭება მოტივაციას. დადებითი მოტივაცია არის სამუშაოს წარმატებით შესრულების მთავარი ფაქტორი. ეს ასაქექტი გამდიდრებული იქნა ცნობილი მეცნიერების მიერ: ა. მასლოუ (მოთხოვნილებათა იერარქიული თეორია), ფ. პერცეპტორი (მოტივაციის ორფაქტორიანი თეორია), დ. მაკ გრეგორი (თეორიები X და ) და სხვ.

80-იანი წლებიდან გავრცელებას პოულობს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე თეორიები, რომელთაგან აღსანიშნავია „ადამიანური კაპიტალის თეორია“ და „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის თეორიები“. „ადამიანური კაპიტალის თეორიის“ ერთერთი ფუძემდებლის ტ. შულცის მიხედვით აშშ-ს ეკონომიკის შესწავლა საფუძველს იძლევა ვამტკიცოთ, რომ ადამიანური კაპიტალისგან მიღებული შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკური კაპიტალისგან. მისი გათვლების მიხედვით განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა მოახდიონ ინვესტირება, უპირველეს ყოვლისა, ჯანდაცვაში, განათლებაში და მეცნიერებაში. „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის თეორიებიდან“ ყველაზე უფრო გამორჩეულად ითვლება „პარვარდის სკოლა“ (მ. ბირი, პ. ბოქსალი, დ. გესტი და სხვ.), რომლის წარმომადგენლები ამტკიცებენ იმის აუცილებლობას, რომ ადამიანთა მიმართ უნდა იყოს გამოყენებული განსაკუთრებული მიღგომა, რომელიც გათვლილი იქნება ხანგრძლივ პერსპექტივაზე. ადამიანები უნდა აღიქმებოდნენ, როგორც პოტენციური აქტივები და არა როგორც ცვალებადი დანახარჯები [3], [4], [7], [11].

ადამიანური რესურსების მართვის განსაკუთრებულ ნაირსახეობას წარმოადგენს იაპონური მიღგომა - „ადამიანის მართვა“ (human being management), რომლის ფუძემდებელიც არის იაპონური მენეჯმენტის ცნობილი ლიდერი კ. მაცუსიტა. მისი კონცეპციის მიხედვით ადამიანი წარმოადგენს ორგანიზაციის მთავარ სუბიექტს და მართვის განსაკუთრებულ ობიექტს, რომელიც არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც „რესურსი“. ორგანიზაციის სტრატეგია და სტრუქტურა უნდა აიგებოდეს ადამიანის სურვილებიდან და უნარ-შესაძლებლობებიდან გამომდინარე. იაპონური მენეჯმენტის მეორე ცნობილმა ლიდერმა უ. ოუჩიმ გააგრძელა დ. მაკ გრეგორის (X და Y თეორიების ავტორის) მიერ დაწყებული სამუშაო და სრულყოფილად ჩამოაყალიბა Z თეორია, რომელიც ფართო გამოყენებას პოულობს იაპონურ მენეჯმენტში. ამ თეორიის მთავარ განმასხვავებელ თავისებურებად ითვლება მომუშავეთა მოტივირების კოლექტიური პრინციპები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომუშავეთა მოტივაციაზე ზეგავლენას უნდა ახდენდნენ მთლიანად ორგანიზაციის ღირებულებები. თანამშრომლებში ორგანიზაციის ღირებულებების ჩანერგვა და განმტკიცება უნდა ხდებოდეს ურთიერთობების და

სამუშაოების სწორი ორგანიზების მეშვეობით, საერთო მიზნებისადმი და კოლექტივისადმი ერთგულების სტიმულირებით. ზოგი აღმოჩენის მიზნები და მიზანები არ გამოიყენება მუშაობას ჯგუფში და აგრეთვე აქვს სტაბილური მიზნები დროის ხანგრძლივ პერსპექტივაში [6], [9], [10].

თუ გავადგვნებოთ თვალს ადამიანური რესურსების მართვის თეორიების ევოლუციის პროცესს, მასში მკაფიოდ იკვეთება ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანთა მიმართ დამოკიდებულებებში ჰუმანური ტენდენციების განცხოველი ზრდა. ცხადია, ეს ტენდენციები არ გამომდინარეობს მხოლოდ მაღალი ადამიანური იდეალების დაცვის მიზანშეწონილებიდან, არამედ უფრო მეტად განპირობებულია პრაგმატული ინტერესებით, რაც ორგანიზაციების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას გულისხმობს [5]. ეს ტენდენციები კარგად გამოვლინდა ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე თეორიებიდან „ჰარფარდის სკოლაში“, ხოლო თავის კულტივიას მიაღწია იაპონურ მენეჯმენტში.

განვითარებადი ქვეყნები, რომელთა რიცხვს საქართველოც განეკუთვნება, სწრაფი განვითარებისთვის მწვავედ საჭიროებებს ადამიანური რესურსების მართვისადმი ზემოაღწერილი ყველაზე ეფექტიანი მიღვიმების გაზიარებას და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით მათ ჩართვას ორგანიზაციების მართვის პროცესებში, ვინაიდან სწორედ ასეთ მიღვიმებშია მოცემული განვითარებისთვის აუცილებელი ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების შესაძლებლობები.

საქართველოს მრავალ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის სფეროში ბოლო ათწლეულის მანძილზე აღინიშნება არასახარბიელო ვითარება. ხშირია კვალიფიციური კადრების შევიწროების და ორგანიზაციებიდან განდევნის ფაქტები, შრომით კოლექტივებში იშვიათობას წარმოადგენს პარმონიური და თანამშრომლური გარემო. აღინიშნება დაბაზულობა ურთიერთობებში მომუშავეთა შორის, რაც სხვადასხვა ინტენსიონის კონფლიქტების გამომწვევია და ა.შ. ყოველივე ეს ძლიერ აფერხებს ორგანიზაციების და ზოგადად საზოგადოების განვითარების ტემპებს. აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება ორგანიზაციებში იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც წარმოადგენს მსგავსი ნეგატიური პროცესების გამომწვევ მიზეზებს, რათა შესაბამისი სამუშაოების ჩატარებით მოხდეს არსებული ვითარების გამოსწორებისთვის სათხადო გზების დასახვა.

ამ მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა თბილისის 20 ორგანიზაციაში (ქეთევან პაიჭაძესთან თანამშრომლობით). ამ ორგანიზაციებიდან 5 იყო სახელმწიფო დაწესებულება, 8 - კერძო კომპანია, 7 - კომერციული ბანკი. კვლევა მიზნად ისახავდა ორგანიზაციებში კონფლიქტების გამომწვევი ვაქტორების შესწავლას და ორგანიზაციული კლიმატის ტიპიური სურათის გამოკვეთას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის 120-მა თანამშრომელმა. გენდერული შემადგენლობა: ქალი - 70, კაცი - 50. რესპონდენტთა საშუალო ასაკი იყო 27 წელი. მინიმალური ასაკი - 20 წელი, ხოლო მაქსიმალური ასაკი - 60 წელი. კვლევაში გამოყენებული იყო კ. ოომასის „კონფლიქტური ქცევის სტილის“ საკვლევი 30 პუნქტიანი კითხვარი (სტრატეგიები: დაპირისპირება, კომპრომისი, შეგუბა, განრიდება, თანამშრომლობა) და „ორგანიზაციული კლიმატის“ საკვლევი 16 პუნქტიანი კითხვარი, რომლითაც სწარმოებდა ორგანიზაციული კლიმატის შეფასება შემდეგი ფაქტორების მიხედვით: 1. ლიდერობის სტილი; 2. მუშაკთა მოტივაცია; 3. კომუნიკაცია; 4. თანამშრომელთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში; 5. ორგანიზაციის მიზნების დასახვა; 6. სამუშაოს კონტროლი [8], [12].

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზისას შემოვიფარგლებით საშუალო სიდიდეებით და მათი ურთიერთშედარებით, რომელთა სტატისტიკური სანდოობაც მოქცეულია ვარიაციის კოეფიციენტისთვის დადგენილ ფარგლებში. ამ საშუალო სიდიდეებით შესაძლებელი გახდა რომ დადგენილიყო ორგანიზაციული პროცესების ზოგადი სურათი და გამოკვეთილიყო ძირითადი ტენდენციები.

„კონფლიქტური ქცევის სტილის“ საკვლევ კითხვარში თითოეული სტრატეგიისთვის დასაგროვებელი ქულების მაქსიმალური რაოდენობა არის 12, რომლის მიღწევაც იშვიათად

ხდება სხვა სტრატეგიებზე მათი გადანაწილების გამო. ჩვენი კვლევის მიხედვით რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ განრიდების სტრატეგიას ( $M=7.05$ ). როდესაც ადამიანი კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის ამ სტრატეგიას ირჩევს, მისთვის დამახასიათებელია როგორც კოოპერაციისაკენ სწრაფვის არარებობა, ისე საკუთარი მიზნებისათვის ბრძოლის ტენდენციის უქონლობაც. ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მისი განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობებიდან მთავარი თანამშრომლობაა - ეს სტრატეგია ვერ იქნება უფექტიანი. სხვა მხრივ, განრიდებამ ორგანიზაციაში შესაძლოა თანამშრომლების კოოპერირებულობასაც კი შუწყოს ხელი, თუმცა ეს მხოლოდ არაარსებითი პრობლემების წარმოშობის შემთხვევებში იქნება მიზანშეწონილი. ხშირად მეტი მნიშვნელობის შემთხვევების აღმოცენებისას კონფლიქტისგან განრიდებით მისი მოგვარება შეუძლებელი ხდება. მეტიც, ამას შესაძლოა უარესი შედეგები მოჰყვეს და დაგროვებულმა ნებატიურმა მუხტმა გაუთვალისწინებელ მომენტში “ამოხუთქოს”, რაც თანამშრომელთა მუშაობის დეზორგანიზების საშიშროებას ქმნის. განრიდების შემდეგ გავრცელებული სტრატეგია აღმოჩნდა კომპრომისი ( $M=6.73$ ). კომპრომისის შემთხვევაში კონფლიქტის ორივე მხარეს უწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა და საკუთარ გეგმებზე ნაწილობრივ უარის თქმა, რათა კონფლიქტის გადრმავებას აარიდონ თავი. ეს სტრატეგია ორივე მხრიდან დათმობების გამო კოლექტივისთვის გარკვეულ დანაკარგებობა არის დაკავშირებული და საუკეთესო სტრატეგიად ვერ ჩაითვლება. რიგით მესამე ადგილზეა შეგუების სტრატეგია ( $M=5.43$ ), თუმცა იგი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო. თანამშრომლობა ( $M=5.41$ ) იკავებს მეოთხე ადგილს, რომელიც კ. თომასის აზრით, ქცევის ყველაზე უფრო საუკეთსო სტრატეგიას წარმოადგენს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების დროს, ვინაიდან კონფლიქტში მონაწილე ადამიანები მიღიან იმ გადაწყვეტილებამდე, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ორივე მხარის ინტერესები. დაპირისპირების სტრატეგიას აქვს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ( $M=5.39$ ). მართალია, ბოლო სამი სტრატეგიის მაჩვენებლებს შორის განსხვავებები ძალზე მცირეა, მაგრამ მათი თანმიმდევრობა ცოტაოდენ მაინც მიგვანიშნებს გავრცელებული ტენდენციების თავისებურებაზე. დაპირისპირების სტრატეგიის არჩევისას ადამიანები ისწრაფიან იმისაკენ, რომ მიაღწიოს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას სხვისთვის ზიანის მიუენების ფასად. ამ სტრატეგიის დაბალი მაჩვენებელი ხელს უწყობს ორგანიზაციაში პოზიტიური ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას. მაგრამ, როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, იგი სასურველზე უფრო მაღალ ნიშნულზე იმყოფება და არ უწყობს ხელს ორგანიზაციის თანამშრომელთა შორის პოზიტიური ურთიერთობების განვითარებას, რაც, თვის მხრივ, ეფექტიანობის მაჩვენებლებზე უარყოფითად აისახება. რაც შეეხება შეგუებას, მისი დაბალი და არა სანდო მაჩვენებელი შეიძლება განვიხილოთ როგორც სუსტი ტენდენცია. იგი კ. თომასის მიხედვით გულისხმობების იმას, რომ ოდონდ ადამიანმა აარიდოს თავი დაძაბულობას და თანახმა, რომ დათმოს თავისი ინტერესები სხვის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ დაძაბულობის ამგვარად თავიდან არიდება, ერთის მხრივ, სიკეთის მომტანია, თუმცა, მეორეს მხრივ, შესაძლოა კონკრეტულ მომუშავეს პიროვნული უნარების და შესაძლებლობების გამომდავნება შეუზღუდოს, რაც ერთობლივი საქმიანობისთვის გარკვეული დანაკარგის მომტანი იქნება. ამდენად, შედარებით დაბალი მაჩვენებელი ამ ფაქტორზე, გამოვლენილი სუსტი ტენდენციის სახით, უფრო დადებით მოვლენად უნდა იქნეს შეფასებული.

ორგანიზაციული კლიმატის საკვლევი კითხვარით გამოკითხვა ჩატარდა იგივე თანამშრომლებზე. ზოგადად, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ გამოკვლეული ორგანიზაციების რესპონდენტთა მთელი პოპულაციიდან მიღებული შეფასებების გაანალიზების საფუძველზე დგინდება ორგანიზაციული კლიმატის ნებატიური მხარეები, რაც ითხოვს ამ ორგანიზაციებში ადეკვატური ლონისძიებების გატარებას ვითარების გაუმჯობესების მიზნით. შესწავლილი იქნა ორგანიზაციული კლიმატის ამსახველი 6 ფაქტორი (ლიდერობის სტილი, მუშაკთა მოტივაცია, კომუნიკაცია, თანამშრომელთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, ორგანიზაციის მიზნების დასახვა, სამუშაოს კონტროლი), რომელთაგან მაღალი მონაცემი თითოეულ მათგანზე ორგანიზაციული კლიმატისთვის პოზიტიური პროცესის მეტი ინტენსიობის გამომხატველია. როგორც კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, შეფასებები ორგანიზაციული კლიმატის ყველა ფაქტორისთვის საშუალოს ( $M=2$ ) ირგვლივ დაჯგუფდა (კითხვარის ყოველი პუნქტისთვის მაქსიმალური შეფასება არის 4, შესაბამისად საშუალო შფასება არის 2). ამდენად, გამოკვლეული ორგანიზაციები ავტონომიური კლიმატის საშუალო დონეს, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მათში სასურველი ფსიქოლოგიური

კლიმატი და შეუფერხებელი განვითარების პროცესის არსებობა არ დასტურდება. გამოიკვეთა გარკვეული სხვაობები ფაქტორების პრიორიტეტულობის თვალსაზრისით.

შესწავლილი ფაქტორები პრიორიტეტულობის მიხედვით შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდეს: კომუნიკაცია ( $M=2.27$ ), ლიდერობის სტილი ( $M=2.22$ ), მოტივაცია ( $M=1.77$ ; არ არის სტატისტიკურად სანდო), ორგანიზაციის მიზნების დასახვა ( $M=1.70$ ), სამუშაოს კონტროლი ( $M=1.52$ ; არ არის სტატისტიკურად სანდო) თანამშრომელთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში ( $M=1.06$ ). რაც შეეხება მოტივაციის და სამუშაოს კონტროლის მაჩვენებლებს, სტატისტიკური არასანდონობის გამო მათზე შეიძლება საუბარი მხოლოდ როგორც სუსტი ტენდენციების შესახებ.

როგორც შედეგებიდან ჩანს, გამოკითხულთა შორის პრიორიტეტულობის მიხედვით ყველაზე უფრო გამორჩეული აღმოჩნდა ორგანიზაციული კლიმატის 2 ფაქტორი - კომუნიკაცია და ლიდერობის სტილი. ერთის მხრივ, მათი შედარებით მაღალი მაჩვენებლები ორგანიზაციული კლიმატის პოზიტიურობის სასარგებლოდ მეტყველებს. ხოლო, მეორეს მხრივ, გადაწყვეტილების მიღებაში თანამშრომელთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი წინააღმდეგობაში მოდის ლიდერობის სტილის უფრო მაღალ მაჩვენებელთან. მაშინ, როდესაც ისინი ორივე დემოკრატიულობის ხარისხის ამსახველი ფაქტორობია. უნდა ვიფიქროთ, რომ დემოკრატიულობის მეტი ხარისხი ლიდერობის სტილის შემთხვევაში გამოვლენილია ადამიანებს შორის ურთიერთობების ასკექტში, ხოლო გადაწყვეტილების მიღებაში თანამშრომელთა მონაწილეობის შემთხვევაში საქმე გვაქვს დემოკრატიულობის საგრძნობლად ნაკლები ხარისხის გამოვლენასთან შრომით საქმიანობის სფეროში. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ გამოკვლეულ ორგანიზაციებში რეალური („საქმიანი“) დემოკრატიული პროცესი სასურველზე უფრო ნაკლები დოზით არის განხორციელებული. ისიც უნდა ითქვას, რომ შედეგების მიხედვით ზოგადად ხელმძღვანელები უფრო დაღებითად აღიქვამენ და აფასებენ თავიანთ ორგანიზაციულ კლიმატს, ვიდრე მათი დაქვემდებარებულები. როგორც ჩანს, მართვის დემოკრატიული სტილი ხსენებული ორგანიზაციისთვის ნაკლები მნიშვნელობის მქონე აქტივობებში უფრო ადვილად ხორციელდება. ამდენად, იგი უფრო ფასადურია ვიდრე ფაქტორბრივი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნულადაც კეთდებოდეს.

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გაგვერკვია ის, თუ როგორი ორგანიზაციულ კლიმატია უფრო გავრცელებული ქართულ ორგანიზაციებში და რა ხასიათის კონფლიქტურ სიტუაციებთან თანაარსებობს იგი. ორგანიზაციული კლიმატის უპირატესად საშუალო დონე, რომელიც დგინდება ორგანიზაციებში, მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათში ბევრი რამაა გასაკეთებელი სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ვინაიდან პოზიტიური ორგანიზაციული კლიმატის მაღალი დონე განსაზღვრავს შრომის უკეთეს შედეგებს და აუმჯობესებს ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლების პერსპექტივებს, რაც მრავალ სხვა მეცნიერულ კვლევებშიც არის დადასტურებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იყერობს გადაწყვეტილების მიღებაში თანამშრომელთა მონაწილეობის და მათი მოტივაციის მაჩვენებელთა საგრძნობი ამაღლების საჭიროება (მათი დაბალი მაჩვენებლების გამო), რომელთაც შეუძლიათ ძლიერი ბიძგის მიცემა ორგანიზაციის განვითარების პროცესისთვის. ამის მაგალითები განვითარებული ქვეყნების მმართველობით პრაქტიკაში არაერთი არსებობს. რაც შეეხება კონფლიქტურობის მაჩვენებლებს, როგორც აღმოჩნდა, გამოკვლეულ ორგანიზაციებში უფრო მეტად არის გავრცელებული კონფლიქტისგან განრიცების სტრატეგია, რომელიც პერსპექტივაში უფრო ღრმა კონფლიქტის წარმოშობის საშიშროებას შეიცავს, რაც რიგი ორგანიზაციებისთვის დამანგრევებულიც კი შეიძლება აღმოჩნდეს. სამაგიეროდ უკანა პლანზე გადაწეული თანამშრომლობის სტრატეგია, რომელსაც აკისრია ის ფუნქცია, რომ თანამშრომლების ძალთა კონსოლიდაციის გზით ხელი შეუწყოს ორგანიზაციის წინსვლას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას. როგორც ირკვევა, ამ მხრივაც ხსენებულ ორგანიზაციებში არ არის სახარბიელო სიტუაცია.

როგორც ზემოთ აღწერილი ვითარებებიდან ჩანს, ჩვენს სინამდვილეში ფუნქციონირებად ორგანიზაციებში ადამიანური რესურსები არ არის სათანადო ეფექტიანობით გამოყენებული, რაც ორგანიზაციების განვითარების დაბალ ტემპებს განაპირობებს. ორგანიზაციების გან-

ვითარება კი მთლიანად საზოგადოების და ქვეყნის განვითარების მძლავრი ბერკეტია. ორგანიზაციები ქმნიან იმ პროდუქტებს, რომლებითაც საზოგადოება იმაღლებს თავის კეთილდღობას. უკვე არსებული მეტარიალური ბაზის პირობებშიც კი ადამიანური რესურსების მართვის წარმატებული მოდელების გამოყენებით ორგანიზაციების განვითარებისთვის ხელშეწყობა ძლიერი იმპულსი შეიძლება აღმოჩნდეს საზოგადოებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის. რაც უფრო წარმატებული მოდელი იქნება გამოყენებული, მით უფრო მეტად აისახება ეს საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების ტემპებზე. ამ თვალსაზრისით ადამიანური რესურსების მართვის ყველაზე უფრო გამორჩეულ მოდელად, გავრცელებული ადმინისტრაციული (ამერიკული) მოდელის სანაცვლოდ, იაპონური მოდელი უნდა ჩაითვალოს, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია რაც მთელი მსოფლიოს წინაშე ადასტურებს თავის მოწინავეობას და ევექტიანობას. ჩვენ მიერ ჩატარებული სხვა გამოკვლევების მიხედვით აღინიშნება გარკვეული მსგავსება ქართული და იაპონური კულტურების თავისებურებებს შორის (კოლექტივიზმი, მასკულინობა და სხვ.), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მართვის იაპონური მოდელის რიგი ელემენტების დანერგვა ჩვენ სინამდვილეში არ უნდა იყოს დაკავშირებული დიდ სირთულეებთან და სიძნეებთან. სამაგიეროდ ორგანიზაციებს და ზოგადად საზოგადოებას მიეცემა განვითარების ახალ და საინტერესო ეტაპზე გადასვლის ფართო შესაძლებლობები [1], [2].

იაპონურ მენეჯმენტი აქცენტი ძირითადად კეთდება ადამიანური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. ეს ურთიერთობები გულისხმობს: ურთიერთშეთანხმებულობას, ორიენტაციას ჯგუფურ ინტერესებზე, დასაქმების სტაბილურობას, პარმონიულ ურთიერთობებს მომუშავესა და ხელმძღვანელს შორის და ა.შ. ამან განაპირობა ქვეყნის არნახული განვითარება, ცნობილი “იაპონური სასწაულის” სახელით. იაპონურ მენეჯმენტში ადამიანური რესურსების მართვა ყველაზე მაღალ პრიორიტეტად არის აღიარებული.

იაპონური მენეჯმენტის ფილოსოფიაში განცხადებულია, რომ მათ მთავარ რესურსს ადამიანები წარმოადგენენ. იაპონია, როგორც ბუნებრივი რესურსების არმქონე ქვეყანა, მთელ იმედებს ამყარებს ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებაზე. სწორედ ამ მიზნით იქმნება შრომის ისეთი პირობები, რომლებშიც მომუშავებისთვის ჩნდება შრომის დიდი გარანტიები, პროფესიული და პიროვნული ზრდის კარგი შესაძლებლობები, მათ უმაღლედებათ შრომითი მოტივაცია, უძლიერდებათ ორგანიზაციისადმი ერთგულების განცდა, გააჩნიათ ორგანიზაციის წარმატებისთვის ძალისხმეულის უშურველად გაღების მზაობა და ა.შ. ყოველივე ამან შეაძლებინა იაპონიას რომ გამხდარიყო მსოფლიოში ყველაზე დაწინაურებული ქვეყანა. ეს კი გახდა იმის საფუძველი, რომ დღეს მრავალი ქვეყანა ცდილობს მართვის იაპონური მოდელის გადაღებას მეტ-ნაკლები სისრულით. ამ მხრივ არც საქართველო უნდა იყოს გამონაკლისი, ვინაიდან იაპონიის მსგავსად საქართველოც ურესურსო ქვეყანას წარმოადგენს და უმთავრესად ადამიანური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების შეშვეობით შეიძლება განახორციელოს წინსვლა და განვითარება.

ამრიგად, ადამიანური რესურსების მართვის იაპონური მოდელი გვევლინება ყველაზე უფრო გამოსადგებ მიღვომად, რომელსაც ძალუს სტაგნაციაში მყოფ საქართველოს მისცეს განვითარების ძლიერი იმპულსი. ცხადია, სრულად მისი გადმოღება შეუძლებელი ამოცანაა კულტურათა სპეციფიკურობის გამო, მაგრამ მასში არის ისეთი ელემენტები, რომლებიც თავისუფალია ამ სპეციფიკისათვის, კერძოდ: სტაბილური შრომის გარანტიები, სოციალური გარანტიები, დაწინაურების გარანტია, მოტივაცია, შრომაში ჩართულობა, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა (რეალური დემოკრატია), უბარიერო კომუნიკაცია, თნამშრომლური ატმოსფერო და სხვ. იაპონურ ორგანიზაციებში დემოკრატიის ქმედითობის კულტივიზაციას წარმოადგენს ის, რომ ორგანიზაციებში მართვის მექანიზმები იქმნება ქვემოდან - მომუშავეთა მიერ, რაც ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული მისწრაფებებით გამდიდრებული ჩვენი სინამდვილისთვის ფრიად საგულისხმოა. ეს მისწრაფებები წარსულის გადმონაშოთა და განვითარების შემაფერხებელი. ამდენად, ორგანიზაციებმა განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავების დროს უნდა გაითვალისწინო ყოველივე ზემოთქმული.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გოროშიძე გ. 2012. ორგანიზაციული ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასპექტები და ქართულ კულტურაში ორგანიზაციული ქცევის ეფექტიანი მოდელის ფორმირება. ინტერნეტ-აკადემია (რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). № 2(21). თბილისი, გვ. 17-29.
2. გოროშიძე გ. 2012. ქართული ორგანიზაციული კულტურის განვითარების ფსიქოლოგიური ფაქტორები. ინტერნეტ-აკადემია (რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). № 2(21). თბილისი, გვ. 43-41.
3. ჭუბლაძე გ., მდებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. 2008. მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა «უნივერსალი».
4. Армстронг М. 2002. Стратегическое управление человеческими ресурсами. Пер. с англ. М.: ИНФРА-М.
5. Грэхем Х.Т., Беннетт Р. 2003. Управление человеческими ресурсами. Учеб. пособие для вузов / Пер. с англ. под ред. Т.Ю. Базарова и Б.Л. Еремина. М.: ЮНИТИ-ДАНА.
6. Иmai M. 2004. Кайдзен: ключ к успеху японских компаний. Пер. с англ. М.: «Альпина Бизнес Букс».
7. Лавров А.Ю. 2005. Теория организаций. Учебное пособие. Издание 5-е, исправленное и дополненное. Чита: ЧитГУ.
8. Психологические тесты / Под ред. А. А. Карелина: В 2 т. М.: Гуманит. изд. центр ВЛАДОС, 2002.
9. Пиленников В. В. 2000. Японский менеджмент. Уроки для нас. М.: Издательство «Япония сегодня».
10. Сравнительный менеджмент. Сост.: Васильев С.В.; НовГУ им. Ярослава Мудрого, Великий Новгород, 2007.
11. Управление персоналом организации Учебник /Под ред. А.Я. Кибанова. М.: ИНФРА-М, 2005.
12. Чарквиани Д. 1988. Структурные и функциональные особенности трудовых установок личности. Тбилиси: «Мецнереба».

ნათია ფანჯიკიძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### არტ თერაპიის ვერადი გზები

არტ თერაპია არის ექსპრესიული მედიუმი, ხიდი ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. ამ მეთოდის, როგორც პიროვნების აღმდეგების და გამამთელებლის დასახასიათებლად საუკეთესო სლოგანია “გქმნი, ნიშნავს ვიქმნები”.

არტ თერაპია, როგორც სიტყვების შინაარსიც გვპარნახობს, არის ხელოვნება დაწყვილებული ფსიქოთერაპიის რომელიმე მოდულთან. თუკი, დავუშვათ, თერაპევტის ძლიერი მხარეა კოგნიტურ-ბიკვეგიორული მეთოდი, მაშინ არტ თერაპიაშიც ჯობს მან შეისწავლოს კოგნიტური არტ თერაპიის ტექნიკები, რომელიც საშუალებას მისცემს თავისი ცოდნის შესაბამისად წარმართოს თერაპიის პროცესი. თუმცა, მაღალკვალიფიციურ თერაპევტს, რომელსაც აქვს ამბიცია ფლობდეს არტ თერაპიის სხვადსახვა ტექნიკას და მაქსიმალურად გამოიყენოს ამ თერაპიის თვალუწვდენები გელი და შესაძლებლობები, მრავალმხრივი ცოდნა მოეთხოვება, რადგან მაშინაც კი, როცა პაციენტს ერთი მიმართულების ტექნიკებს ვთავაზობთ, შესაძლოა გაცდეს ნამუშევრის შინაარსი ამ მოდულის ფარგლებს და ბოლომდე კარგად ვერ გავაანალიზოთ ერთი კონკრეტული ხედვის ჭრილში.

არტ თერაპია არ გახლავთ ხატვის და ზოგადად, ხელოვნების გაკვეთილი. ყველაზე ნაკლებად, ან საერთოდ არ არის საჭირო, პაციენტი ხატავდეს, ძერწავდეს კარგად. პირიქით, რაც უფრო ნაკლებადაა დევიაციების კვალი სამხატვრო ტექნიკით დაფარული და გასუფთავებული, მით უფრო მეტს გველაპარაკება პაციენტის ხელებიდან გადმოსული ინფორმაცია.

ვისთვისაა არტ თერაპია? რა ტიპის ადამიანებისთვის, როგორი პაციენტებისთვის? იშვიათი გამონაკლისის გარდა (ამ გამონაკლისზე მოგვიანებით) ყველასთვის. ისევე, როგორც ხელოვნება.

ხელოვნება თავისთავად კურნავს, თუმცა მე ვიტყოდი, ზოგ შემთხვევაში კურნავს. ხელოვნებამ შეიძლება ავადაც გაგვხადოს. გააჩნია ხელოვნებას და გააჩნია სწორად ვიყენებო მას, თუ არა. რამდენად შეგვიძლია შთაბეჭდილებათა პალიტრიდან ჯანსაღი განცდის ამორჩევა, გაანალიზება და ამ განცდაზე დაფიქსირება. ჩემი თაობის ადამიანებს მაინც, აღბათ ცხადად ახსოვთ, ეკრანზე ფილმი “ნათლიმამა” რომ გამოვიდა, ახალგაზრდების რა დიდი ნაწილისთვის გახდა ალ პაჩინოს მიერ შესრულებული ამ ფილმის ერთერთი მთავარი გმირის, ტიპიური სოციოპათი მაიკლ კორლეონეს სახე მისაბადი ეტალონი. მასავით იცვამდნენ, მასავით ჟესტიკული რეაქციებდნენ, მასავით იქცეოდნენ და მასავით იოლად კლავდნენ ერთმანეთს.

ხელოვნება გვათავისუფლებს, ის სარკმელია ფანტაზიის, სილამაზის, მარადიული თემების ჯადოსნურ სამყაროში. ხელოვნება თავისუფლებაა.. არის კი? თუ მინიმუმ ესთეტიკის კანონების ნებაყოფლობითი, მაგრამ მონობაა? ამავდროულად სრულყოფილების ძიების მანია? სხვისთვის გახსნილი საიდუმლოა, რომლისთვისაც “ჩამბარებელი”, “მიმღები” პუბლიკა ჰაერივით, წყალივით საჭიროა, თორემ სასიკვდილოდაა განწირული?

არტ თერაპია ბევრად დიდი თავისუფლებაა, ვიდრე უბრალოდ არტი, ის მოგზაურობაა საკუთარ სულში. მოგზაურიც შენ ხარ და ნაპირობანაც შენი თავი გელოდება, შემოქმედიც შენ ხარ და პუბლიკაც. ეს აღდგენაა საკუთარ თავში, სარკეში საკუთარი ანარეკლის დაბრუნებაა და მხოლოდ ამის მერე ჩნდება, ან არა გაზიარების სურვილი.

ხელოვნება, რომელსაც პიროვნება თავად ქმნის, თუნდაც ყველაზე პრიმიტიულს და მდარეს, არანაკლებ, ან იქნებ მეტადაც თერაპიულია, ვიდრე სხვისი, თუნდაც გენიალური ხელოვანის შექმნილი ნამუშევარი, რომელსაც სჭირდება მზადყოფნა, ამ ნაწარმოებისთვის ზრდასრულობა, გარკვეული ცოდნა და სწორი ემოციური მიმღებლობა. თვითონ ქმნის პროცესი აჯანსაღებს ადამიანს, ანიჭებს საკუთარი ლირებულების შეგრძენებას, უბრალოდ სიამოვნებას, თვითშეფასებას ზრდას და ეხმარება მისთვის მნიშვნელოვანი განცდის გამოხატვაში. ადამიანი ხატავდა მაშინაც, როცა ცხოვრობდა გამოქვაბულში, ხატავდა იმას, რასაც ხედავდა, რისიც სწამდა და რაც მოსწონდა. მაშინაც მდეროდა და თამაშობდა როლს – მინიმუმ ბაბავდა სხვა არსებების მოძრაობას.

არტ თერაპიის უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით არის მისი უნივერსალურობა და მრავლისმომცველობა. გარდა იმისა, რომ არტ თერაპიის გზით თერაპევტს მრავალი მიზნის დასახვის და მიღწევის საშუალება აქვს და მეთოდის გამოყენება შეგვიძლია პაციენტების ბევრად მრავალფეროვან კონტიგენტთან, (ემოციური ტრაგმა, ფიზიკური ძალადობა, დეპრესია, ნევროზი, შიზოფრენია, ყოფითი სტრესული გარემო, შფოთვა, ნივთიერებაზე დამოკიდებულება, სწავლის სიძნელეები და ა.შ.) ვიდრე რომელიმე სხვა მეთოდის, არტ თერაპია, იძლევა საშუალებას ხანდახან არა ერთ, არამედ ფსიქოთერაპიის რამდენიმე მოდულთან ერთდროულად დაწყვილდეს, ან რამდენიმე მოდულის ელემენტს აერთიანებდეს. მაგალითად, ფსიქო ანალიზთან წყვილში არტ თერაპია აიოლებს ანალიტიკურ წიაღსვლას გამოხატვის მეტი შესაძლებლობით, რამდენადაც მაშინაც კი, როცა სიტყვები შინაგანი პრობლემის გამოხახატად ძალიან რთული ინსტრუმენტია, ხელოვნების უნივერსალური ენა სწორედ სიმბოლოთა ის მდიდარი ველია, რომელიც არაცნობიერიდან მოედინება და გარდა ვერბალურისა, უშუალოდ სხეულის ენით გამოიხატება, პაციენტის ხელების გავლით, შესაბამისად, ხშირად კიდევ უფრო ღრმა და დაზუსტებულ ფსიქოლოგიურ პროცესს გვიჩვენებს. თერაპევტს ვიზუალური დაკვირვების საშუალება ეძლევა იმ სიმბოლურ შინაარსზე, რომელიც ფსიქოანალიზის

შემთხვევაში საკუთარი წარმოსახვით უნდა გაეცოცხლებინა. სხეულს კი, მოგეხსენებათ, თავისი მეტყველება და მეხსიერება აქვს. მართალია, დღემდე საკამათოდ რჩება, არის თუ არა შესაძლებელი უჯრედს, სხეულს, ან ცალკეულ ორგანოს ახსოვდეს რამე, ტვინის გარდა შეიძლება თუ არა ინფორმაციას დამოუკიდებლად იხახავდეს უჯრედი, მაგრამ მე არ ვეხები ამ შემთხვევაში ფანტომური ტკივილების, ორგანოების ტრანსპლანტაციის შემდეგ გაჩენილი შეგრძნებების თემას, სხეულის მეხსიერებაში ვგულისმობ კლასიკურად ფსიქოტრავმის გამომსახველ ჟესტს, მოძრაობას, ტიკს (იმ შემთხვევაში, როცა ტიკი არ გახდავთ ნეგროლოგიური პრობლემის დანამატი და თავს იხენს მხოლოდ სტრესულ სიტუაციებში, ან უკიდურესი დაღლილობისას და მკაფიოდ იმეორებს მიმიკას, ან მოძრაობას, რომელიც ასახავს სტრესული გამოცდილებისას მის ამგვარივე ქცევას, რეაქციას), როცა ადამიანი კოგნიტური გზით განდევნის შიშს გონებიდან, გადაამუშავებს, გააანალიზებს მას, მაგრამ სხეული დიდხანს ინახავს, დავუშვათ, მომუშტეულ ხელებს და დამფრთხალ პოზას და ბევრად მეტი დრო უნდა ამ განცდისაგან შეძენილი ჟესტის ან სხეულის სილუეტის გაქრობას, ვიდრე აზროვნების და ემოციურ დონეზე სტრესის მოხსნას. სხეულის კინესოეტიკურ მეხსიერებას, როცა მარტივი მაგალითის სახით, დავუშვათ, ტკლეფონის ნომერი ახსოვთ თითებს, მაგრამ ვერაფრით ხერხდება კოგნიტურად მისი აღდგენა და გახსენება ციფრების სახით. ასეთ დროს პაციენტთან მუშაობისას, შესაძლოა “თავისით” გაცოცხლდეს ამბავი, რომელიც კარგი ხანია მეხსიერების აქტიურ საკუჭნაოში არ ინახება.

არტ თერაპიას ფსიქოთერაპიის ნებისმიერი მოდულისთვის შეუძლია დიდი სამსახურის გაწევა. თუკი კოგნიტური თერაპევტისთვის საინტერესოა როგორ იყენებს და მისდევს, როგორ მართავს პაციენტი თავის მიზნებს, საჭიროებებს ან ინსტინქტებს, არტ თერაპიის დახმარებით გრძნობების და ხედვების, გამოცდილებების და ამწამიერი განცდების განსაზღვრა და კორექცია გაძლიერებული ეფექტურობით მიიღწევა. კოგნიტურ თერაპიასთან დაწყვილებული არტ თერაპია იდგალურად ასახავს პიროვნების შიგნით მიმდინარე პროცესებს და პრობლემის შემთხვევაში ამარტივებს მათ კორექციას, რამდენადაც იღებს დამატებითი ძლიერი ინსტრუმენტის ფუნქციას.

არტ თერაპიას შეუძლია “გაამოელოს დამსხვრეული შინაგანი ფორმა”, ხელოვნების ენაზე გადმოტანილ დეფექტურ ფორმას აღუდგინოს ხარვეზი, ამორფული შეგრძნებები მოაქციოს მკაფიო საზღვრებში და პირიქით, საზღვრებში ჩაკეტილი ობესიები გაათავისუფლოს “ტკვეობიდან”. არტ თერაპიის საშუალებით შესაძლებელია ღრმა ფსიქიკური პროცესებიდან დაწყებული, სომატიკურ მუშაობის შესაძლებელისას სხეულზე ორიგნტირებული ტექნიკით ფსიქო-სომატურ ტკივილზე და პრობლემაზე ფოკუსირება.

არტ თერაპია იძლევა პროექციული მეთოდით თერაპიის საუკეთესო საშუალებას, რამდენადაც თერაპიის პროცესს ემატება ნაწარმოები, რომელიც აერთებს ფოკუსს პაციენტსა და თერაპევტს შორის. ყველაფერთან ერთად, არტ თერაპია უბრალოდ თერაპიის ერთერთი ყველაზე სასიამოვნო მეთოდია. აქვე დავესესხები კარლ იუნგს: “თერაპიული ეფექტი, რომელიც ამ მეთოდს ახლავს თან მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს ცნობიერი და არაცნობიერი პროცესების საშიში გახლების თავიდან აცილებას.”

არტ თერაპიის მსგლელობისას, ნებისმიერი თემისა და ტექნიკის შესრულების პროცესში აისახება მეტყველი და თვალსაჩინო დიაგნოსტიკური ინფორმაცია, რაზე დაყრდნობითაც თერაპევტი ადგენს ფსიქო-კორექციის სტრატეგიას და ნამუშევრების ქრონოლოგიურად დათვალიერებისას გარკვეულწილად არაპროფესიონალის თვალსაც კი შეუძლია დინამიკის ამოკითხვა. მიუხედავად ამისა, არსებობს სპეციალური დიაგნოსტიკური ტექნიკები, რომლითაც შეიძლება უფრო ზუსტად და სტანდარტულად განისაზღვროს პიროვნების ფსიქი-ემოციური თუ კოგნიტური მოცემულობა. დღეს არტ თერაპიაში ბევრი ასეთი ტექნიკაა დამუშავებული. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია თერაპიის ეს მოდული არ ისწავლებოდა საქართველოში და შესაბამისად, ნაკლებადაც ვითარდებოდა, ძველ, საბჭოთა სახელმძღვანელოებში არის მოცემული ცალკეული მსგავსი ტექნიკა - “არარსებული ცხოველი”, “ხე, ადამიანი, სახლი” და იქვე მოცემული სტანდარტი, თუ როგორ უნდა განისაზღვროს პრობლემა და დიაგნოზი. თუმცა ამ იარაღს, როგორც დამოუკიდებელ დიაგნოსტიკურ მეთოდს ვერ გამოი-

ყენებს ადამიანი, რომელსაც არა აქვს ღრმა ცოდნა არტ თერაპიაში, ფერის ფსიქოლოგიაში და სხვა მრავალ ნიუანსში. არტ თერაპიის ნებისმიერი დიაგნოსტიკური ტექნიკის შეთავაზებისას, მაშინაც კი, როცა თერაპევტს ზედმიწევნით კარგად აქვს აღქმული პაციენტის კულტოროლოგიური თავისებურებები, რომელიც განაპირობებს მის არქეტიპულ თუ სიმბოლურ აზროვნებას, როცა თერაპევტი განსაკუთრებით კარგად ფლობს ფერის აღქმის თავისებურებას სხვადასხვა ფსიქოემოციური მდგომარეობისას, მაშინაც აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია პირველად მივანდოთ პაციენტს და მოვუსმინოთ მის მიერ გადმოცემულ შინაარს, მიუხედავად იმისა, ემოციების მიერ გაცნობიერებული შინაარსი მისივე არაცნობიერ პროცესს, თუ ფარული შინაარსი, როგორც მოუხელთებელი ინფორმაცია მასვე უსხლება და ცდილობს დარჩეს დაფარული. თერაპევტი მით უფრო უნდა ერიდოს საკუთარი პროექციის პაციენტისათვის თავს მოხვევას, თუკი ის თავად იმყოფება საკუთარი პრობლემების ნაგრევებში, თავს გრძნობს გამოფიტულად, ან რაიმე დომინანტური განცდის ტყვედ. თერაპევტი ინტენსიური პრაქტიკისას პირველ რიგში თავად უნდა ზრუნავდეს საკუთარ მენტალურ პიგიენაზე. მხოლოდ კარგად გააზრების შემდეგ აკეთებს თერაპევტი დასკვნას და გეგმავს შემდეგ ნაბიჯს. მისი დასკვნა არ წარედგინება პაციენტს კატეგორიულობით, გარკვეული ნიუანსები შეთავაზებული და დაზუსტებული უნდა იყოს დამატებითი შეკითხვის სახით.

მოგვიანებით უფრო დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ არტ თერაპიის მასალებზე, პაციენტის მიერ მათი არჩევანის მნიშვნელოვნებაზე და სხვა დეტალებზე.

მანამდე მაქსიმალურად მოკლედ მინდა მცირე ექსპერსი გავაკეთოთ დროში, რა გზა გაიარა თავისთავად ხელოვნებამ დაქმდე. ხელოვნების აღმავალი გზით სიარულს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა, სიკვდილთან დამოკიდებულება (ეგვიპტური პირამიდები) საკულტო და რელიგიური თემები და წარმოდგენები თემების დოგმატურობიდან გამომდინარე, პროფესიული ხელოვნება უამრავ კანონს და სახელოვნებო სტანდარტს ემორჩილებოდა. რაც, თავისთავად უდიდესი პროფესიონალიზმი და ოსტატობაა, შესარულო შეკვეთი ისე, რომ შენმა ქმნილებამ საუკუნეებს გაუძლოს, პასუხობდეს დროის მოთხოვნის შესაბამის ყველა სტანდარტს და ამავე დროს იყოს ინდივიდუალური, ვიდრე მიჰყევ მხოლოდ საკუთარ ემოციას და შექმნა ის, რაც უბრალოდ მოგწონს.

ხელოვნებაში ნაკლებად გათვითცნობიერებულ ადამიანებსაც კი აქვთ გარკვეული ცოდნა რენესანსის პერიოდის ხელოვანებაზე და მათთვისაც იოლი ადსაქმელია რამდენ წესს ემორჩილება ავტორი თემატიკის, კომპოზიციის აგების, ოსტატობის კლასის მოთხოვნის მხრივ და აი, ამდენი ჩარჩოს ფარგლებში ახერხებს იყოს განუშეორებელი და ერთადერთი, სრულიად ინდივიდუალური. იმავე და ცოტა გვიანი პერიოდის სახვითი ხელოვნება სრულიად განსხვავებულია ქრისტიანული ცივილიზაციის ხელოვნებისგან იაპონურ და აზიურ კულტურებში, თუმცა მაინც ხელოვნების მთავარი მოთხოვნა, რომ ის ლირებულად ჩაითვალოს, ყველაზე მყაცრი და მკაფიოა. უხეშად რომ გავირბინოთ დრო, მანერიზმი, ბაროკო, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, პოსტ იმრესიონიზმი, კუბიზმი, უუტურიზმი, ექსპრესიონიზმი, პოსტ მოდერნი და დეკონსტუქტივიზმი - 70-იანი წლებიდან დაიწყო "შსხვრევა" - ხელოვნება ცენტრის გარეშე. ჩემი აზრით პირველი ყველაზე დიდი გარდატეხა მაინც იმპრესიონისტებს და პოსტიმპრესიონისტებს მიეწერებათ. ნამდვილი თავისუფლების პარტი არტში მათ შემოუშვეს - დაიწყეს ყველაფრის ხატვა, რაც მოსწონდათ, რაც მათზე ახდენდა შთაბეჭდილებას და მერე უამა ყველაფერი გაადვილდა, თანდათან ყველა ექსპერიმენტი დაშვებული გახდა.

რა ხდება დღეს თანამედროვე ხელოვნებაში? დღეს ყველაფერი "მოსულა". ყველა მასალა შესაძლოა გამოდგეს ხელოვნების ნაწარმოების შესაქმნელად, დღეს ყველა ფორმა მისაღებია, დღევანდები ხელოვნება თითქოს უამრავი, შეუზღუდვავი ინტრეპრეტაციის საშუალებას იძლევა, ერთი რამ კი აშეარა, ვიზუალური ხელოვნება ჩაანაცვლა გრძნობითმა ხელოვნებამ, დღეს იმაზე მნიშვნელოვანი, თუ რას და როგორ ხედავს, გახდა ის, თუ რას და როგორ გრძნობს მხატვარი. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ ვთქვა, რომ ჩვენი ეპოქის ხელოვნება განსაკუთრებით, ისე როგორც არასდროს, ხშირ შემთხვევაში დაემსგავსა თვითორებაპიას, ალბათ ამიტომაც, აუთსაიდერების ხელოვნების ნაწარმოებები, თუ თერაპიის პროცესი პროფესიონალურადაა განხორციელებული, შესანიშნავად პასუხობს თანამედროვე

ხელოვნების მოთხოვნებს ფორმით და შინაარსით, ზოგჯერ კი იმდენად მაღალია ავტორის პროფესიული დონე ნაწარმოების შესრულების თვალსაზრისით, რომ ხელოვნების ბაზარზე ბევრი პროფესიონალი მხატვრის ნამუშევარზე ძვირადაც იყიდება და არანაკლები პოპულარობით სარგებლობს. ხელოვნების მოყვარულებმა კარგად იციან ჰენრი დარჯერის, მარტინ რამირესის, მაგდე ჯილის და სხვათა სახელები. ხელოვნებათმცოდნებს შორის კი უფრო და უფრო ხშირად სვამებ საკითხს,- წარმატებული აუთსაიდერი ხელოვანი უნდა ჩაითვალოს აუთსაიდერად თუ უნდა მოვიხესენიოთ პროფესიონალ მხატვართა შორის? ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობს აუთსაიდერების ხელოვნების მუზეუმები და გალერეები. აუთსაიდერების ნამუშევრების გამოყენას ხელოვნებათმცოდნები ხელოვნების სამყაროს “განსაკუთრებული სურნელის სანელებლად” მოიხსენიებენ. გამოფენების პარალელურად ეწყობა ლექციები და ღონისძიებები აუთსაიდერი ავტორების მხარდასაჭერად. ამგვარი გამოფენების ხელშესაჭყობად ძალას არ იშურებენ წარმატებული ადამიანები და უურნალისტები. რადგან ეს არის ერთერთი ყველაზე აუცილებელი გზა ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, სულიერი დაავადებების მიმართ სტიგმის მოხსნისთვის და უბრალოდ ადამიანების ერთმანეთთან გაუცხოების გასაქრობად.

სანამ გადავალო სხვა მთავარ საკითხებზე - რა დიაგნოზის შემთხვევაში რა მოლოდინი უნდა გვქონდეს არტ თერაპიისგან, რა ტემპით, როგორ მიმდინარეობს თერაპია, როდის საერთოდ არ არის რეკომენდებული მისი გამოყენება და როდის შეუძლია კომბინირებული თერაპიის გარეშე, დამოუკიდებლად იტერიტოს პრობლემის მომგარებლის როლი, ასევე, ვისაუბრებო არტ თერაპიის ანბანზე - ფერებზე, ფერის შინაარსსა და სიმბოლიზმზე, ნაკლებად მშრალი და უფრო ვიზუალური რომ გავხადოთ თემა, ისე, როგორც ამ ფერადი თერაპიის მეთოდს ეკადრება, მინდა წარმოგიდგინოთ პაციენტების ჯგუფური ნამუშევარი “გულში დაჭრილი ზღვა”.

პირველ რიგში, მცირე განმარტება, რას ნიშნავს და რას ემსახურება ჯგუფური ნამუშევარი; არტ თერაპიის იმ ტექნიკების პარალელურად, რომელიც მიმართულია პირველ რიგში თვითჩაღრმავებისკენ, ინდივიდის, მისი პიროვნული პრობლემის მოგვარებისა თუ თვითგამორკვევისკენ, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის ტექნიკას, ჯგუფურ სამუშაოს, რადგანაც, არცერთი ადამიანი არ შეიძლება ბოლომდე იყოს პარმონიაში საკუთარ თავთან, თუკი იგი იზოლირებულია სეციუმისგან და არ გააჩნია კომუნიკაციის უნარები. მითუმეტებს, როდესაც ჯგუფი ერთ სივრცეში გადის სხვადსახვა მოდულის ჯგუფურ თერაპიებს, როცა ჯგუფი პომოგენურია და აერთიანებო მინიმუმ ერთი დიაგნოზი, მათ უგროვდებათ ერთობლივი სათქმელიც. ფსიქიკური პროცესის თვალსაზრისით ამ სათქმელის არტის ენაზე შეთანხმებული ამოთქმა საკმარის სერიოზული კოგნიტური და ემოციური ოპერაციის შესრულებაა, რაც დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს თერაპიის პროცესში.

ამ ნამუშევრის შემქმნელი პაციენტები არიან ნივთიერებაზე ყოფილი დამოკიდებული პირები. მათ ბევრი აქვთ საერთო, არა მხოლოდ ნივთიერებაზე დამოკიდებულების კუთხით, მათი ბიოგრაფიები და პიროვნული გამოცდილება, ფსიქოლოგიური სირთულეები, სოციალური პრობლემები რიგ შემთხვევაში წააგავს ერთმანეთისას.

“გულში დაჭრილი ზღვა” - ძირითადი მასალა სამშენებლო ქაფი, სილიკონი. ნაწარმოები აიგო ფსიქოთერაპიის ერთერთი უნივერსალური, ყველასათვის გასაგები და ნაგრძნობი სიმბოლოს, ზღვის თემაზე. იოლად დასამორჩილებელი მასალა გამოყენებული იყო ზოგიერთი მონაწილის ფიზიკური ინვალიდობის გამო, რომ თანაბრად მიეღო ყველას მონაწილეობა. წყალი და მისი ყველაზე ძლიერობის გამოხატულება ზღვა, ოკეანე, განასახიერებს სიცოცხლეს, სიკვდილს, ძალას, მოულოდნელობას, დასაწყისს, საიდუმლოს, ცხოვრებას, ქაოსს, ცვლილებას. მაგრამ ნაწარმოების სრულყოფილებისთვის საქმარისი არ იყო მხოლოდ ზღვის გამოსახვა. ჯგუფმა დაიწყო დისკუსია, აეგოთ გემი ხისგან, თუ გაეშვათ ზღვაში ქადალდის გემი, გემი იქნებოდა ცარიელი, თუ მეზღვაურებით სავსე, იქნებ მოგზაურებით, იქნებ მეკობრეებით ... შემდეგ ახალი იდეა გაჩნდა - ზღვაში იცუროს ვეშაპმა, როგორც ძლიერმა და თავისუფალმა არსებამ. კიდეც დამზადეს გუდრონისგან ლაპლაპა შავი ვეშაპი, რომელსაც უნდა გაეპო ტალღები.

ზღვა მდელვარე გამოვიდა. შედებვისას მივიდნენ აზრამდე, რომ ასე აღელვებული ზღვა ვერ იქნებოდა სუფთა და გამჭვირვალე, ამიტომ იმდენი ფერი დაედო ტალღებს, რომ ვეშაპი კარგად აღარ მოჩანდა ამ მდვრი წყალში.

გამოფენა ახლოვდებოდა. მოუღლოდნელად, სამსახურში ყოფნისას ანგრიზმა გაუსკდა ჩვენი თერაპიის ცენტრის მენეჯერს, ახალგაზრდა ქალს, რომელიც ორ კვირაში გარდაიცვალა. დარჩა ექვსი წლის ბავშვი. ამ ამბავმა ყველაზე იმოქმედა, მაგრამ გარეგნულად კალაპოტში ჯგუფი მალე ჩადგა და მუშაობა გაგრძელდა.

ერთერთმა ვეშაპის უკეთ აღსაქმელად მის გარშემო დროებით წითელი სადებავი დაამატა. სანამ ვეშაპი ადგილზე იყო, წითელი ლაქა თითქმის არ აღიქმებოდა, ოდნავ უკეთ გამოკვეთდა სილუეტს. ნაწარმოები დიდი ზომისაა და მუშაობა იატაკზე უწევდათ. გამოფენამდე ერთი კვირით ადრე ვთხოვ კედელზე დაგვიდებინათ ნამუშევარი, რომ უკვე საბოლოოდ აღგვექვა შთაბეჭდილება. დროებით მოვხსენით ვეშაპიც, რომ კედელზე დაკიდებულ ნამუშევარზე კომპოზიციურად უკეთ განგვეხსაზღვრა მისი ადგილი. და აქ მოხდა უცაბედი და ჯგუფური კათარზისი, ჯერ ერთ პაციენტს შეეცვალა სახე, მერე მეორეს, მესამეს და ერთერთმა თერაპევტმა თითქოს გაახმოვანა ეს დაგუბებული თავზარდაცემის მუხტი: “წითელი უნდა გადაიდებოს, სისხლს გავს, ცუდად გავხდი, ძალიან ნეგატიურია, ეს არ შეიძლება რომ გავიდეს გამოფენაზე, თერაპიის სახლიდან როგორ შეიძლება ეს საშინელება გაიტანო?” - მართალია ახალგაზრდა, მაგრამ განსაკუთრებით დაბალანსებულმა და ჰკვიანმა თერაპევტმა ფაქტიურად დაკარგა პროფესიული სახე. მან შეწყვიტა გარემოს და ამ გარემოში საკუთარი როლის აღქმა. ის ამ მომენტში მხოლოდ ენერგეტიკულად აღიქვამდა პაციენტებისგან წამოსულ მხარდაჭერის არავერბალურ იმპულსებს და მიტევდა ყველას სახელით. თანდათან მას ვერბალურადაც აყვა უკლებლივ ყველა პაციენტი, რომლებიც მიმტკიცებდნენ, რომ ეს ნაწარმოები საშინელებაა, ცუდია, ნებისმიერ ადამიანს ცუდად ხდის. სხვა გზა არ მქონდა, დროულად რომ ჩამეცხოვ მათში მომხდარი ქარიშხალი, ავიდე ლურჯი საღებავი და წითელი ლაქა დაგვარე, მერე ყველას ვთხოვ ნამუშევრის პირისპირ დაჯდომა და ზღვისთვის ყურება. “თერაპიის მიზანი მხოლოდ ის არაა, რომ პოზიტიურ განცდად გარდაქმნას ის, რის გარდაქმნაც შესაძლებელია, ასევე მიზანია, იმ ტკიფილის პირისპირ დადგომის, გააზრების, გადამუშავების და გადატანის ძალა და უნარი მისცეს პიროვნებას, რომელშიც პოზიტივის აღმოჩენა ძნელია. ჩემთვის ცხადია, რომ ამ ზღვაში ამბავი მოხდა, თითოეულისთვის სხვადასხვა, საკუთარი ამბავი. სანამ იყო წითელი ლაქა, ამბავი ჩანდა. ახლა მდვრიე, მდელვარე ტალღები მოჩანს მხოლოდ. მაშინ მომიყევით ახალი ამბავი, რა ხდება ან რა მოხდება ამ ზღვაში” - დავასრულე და გავჩუმდით ყველა. თანდათან ჯგუფი ამოძრავდა და წამოვიდა ნიაღვარი. ერთერთი კათარზისი უკავშირდებოდა აფხაზეთს, ახალგაზრდა ქალის, თერაპევტის არაცხობიერმა გამოხატა ზუსტად ის განგაში, რაც მან ბავშვობაში განიცადა საყვარელი ბაბუას სიკვდილს რომ შეესწრო ზღვაში და ძლიერი ტალღასავით პირველი მისგან გახმოვანდა “არა!” ჩემთვისაც ეს იყო მაშინ ინუარქტით სიკვდილი ზღვაში, რომელსაც მე არ დავსწრებივარ, სხვისთვის ეს იყო საშინელი მოგონება, რომელიც სულაც არ უკავშირდებოდა ზღვას ზოგადად სიკვდილის თემატიკამ არაცხობიერიდან ცნობიერში გააქტიურება დაიწყო ჩვენი თანამშრომლის ანგრიზმის გასკდომის შემდეგ. ყველამ გამოუშვა თავისი ჩირქი ჭრილობიდან და რადგან ვერ მოვისმინე ვერცერთი “ახალი ამბავი” ამ ზღვის შესახებ, უკვე დამშვიდებული ჯგუფის გააზრებული თანხმობით ნამუშევარს დაუბრუნდა სისხლის კვალი და ღრმა ჭრილობა. კომპოზიციას ერთერთი პაციენტის ინიციატივით დაერქვა “გულში დაჭრილი ზღვა”.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Jung C.G. 1979. Psychology and alchemy. Routledge, London.
2. Macniff S. 1992. Art as medicine. London, “Shambala”.
3. Jung C.G. 1992. Memories, dreams, reflections. Zurich.

გულნარა მარჯაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ტექსტი, პრიტიპული აზაროვნება და მისი ჭირობება

ტექსტის დაწერა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, რომლის ფორმისა და შინაარსის სრულყოფილებას გარკვეული წესებისა და კანონების ცოდნა განაპირობებს და მათი შესწავლა აუცილებელია. “აკადემიური წერა” სხვადასვა პროფილის უმაღლესი სასწავლებლის საგალდებულო ოეორიულ-პრაქტიკული დისციპლინაა, რომელიც ხელმძღვანლობს სალიტერატურო ენის ფუნქციონირების უმთავრესი პრინციპებით, აღჭურავს შემსწავლელთ ენის უნიფიცირებულ ნორმათა ცოდნით, უკითარებს მათ დასამუშავებელი თემის მიზნის განსაზღვრისა და დაკონკრეტებია უნარს, შეასწავლის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის სწორად კონსტრუირებას, აგება-დაგეგმარებას, აზრობრივად და ენობრივად გამართვას, ახალგაზრდას გაწაფავს პროფესიული ენის სტილისტური, ტერმინოლოგიური თავისებურებების ათვისება-გათავისებაში. “აკადემიური წერის” უნივერსალობასა და მრავალპლანიანობას განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ იგი ადეკვატურად მიესადაგება კონკრეტული პროფესიული მიმართულების დარგებისა და სპეციალობების სპეციფიკას და სასწავლო პროცესში ტრანსფორმირდება სასწავლებლის პროფილის შესაბამისად.

ჟურნალისტის ფაკულტეტზე სწავლების პროგრამული დერძი მასობრივი კომუნიკაციის ანუ კომუნიკატორ-რეციპიენტის ურთიერთმიმართების საკითხია და ამ კონტაქტის გამყარების საფუძველი სწორედ ზეპირ თუ წერილობით ჟურნალისტურ ტექსტში ძევს. გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგალდებულო დისციპლინა “ჟურნალისტური ტექსტის წერა” აკადემიური წერის ტრანსფორმირებლი კურსია და მიზნად ისახავს მასმედიის მომავალი კადრების სწავლებას ტრადიციული და თანამედროვე უახლესი მეთოდიკით.

სანამ ძირითად საკითხზე ვიმსჯელებთ, აუცილებელია, ჟურალდება გავამახვილოთ იმ წინაპირობაზე, რომელიც პედაგოგისა და სტუდენტის გაცნობას, პირველ შეხვედრას გულისხმობს და უთუოდ გადამწყვეტი მომენტი, შეიძლება ითქვას, ქვაკუთხედია მთელი სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის. ლექტორმა თავიდანგვე უნდა შესთავაზოს აუდიტორიას გარკვეული საკონტაქტო ფორმა, რომელიც ემყარება თანამშრომლობის, პარტნიორობის პრინციპს.

ტექსტი ენის რეალიზაციის ფორმა და აუცილებელია სტუდენტმა ენის მნიშვნელობაზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს. საუბარი ისეთ ფაქტზე და როგორიც მშობლიური ენაა, გამორიცხავს ზედმეტად აკადემიურ, მშრალ, ეწ. “საკანცელარიო” სტილს და მენტორულ ტონს, ვინაიდან საწყის ეტაპზე სტუდენტები სალექციო თემას ყველაზე ცოცხლად აღიქვამებ მათვის მისაღებ საკონტაქტო გარემოში, დადგებითი ენერგიით დამუხტულ ატმოსფეროში. სხვა შემთხვევაში ისინი პასიურად სხედან აუდიტორიაში და თითქმის არ უსმენებ ლექტორს. პედაგოგმა ყველა ხერხს უნდა მიმართოს, რომ მსმენელები აქტიურად ჩააბას მეცადინეობაში. ახალგაზრდის ფსიქიკისთვის მიუღებელია უცხო ტერმინებით დახუნდული სპეციფიკური მეტყველება. თუ ლექტორი სადა, სასაუბრო სტილს მიახლოებული ენით წარმართვს ლექციას, მაშინ სტუდენტი საკმაოდ რთულად აღსაქმელ სამეცნიერო დებულებებსაც კი გაიაზრებს და დაიმახსოვრებს. თუკი არ შედგა კომუნიკაცია ლექტორსა და სტუდენტს შორის, განა ფასეული იქნება მსჯელობა მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებზე! თუმცა ზემოთ აღნიშნული მხოლოდ სწავლების საწყის ეტაპზეა მისაღები. მომდევნო ლექციებზე ლექტორის ენა უნდა “გართულდეს”, სასაუბრო მეტყველებას თანდათან უნდა შეენაცვლოს სამეცნიერო სტილი, რათა აქტიურად დამკვიდრდეს სპეციფიკური ენა თავისი ცნებებით, ახალი ტერმინოლოგიური და ლექსიკური ერთეულებით.

პირველივე ლექციაზე სტუდენტებს უნდა განემარტოს შესასწავლი დისციპლინის არსი, მიზნები, ამოცანები და მნიშვნელობა. ახალგაზრდებისთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ “ჟურნალისტური ტექსტის წერის” სალექციო კურსი არ ითვალისწინებს მხოლოდ გრამატიკის, ორთოგრაფიის შესწავლას, არამედ ეს არის მრავალსპექტრიანი პროგრამა, რომელიც ენათ-

მეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, პუბლიცისტიკის, ურნალისტიკის ძირითადი პოსტულატების ერთიანი სისტემით, დაუნაწევრებელი, ურთიერთგანმსაზღვრელი ლოგიკური მთლიანობითაა წარდგენილი. ურნალისტური ტექსტის წერას ვერ ასწავლი სტუდენტს, თუ მას წარმოდგენა არა აქვს ენის რაობაზე, მის ისტორიულ განვითარებასა და სახელმწიფო მთლიანობის მნიშვნელობაზე. ამიტომ კურსის შესავალი ნაწილი ეძღვნება ენის მნიშვნელობის, მისი როლისა და ფუნქციების (საკომუნიკაციო და ექსპრესიული) განსაზღვრას. პირველკურსელებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ბოლო პერიოდმა მწვავე პრობლემები წარმოშვა ქართულ ენასთან მიმართებით, რომ, სამწუხაროდ, უხემად ირღვევა ენის სტრუქტურა, მისი მოქნილი სინტაქსი, თითქმის შეუძლებადი ხდება უმდიდრესი ლექსიკური ფონდის დაკინებისა (ხშირად ბარბარიზმების, კალკების, ვულგარიზმების, ჟარგონების სახით) და უცხო სიტყვების ზღვარგადასული მოძალების პროცესი. ახალგაზრდებს განსაკუთრებული სიცხადით უნდა განემარტოს, რომ მედიასაშუალებების, ახალი ტექნოლოგიების არნახული განვითარების პირობებში ურნალისტებისთვის პრეორგატივად უნდა იქცეს ენის დაცვა-პოპულარიზაციის საკითხი. მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ სწორედ ურნალისტთა დიდი ნაწილის “დამსახურებაა” მცდარი ენობრივი ფორმების დამკვიდრება, ტელეკურანიო, რადიოთი თუ პრესით გრამატიკულ – სტილისტურად მახინჯი ენობრივი წარმონაქმნების გავრცელება, მაგალითად, “კითხვას დაუსმევ”, “პარლამენტი წყვიტავს პრობლემას”, “საკითხთან მიმართებაში”, “რესპოდენტი”, “წესრიგში მოიყვანა” და სხვა მრავალი. ისინი აუდიტორიის უმრავლესობას სამუდამოდ ელექტრონული გონიერების და ნდობის ფორმულით – “ურნალისტმა ასე თქვა, ე.ი. სწორია” – ლექსიკური “მარგალიტები” სიცოცხლისუნარიანი ხდებიან. ენის უკონტროლო დამცრობას, უცხო სიტყვებითა და კალკირებული ფრაზებით მისი სიწმინდის შელახვას საგანგებო ყურადღებას უთმობდა მ. ჯავახიშვილი. იგი ადრიშნავდა, რომ საზოგადოება ანგარიშს არ უწევს ქართველ მეცნიერთა რეკომენდაციებს და უმაღ ითვისებს და ნორმად აქცევს ზოგი ლიტერატორისა და ურნალისტის საჭირო ენობრივ ფორმებს. სიტყვის დიდოსტატი წუხილს გამოთქმამდა, რომ ენათმეციერთა გავლენა “ასჯერებ ნაკლებია, ვიდრე ურნალისტის და ათჯერ – ვიდრე ლიტერატორისა. ამიტომ მართებს ლიტერატორს, და უფრო მეტად ურნალისტს, გაათკეცება გულისყურისა და შრომისა, რათა შეერთებული ძალით გავგავოთ ჩვენი ტვინიდან უხვად შემოსული უცხო ელემენტები”.

პედაგოგმა უნდა შეაცნობინოს ახალგაზრდა ურნალისტებს, რომ მათი პროფესიული (მოქალაქეობრივი) ვალია, ქართული ენის სერიოზული შესწავლა, ორთოგრაფიისა და ორთოეპის წესების დაცვა, სალიტერატურო ენის ნორმების, ზოგადი და პრაქტიკული სტილისტიკის უმთავრესი პრინციპების გათვისება და იმ აუცილებელი თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღება, რომელიც დახვეწს მათს მეტყველებას, სრულფოფს ხელწერას და გამოუმუშავებს პუბლიცისტურ ტექსტზე მუშაობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. საწყის ეტაპზევე სტუდენტმა ქვენის კულტურულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ჭრილში უნდა გაიაზროს ქართული ენის განუზომელი მნიშვნელობა, გააცნობიეროს, რომ საერთო სალიტერატურო ენა მოიცავს ყველა სფეროს – კულტურულ-საგანმანათლებლოსა თუ სამეცნიეროს – და იმავდროულად სახელმწიფო ენაა, რომლის სტატუსს განსაზღვრავს ქვენის კონსტიტუცია. შეიცნობს რა ენის როლსა და მნიშვნელობას, სტუდენტები მეტი პასუხისმგებლობით მიეკიდებიან მშობლიური ენის შესწავლის პროცესს. ხოლო პედაგოგმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თითოეული მათგანისთვის ნათელი გახდეს პირადი პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალდებულება ქართული ენის დაცვა-განვითარებასთან მიმართებით, რათა ჩვენს ქვეყანაში, სხვა ცივილიზებული სახელმწიფოების მსგავსად, ეს საკითხი იქცეს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად.

პირველივე ლექციაზე წერითი სამუშაოს შესრულება რეკომენდებული არ არის, მაგრამ დასაშვებია სასინჯი, ე.წ. “მოთელვითი” ზეპირი ტექსტის შეთავაზება. პედაგოგი დამკვიდრებული შეცდომებით შედგენილი ტექსტით მცირე სამუშაოს შეასრულებინებს სტუდენტებს, რაც, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს სტუდენტთა ცოდნის პირველად შემოწმებას. სასკოლო პროგრამის ფარგლებში დასმული კითხვები ახალგაზრდას საშუალებას აძლევს ობიექტურად შეაფასოს თავისი ცოდნის ღონე. თავიდან ისინი დარწმუნებული არიან მოცემული მასალის სიმარტივეში, მაგრამ ტექსტირების შედეგები მათ უკვე საფუძვლიან ეჭვს უჩენს საკუთარ ცოდნასა და შეუმცდარობაში და მაღლებე აფიქსირებენ შესწავლილი მასალის უცოდინრობას. ეს ცდა საკუთარი შესაძლებლობის გადახედვა – გადაფასების პირველი საფეხურია,

და განაპირობებს ცოდნის დაგროვების შემდეგი ეტაპის აქტივიზაციას. პედაგოგისთვის კი ცხადი ხდება როგორც პირველკურსელთა ცოდნის საერთო დონე, ისე სტუდენტებთან მომავალი მუშაობის ბალანსირებს პერსპექტივა.

”ურნალისტური ტექსტის წერის“ კურსი მოიცავს ერთ სასწავლო წელს და ფუნქციონირებს სემესტრებად დამუშავებული პროგრამის მიხედვით. ორფაზიანი პროგრამის პირველი ფაზის (I სემესტრი) უმთავრესი მიმართულებაა უკვე ნასწავლის აქტივიზაცია და თეორიულ-პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე გავლილი და ახალი სასწავლო მასალის ეტაპობრივი ურთიერთშეჯერება-შეკავშირებით დაგროვილი ცოდნის გაღრმავება-გამოლიანება და კრიტიკული აზროვნების გააქტიურებისათვის მყარი ფუნდამენტის შექმნა, ანუ ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების, ენათმეცნიერული და პოეტური სტილისტიკის საფუძვლების, ტექსტის ანალიზისა და მოდელირების ზოგადი კანონებისა და პუბლიცისტური სტილის თავისებურებების შესწავლა. პრაქტიკულ მეცადინეობებზე დეტალურად ანალიზდება პუბლიცისტური ტექსტები, საგაზეთო სტატიები, რადიო და სატელევიზიო სიუჟეტები. თვალსაჩინო მასალის დამუშავებისას სტუდენტები განიხილავენ და აფასებენ მასმედიის მუშაოთა შემოქმედებით პროდუქციას. სწავლების პირველი ფაზის მიზანია სტუდენტების ლექსიკიდან უარგონების, ვულგარიზმების, ბარბარიზმების, კალკების, მყარად დამკვიდრებული მცდარი ენობრივი ფორმების აღმოფხვრა, მორფოლოგის ძირითადი წესებისა და სწორი სტილისტური და სინგაქსური კონსტრუქციების სწავლება. მეცადინეობებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პუბლიცისტური სტილის თავისებურებების განააღმინება-ათვისებას, პუბლიცისტური ხერხების გამოყენებისა და ამასთან ზომიერების დაცვის პრაქტიკას და ლექსიკური ფონდის გამდიდრებისათვის ლექსიკონით სარგებლობის ჩვევის გამომუშავებას. პირველ სემესტრში სტუდენტი იღებს ურნალისტურ ტექსტზე მუშაობის პირველად გამოცდილებას, ეცნობა ტექსტის სწორად დაგეგმვა-სტრუქტურების, კომპოზიციური გამოლიანების მეთოდიკას, რის საფუძველზეც ტექსტის დამუშავების ტექნიკაში იწავება და თანდათანობით სრულყოფს წერის კულტურას.

ფაქტობრივი მასალის აღქმა-დამუშავებისათვის სტუდენტმა აუცილებლად უნდა განსაზღვროს, რა ხარისხით ფლობს უკვე დაგროვილ ცოდნას და როგორ წარმოაჩენს პრაქტიკულად. უმეტესობას კარგად როდი აქვს გაცნობიერებული, რომ გრამატიკული და სტილისტიკური ნორმების შესწავლას უპირველეს ყოვლისა პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ხშირად ახალგაზრდა სწორად ჩამოყალიბებს რომელიმე გრამატიკულ წესს, მაგრამ ვერ ახერხებს მეტყველებისა და წერის დროს ამ წესის გამოყენებას. მისთვის გრამატიკაც და სტილისტიკაც მხოლოდ აბსტრაქტული ცნებების შემცველი განყენებული მეცნიერებაა. პედაგოგი ვალდებულია გააცოცხლოს სიტყვა. მან თვალსაჩინო მასალასთან შეჯერებით პრაქტიკულად უნდა დაამკვიდრებინოს მეტყველებასა და წერაში სტუდენტებს სწორი ენობრივი ფორმები და კონსტრუქციები, პუბლიცისტური სიტყვის საუკეთესო ნიმუშების ანალიზითა და სხვადასხვა ტიპის პუბლიკაციების კრიტიკული მიმოხილვითა და ენობრივი კაზუსების წარმოხენით უნდა შეასწავლოს სტუდენტებს უნიფიცირებული ნორმები და იმავდროულად გააცნობიერებინოს მათ სიტყვის, ფრაზის, იდიომატური გამოთქმებისა და სხვა ენობრივი ერთულების სემანტიკური, შინაარსობრივი გამომსახველობის ძალა.

უმაღლეს სასწავლებელში მისვლამდე მოსწავლეები სკოლის პროგრამით გადიან პუბლიცისტიკის, ტექსტის ანალიზისა და მოდელირების ზოგად თეორიულ კურსს, თვალსაჩინო ნიმუშად კი დამუშავებული აქვთ ცნობილი პუბლიცისტების წერილები. როდესაც სტუდენტებს ლექციაზე დაუსახელდათ იჭავჭავაძის “რა გითხრათ? რით გაგახაროთ?”, ყველამ ერთხმად დაადასტურა ამ წერილის ცოდნა. მიუხედავად ამ განცხადებისა, სტუდენტებს საშინაო დავალებად მიეცათ ეს სტატია, რათა მომდევნო მეცადინეობაზე მისი ანალიზი წარმოედგინათ. შედეგი სავალადო აღმოჩნდა, სტუდენტთა 90%-მა ვერ განსაზღვრა სტატიის თემა და იდეა, დასმული პრობლემის არსი, რომ აღარაფერი ვთქვათ საკითხის სიმწვავის განსაზღვრასა და იდეის ხორცშესმის მეთოდებსა და ხერხებზე. ლექციაზევე სტუდენტთათვის ცხადი გახდა, რომ, ფაქტობრივად, აღნიშნული სტატია მათთვის უცნობია. დაგროვილი ცოდნის გადაფასებამ მისი შევსება გაღრმავებისა და ახლის შეცნობის აუცილებლობის დასკვნამდე მიიყვანა სტუდენტები. როდესაც ახალგაზრდის გონებაში ძველის უარყოფის რთული პროცესი ისახება, პედაგოგმა მედიუმის როლი უნდა შეასრულოს ძველიდან ახლისკენ აზრის

მდინარებაში. მან უნდა მოიპოვოს სტუდენტის ნდობა და ერთად, პარტნიორობის პრინციპით განაგრძონ მუშაობა, რათა აქტიური სწავლების ფაზაში გადაინაცვლონ, ანუ საწყისი სააზროვნო ოპერაციებიდან (გახსენება-დამასხოვრება-გააზრება) მაღალი სააზროვნო ოპერაციებისკენ (ანალიზი-სინთეზი-განსჯა, შეფასება) მიმართონ ძალისხმევა. სწავლის პროცესი სწორედ უკვე ცნობილისა და ახლის დამაკავშირებელი ხიდია.

სტუდენტები უკვე მიღებული, თუნდაც მწირი ცოდნის გააქტიურებით პასიური მსმენელის როლიდან გამოდიან, მოცემულ საკითხებზე ინტერესი უცხოველდებათ, უკვე შეგნებულად იაზრებენ ძველი და ახალი ინფორმაციის “ნაზაქს” და აქტიურად ებმებიან მეცადინეობაში. ასე რომ, პედაგოგის დახმარებით სტუდენტები სრულიად ახლებურად აღიქვამენ და აანალიზებენ თითქოსდა ნაცნობ ტექსტს.

ილიას პუბლიციისტურ წერილზე დაკვირვებით სტუდენტებმა გაიაზრეს აღნიშნულ პუბლიკაციაში რაოდენ მწვავე, ღრმა და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა განხილული, როგორ ზედმიწევნით ზუსტია იდეის გამოხატვის ხერხები და მეთოდები, როგორ არგუმენტირებულად, ლოგიკურად არის აგებული და კომპოზიციურად გამოთლიანებული ტექსტი. ლექციაზე სტუდენტმა პირველად ინტუიციურ დონეზე შეიცნო აბზაცების თანმიმდევრობისა და ურთიერთკავშირის ლოგიკა, გამოარჩია საკვანძო წინადაღებები, ყურადღება მიაპყო მათ ურთიერთმიმართებას და მსჯელობის ცალკეული რგოლების ერთიან ჯაჭვად გამოთლიანების მეთოდს. სტუდენტისთვის ცხადი გახდა, რომ აბზაცების მიზეზშედეგობრივი კავშირი ემსახურება ტექსტის დედააზრის თანხაოთანობით წარმოჩენას და ნათელყოფს ავტორის კონცეფციას. ლექციაზე ყურადღება გამახვილდა ილიასეულ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე, იმ ლექსიკურ ერთეულთა თუ იდიომატურ გამონათქვამთა ნაირგვარობაზე, რითაც ასე გამორჩეულია მისი ხელწერა. იქვე აღინიშნა, რომ ილია ახალ სიტყვათა, ტერმინთა შემქმნელი და შემომტანია ქართულ სალიტერატურო ენაში. ახალგაზრდებმა მოულოდნელ, ახალ ჭრილში აღიქვეს დიდი პუბლიციისტის მოღვაწეობის კიდევ ერთი ასპექტი. სტუდენტებს განემარტათ, რომ იდეის სრულყოფილად გაცხადება მეტად შრომატევადი პროცესია და სასურველი შედეგის მიღწვამდე თვით ილია საკუთარ ნაწერს მრავალგზის უბრუნდებოდა, გამუდმებით ასწორებდა, ხელწერა და სკრუბულოზურად ამუშავებდა. ამ მაგალითით სტუდენტები მიხვდნენ, თუ როგორი ძალისხმევა სჭირდება ტექსტის მომზადებას და რომ ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია საკუთარ ტექსტზე მუშაობისას. აღნიშნულ ლექციაზე მოხმობილ ცოცხალ მაგალითებში, ციტირებულ ფრაზებში პედაგოგმა სტუდენტებს მიუთითა წარმოქმნილი სახელების სიუხვეზე, განსაკუთრებით მიმართებითი ზედსართავი სახელის ეპითეტად გამოყენების სიხშირეზე. ლექტორის საუბარი ბუნებრივად წარიმართა გრამატიკულ საკითხებზე, განისაზღვრა ზედსართავი სახელის ჯგუფები, ხარისხის ფორმები, განიმარტა ზედსართავის, როგორც მსაზღვრელის, ფუნქცია და არსებით სახელთან ერთად ბრუნვის თავისებურება, განისაზღვრა ძირეული და წარმოქმნილი სახელები, ისინი ტიპოლოგიურად დაჯგუფდა და გამოიკვეთა მაწარმოებლების სწორად წერის წესები. დასასრულ, პედაგოგმა დასვა საკონტროლო კითხვები სალექციო მასალის ათვისების ეფექტიანობის გასარკვევად.

ლექციის ვრცელი მიმოხილვა საჭიროდ მივიჩნიეთ, რათა წარმოგვენინა მისი მსვლელობის ინტერაქტიული ფორმა, რაც მეცადინეობის ინტენსივობის შედეგიანობას განაპირობებს.

ცოდნის დაგროვება აუცილებლად გულისხმობებს სასწავლო მასალის გამეორებას, ნათქვამია, გამეორება ცოდნის დედააო. ეს პროცესი მჯიდროდ უკავშირდება პრაქტიკულ მეცადინეობებს. ლექციის ბოლოს ხშირად ტარდება ზეპირი თუ წერილობთი ქვიზი, ანუ სტუდენტები პასუხობენ ახსნილი მასალის ფარგლებში დასმულ კითხებებს, რაც ცხადყოფს რამდენად სწორად აღიქვა და გაიზიარა აუდიტორიამ სალექციო თეორიული მონაკვეთი. თუ პასუხები გაცემულია სხარტად, ადგევატურად და მასალა სწორადაა ინტერპრიტირებული, პედაგოგის მიზანი მიღწეულია. სწავლების აუცილებელი კომპონენტია სავარჯიშოების, ტესტების ხშირი შესრულება, ასევე სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია. მაგრამ დაგროვილი ცოდნის ყველაზე ზუსტი ორიენტირი წერილობითი ტესტებია, რომელთა ნაწილი საშინაო დავალებად ეძლევა სტუდენტებს, ხაწილი კი საუდიტორიო წერით სამუშაოდ. პირველკურსელებს ჯერ არა აქვთ შესწავლილი პუბლიციისტური უანრები და წერითი დავალებები უმთავრესად ესეის ფორმით სრულდება, რომელიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს ინდივიდის ორიგინალური აზ-

როვნების სტიმულირებას, სუბიექტური მოსაზრებების, თვალსაზრისის, პოზიციის წარმოჩენას, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას.

წერითი სამუშაოები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულია როგორც თემატიკის, ისე წაეჭირებული მოთხოვნების სირთულით და მთელი სასწავლო წლის მანილზე პრაქტიკული მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი უწყვეტი ფორმა. იდექტის წერილობითი ფორმულირება სტუდენტების ძალების სრულ მობილიზაციას მოიაზრებს, ხოლო ამ პროცესის წარმატებით დაგვირგინებისთვის პედაგოგისგანაც არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან მიზნის მიღწევა მხოლოდ სისტემური წერითი მუშაობითაა შესაძლებელი. თუ სტუდენტის მცდელობის მიუხედავად, მას არათუ გამოკვეთილად, არამედ საერთოდ ვერ გადმოაქვს აზრი ფურცელზე, შეუძლებელია, იგი უურნალისტად, მით უმეტეს, პროფესიონალ უურნალისტად ჩამოყალიბდეს. უურნალისტობა მოითხოვს წერის ნიჭის, ამიტომაც ახალგაზრდას, რომელიც ამ სპეციალობას ირჩევს, უნდა ჰქონდეს გარკვეული წერითი გამოცდილება, ხოლო უმაღლესმა სასწავლებელმა მისი ნიჭის რაფინირებაზე, პროფესიულ განათლებასა და დაოსტატებაზე იზრუნოს.

ტექსტის მოდელირებისა და ანალიზის საფუძვლების შესწავლა, ცნობილი პუბლიცისტების შემოქმედებაზე დაკვირვება სტუდენტს უბიძებს შესაძლებლობის ფარგლებში მსგავსი არქიტექტონიკისა და სტრუქტურის ტექსტი შეთხას, რაც ცხადია, გამორიცხავს სხვისი ნაშრომის უბრალოდ გადაწერას. ხშირი განმეორებითობით აღქმული ლექსიკური ერთეულები, წინადაღებათა კონსტრუქციები, ტროპები, სტილურ-გამომსახულობითი ხერხები სტუდენტს გონებაში ელექტრად და ქაცხობიერად თუ შეგნებულად თავად ქმნის ამ ნიმუშების ანალიზებს. ეს გონების გავარჯიშებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპია და გარკვეული წარმატება დამოუკიდებელი ხელწერის ჩამოყალიბებისა.

